



შოთა
რუსთაველის
საქართველოს
ეროვნული
სამეცნიერო
ფონდი



საქართველოს
ტექნიკური
უნივერსიტეტი

ოლღა ხარაიშვილი, ნინო მეზონია, ლალი ახვლედიანი
საქართველოს სარწყავი რეგიონების ირიგაციული
მაჩვენებლების და რწყვის საჭიროების დადგენა
მუნციპალიტეტების მიხედვით



თბილისი
2023



შოთა რუსთაველის
საქართველოს
ეროვნული
სამეცნიერო ფონდი



საქართველოს
ტექნიკური
უნივერსიტეტი

**მონოგრაფია გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით
(გრანტის # SP-22-1313)**

**This work was supported by Shota
Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)
(grant number of # SP-22-1313)**

მონოგრაფიაში ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესის ინტენ-
სივობის შეფასება განხორციელდა ევაპოტრანსპირაციის კრი-
ტერიუმით, რაც ინტეგრალურად გამოსახავს მცენარის წყალ-
მოთხოვნილების უნარიანობას და შესაძლებლობას იძლევა
სარწყავი სისტემების ფუნქციონირება წარიმართოს წყლის რა-
ციონალური გამოყენების პრინციპის რეალიზაციით; მორწყვის
ნორმის განსაზღვრისათვის შემოთავაზებულია პროდუქტი-
ული წყლის ხარჯვის დინამიკის გათვალისწინებით ევაპო-
ტრანსპირაციის დიფერენცირებული დადგენა სავეგეტაციო
პერიოდში.

რწყვის რეჟიმის სწორად რეგულირებისათვის ფერმერს მზა
ფორმით მიეწოდება მცენარის ვეგეტაციის პერიოდში რწყვის
რეჟიმის ელემენტები (წყალმოთხოვნილება, ასევე სარწყავი
ნორმა, რწყვის ვადები, ყველა ძირითადი ირიგაციული მაჩვენ-
ებლები (ნიადაგის მაქსიმალურ მოლეკულური ტენი, მაქსი-
მალურ ჰიგროსკოპიულობა, მოცულობითი მასა, კუთრი წონა,

ზღვრული ტენტევადობა, ფორიანობა, ფილტრაციის კოეფიციენტი, ნიადაგის მექანიკური გრანულომეტრიული შედგენილობა) და სხვ.

ნაშრომი განკუთვნილია სოფლის მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტთა ფართო წრისათვის, ფერმერებისათვის და ამ საკითხებით დაინტერესებული: ბაკალავრის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის. აგრეთვე, იმ მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის, რომლებიც მუშაობენ ჰიდროინჟინერიის, ჰიდროტექნიკური მელიორაციის, ჰიდროლოგიის, საინჟინრო ეკოლოგიისა და ჰიდროეკოლოგიის მიმართულებით.

მონოგრაფიის ავტორთა გუნდს უპირველეს მოვალეობად მიგვაჩნია, მადლობა მოვახსენოთ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს მონოგრაფიის გამოცემის მხარდაჭერისათვის; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე რექტორს პროფესორ ლევან კლიმიაშვილს სამუშაო გარემოს შექმნისათვის.

ასევე განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ მონოგრაფიის რედაქტორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს გივი გავარდაშვილის მიმართ;

რეცენზენტების – პროფესორ ირმა ინაშვილის, ასოცირებული პროფესორების შორენა კუპრეიშვილის და კონსტანტინე ზზიავას მიმართ გაწეული შრომისათვის, რამაც მთლიანობაში გააუმჯობესა მონოგრაფიის შინაარსი.

სამეცნიერო რედაქტორი: გივი გავარდაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ცოტნე მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსი

რეცენზენტები: ირმა ინაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტი, ტექნიკის მეცნიერებათა
კანდიდატი, აკადემიური დოქტორი, პროფესორი;

შორენა კუპრეიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის
ინსტიტუტის, ირიგაციისა და დრენაჟის განყოფილების
ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი;

კონსტანტინე ბზიავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის
ინსტიტუტის ინოვაციური განვითარების ჯგუფის
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური
დოქტორი.

მონოგრაფია დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და
ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის
აგროინჟინერიის დეპარტამენტის მიერ
10.05.2023 წ. ოქმი #9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ცოტნე მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო-სასწავლო,
მეთოდური სარედაქციო საბჭოს მიერ
19.05. 2023 წ. ოქმი #25

საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი: ოლღა ხარაიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის, ირიგაციისა და დრენაჟის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი.

E-mail: xaraisviliolga@gmail.com

კოორდინატორი: ნინო მებონია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი.

E-mail: ni.mebonia@gmail.com

პირთადი პერსონალი: ლალი ახვლედიანი - საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის, მთის მდგრადი განვითარების
ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტი.

E-mail: laliakhvlediani7@gmail.com

პირველი გამოცემა 2023

© ოლღა ხარაიშვილი, ნინო მეზონია, ლალი ახვლედიანი
ტირაჟი 80

დაბეჭდილია გამომცემლობა „საჩინო“

ISBN 978-9941-9846-0-0

DOI 10.52340

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	8
შესავალი	10
თავი 1. საქართველოს სარწყავი რეგიონების ირიგაციის გამოყენების აუცილებლობის ძირითადი პირობები	23
1.1. მელიორაციის საჭიროების დადგენა და მისი სათანადო სახის შერჩევა აკად. ა.ნ. კოსტიაკოვის, პროფ. გ.ტ. სელიანინოვის და კ. კელენჯერიძის მიხედვით.....	23
თავი 2. წყალმოთხოვნილება. სასოფლო სამეურნეო კულტურების მორწყვის რეჟიმი	29
2.1. ზღვრული წყალტევადობის სიდიდე კაპილარული წყალტევადობის მიმართ სხვადასხვა ნიადაგისათვის.....	30
თავი 3. რწყვის რეჟიმი	43
3.1. სარწყავი ნორმა	43
3.2. მორწყვის ნორმა.....	45
3.3. რწყვის ვადების დადგენა	50
3.4. ჰაერში ტენის დეფიციტის გათვალისწინებით მორწყვის ვადების კორექტირება.....	53
3.5. სამეურნეო დანიშნულების მიხედვით მორწყვის სახეები	54
თავი 4. ნიადაგის ჰიდრო-ფიზიკური თვისებები	58
4.1. ნიადაგის მექანიკური (გრანულომეტრიული) შედგენილობა.....	58
4.2. ნიადაგის მექანიკური (გრანულომეტრიული) შემცველობის განსაზღვრა.....	58
4.3. მოცულობითი მასის განსაზღვრა	68

4.4. ნიადაგის ფორიანობის განსაზღვრა	72
4.5. ნიადაგის მაქსიმალურ მოლეკულური ტენის განსაზღვრა.....	76
4.6. ნიადაგის მაქსიმალურ ჰიგროსკოპიული ტენის განსაზღვრა.....	82
4.7. ნიადაგის ტენტევადობის განსაზღვრა	84
4.8. ნიადაგის წყალგამტარობა	90
4.9. ფილტრაციის კოეფიციენტის განსაზღვრა	91
თავი 5. საქართველოს სარწყავი რეგიონების ირიგაციული მაჩვენებლების და რწყვის საჭიროების დადგენა მუნიციპალიტეტების მიხედვით	94
5.1. კახეთის რეგიონი.....	94
5.2. ახმეტის მუნიციპალიტეტი	126
5.3. თელავის მუნიციპალიტეტი	151
5.4. გურჯაანის მუნიციპალიტეტი.....	184
5.5. ყვარლის მუნიციპალიტეტი.....	218
5.6. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	241
5.7. სიღნაღის მუნიციპალიტეტი	267
5.8. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი.....	288
6. ქვემო ქართლის რეგიონი	341
დასკვნა	535
რწყვის რეჟიმის, ნორმების და ვადების შერჩევის რეკომენდაციები ფერმერული მეურნეობებისა და წყლის მომხმარებელთა ასოციაციებისთვის.....	537
გამოყენებული ლიტერატურა:.....	552

წინასიტყვაობა

დღესდღეობით მიმდინარე კლიმატის ცვლილების ფონზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის რეჟიმის სწორი შერჩევა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მორწყვის რეჟიმის ელემენტების განსაზღვრისათვის, როგორცაა ნიადაგის ზღვრული წყალტევადობა, მაქსიმალური მოლეკულური ტენი, ფორიანობა, მოცულობითი წონა, სიმკვრივე, ფილტრაციის კოეფიციენტი, აუცილებელია ექსპერიმენტით მიღებული მონაცემების გასაჯაროება.

საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქვეყანაში სოფლის მეურნეობაში რწყვის რეჟიმის სწორად შერჩევა, როგორც ტრადიციულ, ისე რწყვის რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენების დროს. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისთვის, როგორცაა საქართველო.

მონოგრაფიაში შემოთავაზებულია საქართველოს ეკონომიკის წამყვანი დარგის - სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და მართვის ხელშემწყობი რეკომენდაციები და საადაპტაციო ღონისძიებების შემუშავება გლობალური დათბობის პირობებში, რათა განხორციელდეს მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოების შემცირება, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სიღარიბის დაძლევა რწყვის რეჟიმის სწორი რეგულირებით.

ნაშრომი განკუთვნილია სოფლის მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტთა ფართო წრისათვის, ფერმერებისათვის და ამ საკითხებით დაინტერესებული: ბაკალავრის, მაგისტრატურის

და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის. აგრეთვე, იმ მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის, რომლებიც მუშაობენ ჰიდროინჟინერიის, ჰიდროტექნიკური მელიორაციის, ჰიდროლოგიის, საინჟინრო ეკოლოგიისა და ჰიდროეკოლოგიის განხრით.

მონოგრაფიის ავტორთა გუნდი უპირველეს მოვალეობად მივიჩნევთ, მადლობა მოვახსენოთ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს ფინანსური მხარდაჭერისათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს, პროფესორ ლევან კლიმიაშვილს სამუშაო გარემოს შექმნისა და ნაშრომის გამოცემის მხარდაჭერისთვის.

ასევე განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ მონოგრაფიის რედაქტორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს გივი გავარდაშვილის და რეცენზენტების: პროფესორ ირმა ინაშვილის, ასოცირებული პროფესორების შორენა კუპრეიშვილის და კონსტანტინე ბზიავას მიმართ გაწეული შრომისათვის, რამაც მთლიანობაში გააუმჯობესა წიგნის შინაარსი.

შესავალი

სახელმწიფოს მდგრადი ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია სოფლის მეურნეობის გარეშე, რომელიც არის ქვეყნის არა მარტო სასურსათო უსაფრთხოების გარანტი, არამედ უზრუნველყოფს მრეწველობის მრავალ დარგს ნედლეულით.

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მსოფლიოში ცოტაა ისეთი წარმატებული ქვეყნები, რომელთა სოფლის მეურნეობა არ იყოს დამოკიდებული მელიორაციის მდგომარეობაზე. სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია გულისხმობს აგროეკონომიკურ და ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლის ამოცანას წარმოადგენს ამა თუ იმ ტერიტორიის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების (ნიადაგობრივი, კლიმატური, ჰიდროლოგიური და სხვ.) ხანგრძლივი ვადით გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის წარმატებით განვითარებისათვის მაღალი მოსავლის მისაღებად. საქართველო მცირე მიწიანი ქვეყანაა, სადაც მიწათმოქმედების განვითარება სათავეს იღებს საუკუნეთა სიღრმიდან.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობა, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების შემდგომი ამაღლება დამოკიდებულია მელიორაციის განვითარებაზე, რომლის საფუძველზეც ნიადაგში მყარდება წყალ-ჰაეროვანი რეჟიმი, რაც წარმოადგენს მყარ გარანტს მაღალი და ხარისხოვანი მოსავლის მისაღებად.

გვალვა მნიშვნელოვანი გამოწვევაა მიწათსარგებლობისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველო არ იყო გვალვისადმი მიდრეკილი ქვეყანა. თუმცა, წლების განმავლობაში ეს მაჩვენებელი მუდმივად იზრდება. სწორედ ამიტომ, ყურადღება

უნდა მივაქციოთ ჩვენს ეკოსისტემებს და მათი მართვის პრინციპებს.

მსოფლიოში ბოლო რამდენიმე წელია აქტიურად საუბრობენ კლიმატის ცვლილებაზე და მის პარალელურად განიხილავენ ყველა იმ გამოწვევას, რომელიც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების წარმოქმნას [1, 5, 17].

ერთ-ერთი ასეთი გამოწვევაა სოფლის მეურნეობა რომელიც ამ მოცემულობის ანთროპოგენული ფაქტორია, როცა ადამიანის ერთ-ერთი საქმიანობა ცვლის კლიმატს - თუმცა ამავე დროს, ამ ცვლილების მიმართ ის ასევე ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ეკონომიკური დარგიცაა.

კლიმატის ცვლილება აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გლობალური გამოწვევა მსოფლიოსათვის და რა თქმა უნდა, ჩვენს რეალობაშიც ის ითვლება რეგიონების სოფლის მეურნეობის მთავარ პრობლემად. განსაკუთრებით ისეთი რეგიონებისთვის, როგორც არის ქვემო ქართლი, კახეთი, შიდა ქართლი და ა.შ რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესში.

საქართველოში, როგორც აგრარულ ქვეყანაში, ირიგაცია ძველთაგანვე ყურადღების ცენტრში იყო, ვინაიდან იგი მოსახლეობის კეთილდღეობის მთავარ წყაროდ ითვლებოდა.

სარწყავ მიწათმოქმედებას საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს. პირველი ცნობები ირიგაციის შესახებ გვხვდება ძვ.წ. I საუკუნეში. ბერძენი მოგზაური და გეოგრაფი სტრაბონი ახ.წ. საუკუნეში წერდა: „ეს ქვეყანა (საქართველო) უფრო მეტად ირწყვის მდინარეთა და სხვა წყლებით, ვიდრე თვით ბაბილონი და ეგვიპტე” [2, 18, 23].

ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი ამბობდა, რომ დიდი არხების გაყვანა საქართველოში დაწყებული უნდა იყოს პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში.

განვითარების ყველა ეტაპზე, ქვეყნის სარწყავ სისტემებს ისე იცავდნენ, როგორც ციხე-სიმაგრეებს. XII საუკუნეში, თამარის მეფობის დროს, მდინარე არაგვიდან გაუყვანიათ 20 კმ სიგრძის არხი - „თამარის არხი“, რომელიც სოფელ ჟინვალიდან იწყებოდა და გარდაბნის ველს აღწევდა. აღნიშნული არხით ირწყვებოდა მდ. არაგვის მარცხენა სანაპირო ზოლი, საგურამოს, ავჭალის და თბილისის ზემო მინდვრები. თამარ მეფისავე ბრძანებით გაუყვანიათ 119 კმ. სიგრძის ალაზნის არხი. დღემდე შემორჩენილია შუა საუკუნეების არხების ცალკეული ფრაგმენტები. ტრადიციული სარწყავი მიწათმოქმედების პირობებში რწყვისას ძირითადად ზედაპირული რწყვის ტექნიკას იყენებენ.

აღმოსავლეთ საქართველოს მიწათმოქმედება უძველესი დროიდანვე მორწყვასთან არის დაკავშირებული. ამასთან, სარწყავი არხების მშენებლობა და საერთოდ, ირიგაციული მომსახურეობა ძველადაც მაღალ დონეზე იდგა.

მორწყვა თავიდანვე ნიადაგის ხარისხის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად იყო მიჩნეული.

პროფესორ ნ. კეცხოველის კვლევის მიხედვით, სარწყავ არხებთან ყოფილა და არის დაკავშირებული ქართლში, მარნეულსა და გარე კახეთში ვენახი, ნიგვზნარი, თუთნარი და ჭალის ტყის გარე არსებული სასარენი და საკაფნი [2, 9, 31, 40].

სარწყავი არხების სიუხვე საქართველოში ყოველთვის იქცევდა გარეშე მკვლევართა ყურადღებას. სოფლის მეურნეობის განვითარებაში წყალს გადამწყვეტი მნიშვნელობა რომ ეძლეოდა, ამის დამადასტურებელია ის გარემოებაც, რომ წყლის

მფლობელობის შესახებ მტკიცე კანონებიც არსებობდა და ვახტანგ VI-ს კანონმდებლობაში ამ საკითხს სათანადო ადგილი ჰქონდა დათმობილი.

მორწყვის საკითხს ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და ამ საქმეს თვით მეფე ედგა სათავეში. არხის მეტვალყურესაც კი უშუალოდ მეფე ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი ნიშნავდა.

საქართველოში ძველი სარწყავი არხების შესახებ მეტად მდიდარი და ძვირფასი არქეოლოგიური მასალა მოგვეპოვება, ხოლო ძირითად წყაროს წარმოადგენს ვახუშტი ბატონიშვილის შესანიშნავი შრომა – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. იგი ხშირად ამა თუ იმ არხის გაყვანის მთავარ ინიციატორს ასახელებს და იმ დროისათვის არხის მდგომარეობასაც აღწერს [3, 19].

ამის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს სოფ. წილკანის რუ, რომლის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს: „ტყვიალიანიდამ ისო წილკანელმა, იგ მამათაგანმან, წამოიღო ყავარჯნის თრევით რუ, რომელსაც მოსდევდა უმუშაკოთ წყალი. და მიიღო წილკან და დის დღემდე. დაფლული არს წმინდა ისო მუნ, ხოლო ირწყვის მინდორი ამისი რუთა მით და ნაყოფიერებს ფრიად“.

ისო წილკანელი იმ ცამეტ წმინდა ასურელ მამათაგანს ეკუთვნის, რომლებიც VI საუკუნეში მოღვაწეობდნენ. ამგვარად, წილკანის რუ გაყვანილი ყოფილა VI საუკუნეში და ის, როგორც ჩანს XVIII საუკუნეშიც კარგ მდგომარეობაში იყო.

აღწერს რა ახლანდელ მარნეულის რაიონში მდინარე ბერდუჯის (დებედა) მნიშვნელობას, ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ „კვალად ამოიღებენ რუთა და ირწყვიან ამიერ და იმიერ ველნი, სადაც ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა

თესლნი...“. მდინარე ბერდუჯი ახლა ცნობილია მისგან გამოყვანილი სარწყავი არხების ფართო ქსელით.

საქართველოში უძველესი დროიდან არსებული მდიდარი სარწყავი ქსელის ნაწილი დროთა ვითარებამ გაანადგურა და უკვე დავიწყებულია, ხოლო ზოგ მათგანს რამდენიმეჯერ განუცდია აღდგენის პროცესი და ჩვენ დრომდე მოუღწევია.

ასეთი აღდგენის ერთ-ერთ მაგალითს აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი ახლანდელ მარნეულის რაიონში: „და ქციის (მდინარე ხრამი) სამხრეთ ველი იყო უწყლო. გაიღო მეფემან ვახტანგ (ვახტანგ VI) ძველი რუ, და აწ ირწყვის მით და ნაყოფიერებს ფრიად“.

როგორც ვხედავთ, მეფე ვახტანგ VI-ის მიერ აღდგენილი ყოფილა რაიონისათვის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ძველი არხი.

ვახტანგ VI-ს ეკუთვნის აგრეთვე მდინარე ქციიდან არხის გაყვანის ინიციატივა ხუნანის ველის მოსარწყავად, რომლის შესახებ თვით ვახტანგ VI ამბობს – „ქციის რუ ხუნანს წავიღე, გაღმითად მოვრწყე ველანი“.

ძველი არხების აღდგენის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს XIX საუკუნეში გაყვანილი გარდაბნის არხი, რომლის შესახებ თავის დროზე ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, რომ „ნაგებიდამ გაიღო მეფემან ვახტანგ რუ მტკვრისაგან...“და „ნაგების“ შესახებ შემდეგ განმარტებას იძლევა – „კვალად იაღლუჯისა (მარნეულის რაიონშია) აღმოსავლეთით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავი, ხოლო აწ ნაგები“, ე.ი. ნაგები ძველად რუსთავად ყოფილა წოდებული, ცხადია სარწყავი რუს გაყვანის გამო.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, ეს არხი არა ვახტანგ VI დროს, არამედ ბევრად უფრო ადრე ყოფილა გაყვანილი [7, 29, 30].

ამავე საკითხის შესახებ ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“ შემდეგს გადმოგვცემს: „ხოლო მან (მეფე თეოდატ, 405 წ.) გამოიღო რუსთავი და აღაშენა ეკლესია“.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არხი მეხუთე საუკუნეში უკვე გაყვანილი ყოფილა; შემდეგში იგი განადგურებულა, ხოლო ვახტანგ VI როგორც ეს მას არა ერთხელ გაუკეთებია სხვა ძველი არხების მიმართაც, აღუდგენია იგი; მაგრამ XIX საუკუნემდე მაინც ვერ მიულწევია და ათას რვაას სამოციან წლებში უკანასკნელად აღდგენილ იქნა რუსეთის მეფის ხელისუფლების მიერ მარინეს არხის სახელწოდებით.

მეტად საინტერესოა ქ. თბილისის ზემოთ მდებარე საბურთალოს ველის მორწყვის საკითხი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით საბურთალო ირწყვებოდა მდინარე ვერედან გამოყვანილი არხით.

ეს საკითხი საინტერესოა იმით, რომ მდინარე ვერე, რომელიც ახლა მის ხეობაში მდებარე ბაღ-ბოსტნების რამდენიმე ჰექტარს ვერ აკმაყოფილებს, ოდესღაც საბურთალოსაც უხვად აწვდიდა სარწყავ წყალს.

ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს მდინარე ქსნის ხეობაში ამჟამადაც არსებულ ქსოვრისისა და ქსნის რუს, მდინარე თეძამიდან გამოყვანილ დღემდე არსებულ დოესის არხი (დუს რუ). აქვე მას მოჰყავს მდინარე ძამადან გაყვანილი წრომის არხის აღწერილობა, ახლანდელი ტირიფონის არხის მოქმედების არეში, ტირიფონის ველზე, მდინარე მეჯუდის მარცხენა ნაპირიდან გაყვანილ მეჯუდის რუს და მდინარე ლიახვიდან გაყვანილ მთელ რიგ სარწყავ არხებს.

აღწერილია მდინარე ლიახვიდან მარჯვენა მხარეზე თამარის დროს გაყვანილი ორი რუ. ერთი მათგანი, სალთვისის რუ,

რომელსაც განუცდია განადგურება და ვახტანგ V მიერ (1658–1975 წ.წ.) ყოფილა აღდგენილი.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, საკმაოდ განვითარებულ სარწყავ ქსელს წყლით აკმაყოფილებდა მდინარე იორიც.

უფრო გვიან შეგროვილი მასალების საფუძველზე ს. ვეისენგოვს მოჰყავს XII საუკუნეში თამარის დროს არაგვიდან გაყვანილი თამარის არხის აღწერილობა. ამ არხის სათავე ქალაქ დუშეთის ზემოთ, სოფელ ჟინვალთან იყო, იგი რწყავდა არაგვის მარცხენა ნაპირზე შედარებით ვიწრო ზოლს, შემდეგ საგურამოს ველს, ავჭალის მიწდვრებს, გადადიოდა თბილისის ზემოთ და გარდაბნის ველს აღწევდა. არხის კვალი ამჟამად მხოლოდ ზოგიერთ ადგილას არის შერჩენილი.

ძველად არსებული სამგორის არხის აღწერილობას იძლევა ალ. ლოსაბერიძე. არხი სოფ. უჯარმის მახლობლად, ივრის მარჯვენა ნაპირიდან იღებდა წყალს. XVIII საუკუნის დამლევს მეფე ერეკლეს ბრძანებით ამ არხის აღდგენა დაუწყიათ, მაგრამ 1795 წელს საქართველოში მტრის შემოსევის გამო, მუშაობა შეჩერებულა და მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყოფილა აღდგენილი. შემდეგში ეს არხი ისევ გაუქმებულა სათავის დაზიანების გამო. ამჟამად აქ გაყვანილია სამგორის ზედა და ქვემო მაგისტრალური არხი.

XII საუკუნეშივე მდინარე ალაზნიდან გაყვანილი ყოფილა ალაზნის ძველი არხი, რომლის კვალი ალაგ-ალაგ ეხლაც კარგად ჩანს. ამ არხის ადგილი დაიკავა ალაზნის ახალმა არხმა.

1938 წელს თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ (ალ. მამულაშვილი) ჩატარებული მუშობის შედეგად ალაზნის მარცხენა მხარეს აღმოჩენილია ძველი სარწყავი არხის (გრემის არხის) კვალი [2, 16].

ეს არხი თავისი კვეთით შედარებით პატარაა, მაგრამ გამავალი მეტად რთულ პირობებში და აღჭურვილი თითქმის ყველა სახის ჰიდროტექნიკური ნაგებობებით, წყალს მდინარე ლოპოტიდან (სოფ. ნაფარეულთან) იღებდა და გრემის მინდვრებზე გადმოდიოდა.

ამ არხსაც ადგილობრივ თამარ მეფის არხს უწოდებენ, ხოლო ოფიციალურად ცნობილია გრემის არხის სახელწოდებით. მისი დანიშნულება აგრეთვე ყოფილა ძველი სატახტო ქალაქის გრემის წყლით მომარაგებაც.

საქართველოს სარწყავი არხების შესახებ საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევა „საქართველოს სიძველენი“, რაც ადასტურებს მათი ქსელის სიხშირეს შიდა და ქვემო ქართლში და ნაწილობრივ საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარზე.

აღნიშნული მასალების მიხედვით ალაზნისა და ივრის შესართავში, სადაც ეხლა წყლის ნაკლებობაა, ძველად საკმაოდ მდიდარი ქსელი ყოფილა, ხოლო 1764 წელს მეტად საკმაოდ ღრმა არხს ერეკლე II-ის ჯარიც კი შეუჩერებია საქართველოს საზღვრებიდან მტრის განდევნის დროს.

სარწყავი არხის ნაშთებს ჩვენ ვხვდებით საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ცენტრში – სამშვილდეში, ახლანდელ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში.

სამცხე-ჯავახეთშიც მორწყვა არანაკლებ გავრცელებული ყოფილა და არსებული მასალები მოწმობს, რომ უკვე XVI საუკუნეში ახლანდელ ახალციხის მუნიციპალიტეტში სარწყავი არხების ფართო ქსელით სარგებლობდნენ. ასე, მაგალითად, ს. ჯიქიას მიერ თურქულიდან თარგმნილი „გურჯისტანის ვილიაეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, XVI საუკუნეში თურქების მიერ ჩატარებული აღწერის დროს აღნიშულია მდინარე

ბორბოლას წყლით სარგებლობა ვენახებისა და ბაღების მოსარწყავად და სხვ.

საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომელთათვის სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის განვითარება სასიცოცხლოდ აუცილებელია: თუ კოლხეთის დაბლობზე და ზოგიერთი სხვა რეგიონის ჭარბტენიანი მიწები თხოულობს სადრენაჟო ღონისძიებების ჩატარებას, ქვეყნის მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, არასაკმარისი ბუნებრივი გატენიანების პირობებში აუცილებელია ირიგაცია.

2020 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს სარწყავი სისტემების საერთო ფართობი შეადგენდა 312,0 ათას ჰა–ს, მათ შორის მოქმედი, წყლის თვითდინებითი მიწოდებით 277,7 ათასი ჰა, მექანიკური აწევით – 17,5 ათასი ჰა.

სახელმწიფო სარწყავი სისტემები მოწყობილია როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში, ისე სამცხე-ჯავახეთის და იმერეთის ბევრ მუნიციპალიტეტში. გარდა ამისა, ბევრ სოფელში მოქმედებს ადგილობრივი ძალებით მოწყობილი ლოკალური სარწყავი სისტემები.

დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას წყლის რესურსების გამოყენების ეკონომიურობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ყველაზე რაციონალურად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის მოთხოვნილება წყალზე. წყალმოთხოვნილების მოცულობის მიხედვით სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად აჭარბებს სახალხო მეურნეობისა და თვით წყალთა მეურნეობის ყველა დანარჩენ დარგებს. წყალმოთხოვნილება სოფლის მეურნეობაში მოიცავს პირველ რიგში ირიგაციას [1, 28, 39].

მსოფლიოს წყალმოთხოვნილების დაახლოებით 70% მო-
რწყვის წილზე მოდის, ამიტომ სარწყავი ფართობების ნიადა-
გობრივ მდომარეობათა შესწავლასა და სწორ განსაზღვრაზე
ბევრადაა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების
წყალმოთხოვნილების დადგენა.

წყლის როლი იზრდება როგორც სოფლის მეურნეობის,
წარმოების, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის დარ-
გებში, აგრეთვე რეკრეაციულ და სპორტის განვითარების
სფეროში. წყალი მონაწილეობს ყველა ბიოლოგიურ პროცესში
და დღემდე შეუცვლელ წიაღისეულად რჩება ადამიანის ცხოვ-
რებასა და ზოგადად, კაცობრიობის არსებობა-განვითარებაში.
წყლის როლი ჩვენს კეთილდღეობაში ეჭვგარეშეა, ხოლო
მოთხოვნილება და დამოკიდებულება მასზე მარადიული.

წყლის რესურსები წარმოადგენს გამოსაყენებლად ვარგის
წყალს, რომელშიც იგულისხმება პრაქტიკულად ჰიდროსფეროს
შემადგენელი ყველა წყალი: მდინარეები, ტბები, არხები, წყალ-
საცავები, ზღვები და ოკეანეები, მიწისქვეშა წყლები და მყინ-
ვარები, ნიადაგის ტენი და ატმოსფეროს წყლის ორთქლი.

საქართველოში დიდ ყურადღებას უთმობენ სარწყავი
ფართობების შეფასებას, მის დინამიკას და გამომდინარე აქედან,
შორეული პერსპექტივისთვის პროგნოზირებას.

ყოველივე ეს გამოწვეულია იმ აუცილებლობით, რომ
წყლის რესურსების დიდი რაოდენობით გამოყენებისას, რო-
მელსაც ადგილი აქვს მელიორაციის დროს, ქვეყანაში არ შეი-
ქმნას წყლის დეფიციტი. ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში
მაღალი ტემპით ვითარდება დაწვიმებითი, წვეთოვანი მორ-
წყვის წესი, რომელიც საშუალებას იძლევა მორწყვა იქნას
მთლიანად მექანიზირებული და ავტომატიზებული. მთავარია

წყლის მნიშვნელოვანი როდენობის დაზოგვის გზით, რომელიც მიიღწევა ღია ქსელში დანაკარგების გამორიცხვით, ნიადაგების სიღრმით დანაკარგების შემცირებით და ფართობზე ტენის თანაბარი განაწილებით [6, 38, 43].

სასოფლო-სამეურნეო კულტურების თანამედროვე ახალ ტექნიკურ საშუალებას წარმოადგენს დაწვიმებითი, წვეთოვანი, ნიადაგქვეშა რწყვის მეთოდები. წვეთოვანი მორწყვის დროს წყალი უშუალოდ მიეწოდება მცენარის ფესვებს საწვეთური მილსადენიდან წვეთების სახით. ამ დროს მინიმუმამდია დაყვანილი წყლის უქმი დანაკარგები და მიღწეულია წყლის დიდი ეკონომია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია თითოეული ფართობისათვის დადგენილი იქნას ნიადაგების ფიზიკურ-მექანიკური და აგრეგატული მახასიათებლები, რათა განისაზღვროს მცენარისათვის მისაწოდებელი საჭირო წყლის როდენობა (წყალმოთხოვნილება), რის შემდგომ იქნება უკვე შესაძლებელი ვიანგარიშით თითოეულ ჰექტარზე მისაწოდებელი წყლის როდენობა.

წყალსამეურნეო კომპლექსის დაგეგმარებისა და მშენებლობა-ექსპლუატაციის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორი საინჟინრო გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც თანამედროვე-ტექნიკურ მიღწევებს უნდა ეფუძნებოდეს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარების პროცესში მონაწილეობას ღებულობს უამრავი გარე და შიგა ფაქტორი, მაგრამ მათ შორის წყალს, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. ეს პრიორიტეტი იზრდება იმითაც, რომ იგი მართვადაი ფაქტორია.

ცოცხალი ორგანიზმების და მათ შორის მცენარის ზრდა-განვითარება წყლის გარეშე შეუძლებელია. ამაზე მიუთითებს

ის ფაქტიც, რომ ცოცხალი უჯრედის წონის უმეტეს ნაწილს წყალი წარმოადგენს და ზოგიერთ ცოცხალ ორგანიზმებში მისი მნიშვნელობა 90%-ს აღწევს. ამასთან, წყალს გადააქვს საკვები ნივთიერებები, აწესრიგებს თერმორეგულაციას, მონაწილეობას იღებს ფოტოსინთეზის პროცესში და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ წყლის რესურსები თითქმის ყველა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელ ქვეყანაში შეზღუდულია და განიცდის მის დეფიციტს წლის გარკვეულ პერიოდში მაინც. ამ პერიოდში მცენარის წყლის რესურსებით არაოპტიმალურმა უზრუნველყოფამ შეიძლება უარყოფითად გადაწყვიტოს მოსავლის ბედი. ხშირ შემთხვევაში მცენარეთა წყლით უზრუნველყოფა ბუნებრივ პირობებში ვერ ხერხდება და აუცილებელი ხდება მისი ხელოვნური გზით რეგულირება. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალუზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს რთულ ამოცანას და საჭიროებს რიგი პრობლემების გათვალისწინებას, რადგანაც იგი დაკავშირებულია იმ გარემო პირობებზე, რომელშიც მცენარეს უხდება ზრდა-განვითარება, იმ ფიზიოლოგიურ პროცესებზე, რომელიც მიმდინარეობს მცენარეში, ნიადაგის მახასიათებლებზე და სხვ [4, 27, 38].

გამომდინარე აქედან, ადამიანის წინაშე დგება ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების გონივრული გადაჭრის აუცილებლობა, როგორცაა წყლის რესურსების სწორი განაწილება და მართვა.

საირიგაციო-დანაშნულების ნაგებობების დაგეგმარების და მშენებლობა- ექსპლუატაციის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორი საინჟინრო გადაწყვეტის მიღებას, რომელიც თანამედროვე საინჟინრო-ტექნიკურ მიღწევებს უნდა ეფუძნებოდეს. ნათქვამია: „სარწყავ და დამშრობ არხთა ქსელი

მხოლოდ ჩარჩოა, რომელშიაც უნდა ჩავსვათ მინდვრების, ბაღების, სათიბებისა და ტყეების სურათი“.

მელიორაციის განუყოფელი ნაწილია „გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა“, ირიგაციული ღონისძიებები მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს შესაძლო (მოსალოდნელ) უარყოფით შედეგებს და მათი თავიდან აცილების ან შერბილების ღონისძიებებს.

საირიგაციო სისტემების გამოყენების ძირითადი მიზანია სოფლის მეურნეობის ხარისხიანი წყლით დროული უზრუნველყოფა პროგრამული და ეკოლოგიურად უვნებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მისაღებად ბიოსფეროს ეკოსისტემების შესაძლო მაქსიმალური შენარჩუნებით.

თავი 1. საქართველოს სარწყავი რეგიონების ირიგაციის გამოყენების აუცილებლობის ძირითადი პირობები

1.1. მელიორაციის საჭიროების დადგენა და მისი სათანადო სახის შერჩევა აკად. ან. კოსტიაკოვის, პროფ. გ.ტ. სელიანინოვის და კ. კელენჯერიძის მიხედვით.

სოფლის მეურნეობაში მელიორაციის საჭიროება განი-
საზღვრება როგორც მოსავლიანობის გაზრდისათვის ასევე
გარემოს ეკოლოგიური პირობების გასაუმჯობესებლად საჭირო
ღონისძიებად. მცენარის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს
შეადგენს: გარემო, სინათლე, სითბო, წყალი, ჰაერი, ნიადაგში
არსებული საკვები ნივთიერებები და სხვა.

ადამიანის მიერ აღნიშნული ფაქტორების სწორ გამოყე-
ნებაზეა დამოკიდებული მცენარის სიცოცხლის უნარიანობა და
მოსავლიანობა.

ადამიანი ახდენს გავლენას ბუნებრივ პროცესებზე და
ატარებს შესაბამის ღონისძიებებს რათა მცენარეს შეუქმნას საუ-
კეთესო პირობები მოსავლიანობის გაზრდისათვის. ამ შედეგს
ადამიანი აღწევს სხვადასხვა საშუალებებით, როგორცაა,
მაგალითად, ნიადაგის ტენისა და ჰაერში არსებული ტენის
ფარდობის გაუმჯობესება რწყვის ან დაშრობის საშუალებით,
მლაშე ნიადაგების გამორეცხვა, ნიადაგზე წყლის მექანიკურ
ზემოქმედებასთან ბრძოლა, ნიადაგის ზედაპირის მოსწორება
(მოშანდაკება) და სხვ [8, 33, 37].

ჩამოთვლილ ღონისძიებათა უმეტესი ნაწილი წყლის
რეგულირების საკითხს გულისხმობს და მათი განხორციელება
აუცილებლად საჭიროებს საკმაოდ რთული ტექნიკური

სისტემების გამართვას (სარწყავ და დამშრობ ქსელს თავისი ნაგებობებით და სხვ.) და მათი ექსპლუატაციისათვის მართვის სისტემების ცოდნას.

საქართველოს სარწყავი მიწათმოქმედების რეგიონების ირიგაციის გამოყენების აუცილებლობის ძირითადი პირობების - მელიორაციის საჭიროების დადგენა და მისი სათანადო სახის შერჩევა უნდა იქნეს დაკავშირებული ამა თუ იმ რაიონის ბუნებრივ პირობებთან და განსაკუთრებით, მის წყლის რეჟიმთან. საქართველოს სარწყავი რეგიონების თითოეული მუნიციპალიტეტის სოფლების ირიგაციის გამოყენების ძირითადი პირობების დასადგენად ჩვენს მიერ მონოგრაფიის შედგენის დროს ძირითადად გამოყენებული გვაქვს აკადემიკოს ა.ნ. კოსტიაკოვის, პროფ. გ.ტ. სელიანინოვის და დოც. კ. კელენჯერიძის მეთოდები.

ნიადაგების კლიმატური დარაიონების რაიმე ჩამოყალიბებული კლასიფიკაცია დღეისათვის არ არსებობს. ნიადაგის კლიმატური რესურსების შესაფასებლად წამყვან ფაქტორებად მეცნიერთა უმეტესობა ნიადაგის სითბურ თვისებებს, დატენიანებას და თბურ რეჟიმს მიიჩნევს.

აკად. ა.ნ. კოსტიაკოვის მიხედვით რაიონის წყლის რეჟიმის შეფასება შესაძლებელია ე.წ. „ტერიტორიის წყლის ბალანსის კოეფიციენტი“, რომელიც განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$K = \frac{\mu P}{E} \quad (1.1.1.)$$

სადაც: P - არის განსახილველ (საანგარიშო) პერიოდში მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, მმ;

μ - წყლის დაკავების კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი წყლის დაკავება შეუძლია ნიადაგს მოსული ნალექის დროს;

E - ამავე პერიოდში ნიადაგიდან აორთქლებული წყლის

რაოდენობა, მმ.

წყლის დაკავების კოეფიციენტი არის ნიადაგის მიერ შეთვისებული ნალექების ფარდობა ნალექების სრულ რაოდენობასთან და ის იცვლება 0,5–0,9 ფარგლებში. იგი დამოკიდებულია ადგილმდებარეობის რელიეფსა და ნიადაგის სახეობაზე. მთაგორიან ადგილებში ეს კოეფიციენტი უფრო მცირეა, ვიდრე ვაკე ადგილებში. თიხნარ ნიადაგებში, სადაც წყალქონვადობა ნაკლებია - უფრო მცირე, ვიდრე მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგებში. ეს კოეფიციენტი დამოკიდებულია აგრეთვე ნიადაგის დამუშავებასა და ნალექების სახეზე. კარგად დამუშავებულ ნიადაგში, ცხადია μ უფრო მეტია, ვიდრე ცუდად დამუშავებულში; თავსხმა წვიმის სახით მოსული ნალექი აგრეთვე ამცირებს ამ კოეფიციენტის რიცხობრივ მნიშვნელობას და, პირიქით, მცირე ინტენსივობის ნალექი ზრდის მას.

აკად. ა.ნ. კოსტიაკოვის მიხედვით, ნიადაგის მიერ წყლის ხარჯვა დაახლოებით უდრის:

$$E = 100t\left(1 - \frac{r}{100}\right) \text{ მმ}, \quad (1.1.2.)$$

სადაც: t არის საანგარიშო პერიოდის საშუალო ტემპერატურა;

r - ამ პერიოდის დამახასიათებელი ფარდობითი ტენიანობა.

როდესაც $\frac{\mu P}{E} > 1$ ნიადაგის მიერ წყლის შეთვისება აღემატება ხარჯვას, წყლის მოძრაობა დაღმავალია, ნიადაგის ფორები ძირითადად შევსებულია წყლით, ორგანული ნივთიერების დაშლა ნაწილობრივია და ადგილი აქვს მის დაგროვებას. ასეთ ზონას ჭარბი ტენიანობის ზონა ეწოდება. აქ ძირითადი ღონისძიებაა დაშრობა [14, 26].

როდესაც $\frac{\mu P}{E} < 1$ ზე, პირიქით, ნიადაგის მიერ წყლის

ხარჯვა აღმატება წყლის შეთვისებას და ადგილი აქვს ნიადაგში წყლის აღმავალ დენას. ორგანული ნივთიერება სწრაფად იშლება და არ გროვდება ნიადაგში. თუ გრუნტის წყალი ზედაპირთან ახლოს მდებარეობს და იგი შეიცავს ადვილად ხსნად მარილებს, წყლის აღმავალ დენას თან ამოაქვს ზედა ფენებში ეს მარილები, რაც იწვევს ნიადაგის დამლაშებას. ასეთ ზონას არასაკმარისი ტენიანობის ზონა ეწოდება, იგი საჭიროებს მორწყვას.

წყლის ბალანსის კოეფიციენტის მნიშვნელობა იქ სადაც $\frac{\mu P}{E} \approx 1$, ნიადაგის მიერ წყლის შეთვისება და ხარჯვა ცოტად თუ ბევრად გათანაბრებულია. ამასთან დაკავშირებით, გამოუყენებელი ფართობიც აქ შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. წყლის სიჭარბეს ან ნაკლებობას აქ ადგილი შეიძლება ჰქონდეს ცალკეულ წლებში, ან წლის გარკვეულ პერიოდში და გარკვეული რელიეფის პირობებში. ეს ზონა წარმოადგენს გარდა-მავალ ზონას უკვე აღწერილ ორ ზონას შორის და მას არამყარი ტენიანობის ზონა ეწოდება.

მელიორაციული ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა შეიძლება განისაზღვროს პროფ. გ.ტ. სელიანიანოვის დამოკიდებულებით:

$$K = \frac{\sum P}{\sum t:10} \quad (1.1.3.)$$

სადაც: $\sum P$ არის- საანგარიშო პერიოდში ნალექების ჯამი, მმ;

$\sum t$ - ამავე პერიოდის საშუალო დღე-ღამური ტემპერატურების ჯამი, °C.

საქართველოში პროფ. გ.ტ. სელიანიანოვი გამოყოფს შემდეგ ზონებს:

- მშრალი, განსაკუთრებით სარწყავი ზონა, როდესაც $K < 0,6$;

• ძლიერ გვალვიანი, როდესაც წყლის ბალანსი მერყეობს $K = 0,6-0,8$;

- გვალვიანი – $K = 0,8-1,0$;
- არასაკმაო ტენიანი – $K = 1,0-1,2$;
- ზომიერად ტენიანი – $K = 1,2-1,6$;
- ტენიანი – $K = 1,6-2,0$;
- ჭარბტენიანი – $K = 2,0-2,4$;
- მეტისმეტად ტენიანი – $K > 2,4$.

სელიანინოვის აგროკლიმატური რუკის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში წყლის ბალანსი 0,6-მდე მცირდება, დასავლეთ საქართველოში - 1,2-მდე და მეტად მცირე ფართობზე - 1,0-მდე.

აღმოსავლეთ საქართველო ხასიათდება ძლიერ გვალვიანი, გვალვიანი და არასაკმაოდ ტენიანი ზონების გავრცელებით. აქ მორწყვა წარმოადგენს აუცილებელ ღონისძიებას.

დასავლეთ საქართველოს კი, სადაც შედარებით მცირე ფართობზე აღინიშნება არასაკმაო ტენიანობა, საერთოდ ახასიათებს ზომიერი და ტენიანი ზონების გავრცელება, აქედან გამომდინარე, მორწყვას აქ ძირითადად მიმართავენ წლის ზოგიერთ პერიოდში და ზოგიერთ ნიადაგზე, მისი თვისებების მიხედვით. პირიქით, აქ დიდი რაოდენობით არის გავრცელებული დაჭაობებული ფართობები, რომლებთანაც დაკავშირებულია დაშრობითი მელიორაციის საჭიროება [10, 36, 41].

საქართველოში გავრცელებული ქარების გავლენის ასახვის მიზნით დოც. კ. კელენჯერიძის მიერ პროფ. გ.ტ. სელიანინოვის ფორმულაში შეტანილია ცვლილება:

$$\text{აღმოსავლეთ საქართველოსათვის} - K = \frac{\sum P}{\frac{\sum t}{8} \times (1 + \frac{v}{2})};$$

$$\text{დასავლეთ საქართველოსათვის - } K = \frac{\sum P}{\frac{\sum t \times 3}{8} \sqrt{1 + \frac{v}{2}}}$$

სადაც: $\sum P$ არის ატმოსფერული ნალექების ჯამი, მმ;

$\sum t$ - საშუალო დღე-ღამური ტემპერატურების ჯამი, °C;

V - ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წმ.

სათანადოდ იცვლება ზონების შეფასებაც: ზონა მეტად გვალვიანია და მშრალი, როდესაც $K < 0.5$ და გვალვიანი, თუ K იცვლება 0,5-დან 1,0-მდე, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში შეფასება უნდა მოხდეს გ. ტ. სელიანინოვის მიხედვით.

რაიონის საბოლოო შეფასებისათვის საკმარისი არ არის მარტო წლიური მონაცემებით სარგებლობა, აუცილებელია რაიონის შეფასება ზაფხულის პერიოდის მიხედვითაც.

ამდენად, ამ დამოკიდებულებებზე დაყრდნობით ჩვენს მიერ განსაზღვრული იქნა თითოეული მუნიციპალიტეტი, რომელ ზონას ეკუთვნის და რა სახის მელიორაციული ღონისძიება უნდა განხორციელდეს აღნიშნულ მუნიციპალიტეტში.

თავი 2. წყალმოთხოვნილება. სასოფლო სამეურნეო კულტურების მორწყვის რეჟიმი

ყოველ სასოფლო-სამეურნეო კულტურას, თავისი ვეგეტაციის (ზრდა-განვითარების) პერიოდში, გააჩნია განსაზღვრული მოთხოვნილება ტენისადმი. ბუნებრივი პირობების მიხედვით, მცენარის წყალმოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შერჩეულ ღონისძიებათა კომპლექსს წარმოადგენს მორწყვის რეჟიმი, რომელსაც განეკუთვნება მორწყვის ნორმისა და ვადების დადგენა. ამა თუ იმ კულტურისათვის რწყვის საუკეთესო რეჟიმის შესარჩევად აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურის ზრდა-განვითარების თავისებურებების და ადგილობრივი ბუნებრივი პირობების ცოდნა.

მორწყვის რეჟიმის შერჩევის დროს გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:

- ზედმეტი რწყვა ზოგჯერ აგვიანებს შემდეგი ფაზის დაწყებას და ხელს უწყობს ვეგეტაციური ნაწილების განვითარებას;
- რწყვის სიხშირის ზრდა ქმნის საუკეთესო პირობებს კულტურისათვის. განსაკუთრებით მოქმედებს საკვებ ბალახებსა და ბოსტნეულ კულტურებზე;
- დაგვიანებული რწყვა აგრძელებს დამწიფებას და ზოგიერთ შემთხვევაში, აუარესებს ხარისხსაც;
- ყოველ მცენარეს ახასიათებს მისი განვითარებისათვის საჭირო ტემპერატურათა ჯამი. რამდენადაც უფრო მცირეა მცენარისათვის სასარგებლო ტემპერატურათა ჯამი ამა თუ იმ რაიონში, მით უფრო მეტი სიფრთხილით უნდა იქნეს შერჩეული უკანასკნელი რწყვის ვადა და იგი ადრე უნდა დამთავრდეს.

სარწყავი წყლის გამოყენების რეჟიმი ძირითადად დამოკიდებულია: სარწყავი წყლის წყაროს რეჟიმზე, სარწყავი ქსელის მდგომარეობაზე, მოსაყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჩამონათვალზე, თესლბრუნვაზე, აგროტექნიკაზე, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ცალკეული მეურნეობისათვის ან მთელი სისტემისათვის საჭირო წყლის რაოდენობის განსაზღვრის დროს [3, 11, 36].


სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის რეჟიმი განისაზღვრება: ჯამური წყალმოთხოვნილების განსაზღვრით; მორწყვის, სარწყავი ნორმების დადგენით; მორწყვის ვადების დადგენით; რწყვათა რაოდენობის დადგენით.

2.1. ზღვრული წყალტევადობის სიდიდე კაპილარული წყალტევადობის მიმართ სხვადასხვა ნიადაგისათვის

მცენარე წყალს ნიადაგიდან ითვისებს თავისი ფესვთა სისტემის საშუალებით, ამიტომ მცენარის ზრდა-განვითარება დამოკიდებულია ნიადაგში არსებულ წყლის მარაგზე ანუ ნიადაგის ტენიანობაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, მცენარისთვის გამოსაყენებელი წყლის რაოდენობა იცვლება ჭკნობის კოეფიციენტიდან ნიადაგის ზღვრულ ტენტევადობამდე, რომელიც ხშირად ნიადაგის კაპილარულ წყალტევადობას უახლოვდება. ცხრილში 2.1.1. მოცემულია ზღვრული და კაპილარული წყალტევადობის ურთიერთდამოკიდებულება ნიადაგის სახეობის მიხედვით.

**ზღვრული წყალტევადობის სიდიდე კაპილარული
წყალტევადობის მიმართ სხვადასხვა ნიადაგისათვის
ცხრილი 2.1.1.**

ნიადაგის დასახელება	ბიცი ნიადაგი	ბიცობი ნიადაგი
თიხნარი	90–93	95–98
მძიმე თიხნარი	75–85	90–95
საშუალო თიხნარი	65–75	80–90
მსუბუქი თიხნარი	55–65	70–80
ქვიშნარი	45–55	65–70
თიხნარი, ქვიშები	35–45	55–65
ქვიშა	25–35	45–55



დიაგრამა 2.1.1. ბიცი და ბიცობი ნიადაგები

ნიადაგის ზღვრული წყალტევადობა, როგორც უკვე ითქვა, დამოკიდებულია ნიადაგის მექანიკურ შედგენილობაზე, მის სიმკვრივეზე, სტრუქტურაზე, ნიადაგში მარილებისა და ჰუმუსის რაოდენობაზე, ზემო სახნავ ფენაში ნიადაგის დამუშავების ხარისხზე.

ზღვრულ წყალტევადობაზე მეტი რაოდენობით მიწოდებული წყალი უკვე არ ჩერდება ზედა ფენებში და ქვემოთ მიედინება სიმძიმის ძალის გავლენით.

ცნობილია, რომ აღნიშნული თვისებები საკმაო ცვალებადობას განიცდის ნიადაგის ცალკეულ ფენებში და, ამიტომ, თავისთავად ცხადია, ზღვრული წყალტევადობაც იცვლება ნიადაგის ფენების მიხედვით.

პრაქტიკაში ჩვენ გვინტერესებს ნიადაგის აქტიური ფენა, სადაც გავრცელებულია მცენარის ფესვთა სისტემის ძირითადი მასა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურით დაკავებულ ფართობებზე ნიადაგის ზღვრული წყალტევადობა ამ ფენაში, უმეტეს შემთხვევაში, დაახლოებით 20–40 %-მდე მერყეობს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნიადაგში არსებული წყლის მარაგი ჭკნობის კოეფიციენტიდან ზღვრულ წყალტევადობამდე, მცენარისათვის მისაწვდომია, რომელიც ფიზიოლოგიურად სასარგებლო წყლის მარაგს შეადგენს, მაგრამ ნიადაგის წყლის მარაგის ღირებულება ამ ინტერვალში ერთნაირი არ არის.

ცნობილია, რომ რაც უფრო მეტი წყალია ნიადაგში, მით ადვილად ითვისებს მას მცენარის ფესვთა სისტემა და პირიქით, რაც უფრო კლებულობს ნიადაგში წყლის მარაგი, შესაბამისად მცირდება ფესვთა სისტემის მიერ წყლის შეთვისება.

შემჩნეულია, რომ ზღვრულ წყალტევადობიდან ზღვრული წყალტევადობის 70–80 %-მდე მცენარეთა უმრავლესობა შედარებით თანაბრად ითვისებს ნიადაგის წყალს, შემდეგ შეთვისება თანდათანობით მცირდება. ჩაის ბუჩქისათვის წყლის მარაგის ქვედა სასურველი საზღვარი ზღვრული წყალტევადობის 90-95 %-ს უდრის. მაღალია ეს საზღვარი ბოსტნეული კულტურებისათვისაც [20,41].

ამრიგად, მცენარის კომფორტული ზრდა-განვითარებისთვის არსებობს ნიადაგის ტენიანობის საკმაოდ შეზღუდული ინტერვალი - ზღვრული ტენიანობის 20-30 %, რომლის დაცვა აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დროს; ე.ი. თუ გვსურს მივიღოთ მაქსიმალური მოსავალი, ტენის რაოდენობა ნიადაგში მთელი ვეგეტაციის პერიოდში, უნდა მერყეობდეს ზღვრული წყალტევადობისა და მისი 70-80 %-ის ფარგლებში, ხოლო როდესაც ტენი ნიადაგში შემცირდება ზღვრული წყალტევადობის 70-80 %-მდე, ყოველთვის უნდა ჩატარდეს რწყვა.

სავეგეტაციო პერიოდის დასაწყისში უნდა შეფასდეს ნიადაგში არსებული გამოსაყენებელი წყლის მარაგი და განისაზღვროს დამატებითი წყლის მიწოდების აუცილებლობა და მოცულობა დამოკიდებულებებით:

$$W_{\text{მარ}} = W_{\text{გ}} - W_{\text{ზღ,80\%}} \text{ და } W = W_{\text{ზღ}} - W_{\text{გ}} \quad (2.1.1.)$$

სადაც: $W_{\text{გ}}$ არის ვეგეტაციის დასაწყისში ნიადაგში არსებული წყლის საერთო ფაქტობრივი რაოდენობა, მ³/ჰა;

$W_{\text{ზღ,80\%}}$ - მცენარისათვის ნიადაგში არსებული ტენის ოპტიმალური მარაგის ქვედა საზღვარი, ზღვრული წყალტევადობის 80 %-ის შესაბამისი წყლის მოცულობა, მ³/ჰა;

$W_{\text{ზ}}$ - ნიადაგის ზღვრული წყალტევადობის შესაბამისი წყლის მოცულობა, მ³/ჰა.

წყლის არსებული, ზღვრული წყალტევადობის და ტენის ოპტიმალური მდგომარეობის ქვედა საზღვრის შესაბამისი მოცულობები ანგარიშდება დამოკიდებულებით:

$$W = 100 \cdot H \cdot \alpha \cdot r \text{ მ}^3/\text{ჰა} \quad (2.1.2.)$$

სადაც: H - არის აქტიური ფენის სიღრმე, მ;

α - ნიადაგის მოცულობითი წონა;

r - ნიადაგში არსებული წყლის შესაბამისი შემცველობა წონითი პროცენტებით.

იმის გათვალისწინებით, რომ სარწყავი რეგიონების დიდ ნაწილში ზამთრის განმავლობაში თოვლის მდგრადი საფარი არ არის და ზოგადად აღინიშნება ნალექების სიმცირე, სავეგეტაციო პერიოდის დასაწყისისთვის ნიადაგის ფაქტიური ტენტევადობა, როგორც წესი, ნაკლებია ტენის ოპტიმალური მდგომარეობის ქვედა საზღვრის შესაბამის ტენტევადობაზე, რის გამოც წყლის მარაგის მოცულობა უარყოფითია, რაც მიუთითებს ვეგეტაციის დასაწყისამდე ნიადაგში წყლის მარაგის შევსების აუცილებლობაზე [22, 25].

მცენარის წყალმოთხოვნილებაზე დიდ გავლენას ახდენს სავეგეტაციო პერიოდში მოსული ნალექები, რომელთა რაოდენობა (მ³/ჰა) იანგარიშება ფორმულით:

$$W_{\text{წ}} = 10P\mu \text{ (მ}^3/\text{ჰა)} \quad (2.1.3.)$$

სადაც: P არის ვეგეტაციის პერიოდში მოსალოდნელი ნალექების რაოდენობა, მმ;

μ – ნალექების დაკავების კოეფიციენტი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული მინდვრიდან ნიადაგის ტენი იხარჯება ზედაპირიდან ფიზიკურ აორთქლებასა და ტრანსპირაციაზე, ანუ ევაპოტრანსპირაციაზე.

ევაპოტრანსპირაცია მოიცავს: წყლის აორთქლებას ატმოსფეროში ნიადაგის ზედაპირიდან, აორთქლებას, ანუ ევაპორაციას მიწისქვეშა წყლების კაპილარული არედან და აორთქლებას ხმელეთზე განლაგებული წყლის ობიექტებიდან. ევაპოტრანსპირაცია ასევე გულისხმობს ტრანსპირაციას, რაც გამოიხატება წყლის მოძრაობით ნიადაგიდან ატმოსფეროში მცენარეების საშუალებით.

ფიზიკური აორთქლებისა და ტრანსპირაციის ურთიერთთანაფარდობა საერთო წყალმოთხოვნილებაში დამოკიდებულია: კლიმატურ პირობებზე, მცენარის სახეობაზე, მისი ზრდა-განვითარების ეტაპებზე.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარების საწყის პერიოდში ფიზიკური აორთქლება ჭარბობს ტრანსპირაციას. შემდეგ ეს თანაფარდობა შებრუნებით იცვლება.

ა. კოსტიაკოვმა პირველმა ჯამური წყალმოთხოვნილება დაუკავშირა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობას, რომელიც განისაზღვრა შემდეგი დამოკიდებულებით:

$$E = KY \quad (2.1.4.)$$

სადაც: E - არის სასოფლო-სამეურნეო კულტურის წყალმოთხოვნილება მთელ სავეგეტაციო პერიოდში, მ³/ჰა-ზე;

Y - კულტურის საპროექტო მოსავლიანობა, ტ/ჰა;

K_გ - წყალმოთხოვნილების კოეფიციენტი, ხვედრითი ჯამური წყალმოთხოვნილება მოსავლის ერთეულზე, მ³/ტ.

საქართველოს პირობებისათვის მცენარის ჯამური წყალმოთხოვნილების განსაზღვრა შესაძლებელია პროფ. ი. ჩხენკელის დამოკიდებულების მიხედვით:

$$E = K_{\beta} \Sigma D \quad (2.1.5.)$$

სადაც: ΣD -ჰაერში ტენიანობის დეფიციტის ჯამი საანგარიშო პერიოდში;

K_{β} -არის წყალმოთხოვნილების კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება საველე ექსპერიმენტების საფუძველზე.

ევაპოტრანსპირაციაა ტრანსპირაციისა და ფიზიკური აორთქლების ჯამი ანუ ჯამური წყალმოთხოვნილება:

$$W_{სწ} = W_{ტრ} + W_{ს} \quad (2.1.6.)$$

სადაც: $W_{ს}$ -ნიადაგის ზედაპირიდან აორთქლებული წყლის რაოდენობა, რომელიც

ტრანსპირაციის დაახლოებით ნახევარს შეადგენს;

$W_{ტრ}$ - ტრანსპირაციაზე დახარჯული წყლის რაოდენობა, ტრანსპირაციაზე დახარჯული წყლის რაოდენობა, განისაზღვრება დამოკიდებულებით :

$$W_{ტრ} = VK \text{ მ}^3/\text{ჰა}, \quad (2.1.7.)$$

სადაც: K - არის ტრანსპირაციის კოეფიციენტი, მიიღება ცხრილის 2.2. მიხედვით;

V -ერთი ჰექტარი ფართობიდან მიღებული მთლიანი მოსავალი (მარცვალი, ღერო, ფოთოლი, ფესვი), რომელიც განისაზღვრება დამოკიდებულებით

$$V = V_{ტრ} \cdot \alpha \quad (2.1.8.)$$


სადაც: $V_{ტრ}$ -ერთ ჰექტარზე დაგეგმილი პროდუქტიული მოსავალი;

α -საერთო მშრალი პროდუქტიული მოსავლის მთლიან მოსავალში გადამყვანი კოეფიციენტი, ცხრილის 2.1.2. მიხედვით.

**ტრანსპირაციის კოეფიციენტის (K) და პროდუქტიული მოსავლის
საერთო მშრალ მოსავალში გადამყვანი კოეფიციენტის (α)
მნიშვნელობები**

ცხრილი 2.1.2.

კულტურა	K	α	კულტურა	K	α
ხორბალი	400–500	2,17	სამყურა	400–500	0,95
ქერი	300–650	1,17	იონჯა	400–800	0,95
შვრია	350–650	1,35	კარტოფილი	250–400	0,25
სიმინდი	250–400	1,28	ბოსტნეული	300–700	0,30
შაქრის ჭარხალი	250–400	0,35	ბაღჩეული	600–750	0,20



**დიაგრამა 2.1.2. ტრანსპირაციის კოეფიციენტის (K) და პროდუქტიული
მოსავლის საერთო მშრალ მოსავალში გადამყვანი კოეფიციენტის (α)
მნიშვნელობები**

მცენარე თავისი ზრდა-განვითარებისათვის მეტად დიდი როლდენობის წყალს საჭიროებს, წყალი მცენარეების ზრდა-განვითარებისათვის და მიმდინარე ბიოქიმიური პროცესებისათვის მნიშვნელოვანი პირობაა. წყლის უკმარისობა მცენარე-

რეზე აისახება ისევე, როგორც განვითარებისათვის აუცილებელი ელემენტის ნაკლებობა.

ნიადაგის წყალი წარმოადგენს მცენარეებისა და მიკროორგანიზმებისათვის საჭირო წყლის ერთადერთ წყაროს. სხვა პირობებთან ერთად, ნიადაგის წყლის რაოდენობასა და მდგომარეობაზე დამოკიდებულია მცენარის ზრდა-განვითარება [21, 32].

მცენარისათვის საჭირო წყლის რაოდენობაზე დაახლოებით წარმოდგენას გვაძლევს ტრანსპირაციის კოეფიციენტი - წყლის ის რაოდენობა, რომელსაც ხარჯავს მცენარე განსაზღვრულ პირობებში თავისი მშრალი ნივთიერების წონის ერთეულის შესაქმნელად. მაგალითად ხორბლის ტრანსპირაციის კოეფიციენტი 449 , სიმინდის – 349, იონჯის – 853.

ბოლო 50 წლის განმავლობაში დამუშავებულია დიდი რაოდენობის ემპირიული მეთოდები ევაპოტრანსპირაციის შესაფასებლად სხვადასხვა კლიმატური პარამეტრების გამოყენებით.

ევაპოტრანსპირაცია (ET) ჩვეულებრივ გამოიყენება წყლის დანაკარგის ორი პროცესის აღსაწერად დედამიწის ზედაპირიდან ატმოსფეროში - აორთქლება და ტრანსპირაცია.



სურ. 2.1.1. ევაპოტრანსპირაცია და ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური

სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ET_c განისაზღვრება ფორმულით

$$ET_c = ET_o \cdot K_c \quad (2.1.9)$$

სადაც: K_c - არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიოლოგიური წყალმოთხოვნილების კოეფიციენტი და იცვლება მცენარის ზრდა-განვითარების სტადიების მიხედვით.

პენმან - მონტეიტის მეთოდით განისაზღვრება საკონტროლო ევაპოტრანსპირაცია:

$$ET_o = \frac{0.408\Delta(R_n - G) + \gamma \frac{900}{T+273} U_2 (e_s - e_a)}{\Delta + \gamma(1 + 0.34U_2)} \quad (2.1.10.)$$

სადაც: ET_o - პოტენციური (საკონტროლო) ევაპოტრანსპირაცია [მმ დღე⁻¹]

R_n - ნეტო გამოსხივება ს/ს კულტურის ზედაპირზე [MJ მ⁻² დღე⁻¹]

G - ნიადაგის ზედაპირზე სითბური ნაკადის ინტენსიურობა [MJ მ⁻² დღე⁻¹]

T - საშუალო დღიური ტემპერატურა 2 მ სიმაღლეზე [°C]

U_2 - ქარის სიჩქარე 2 მ სიმაღლეზე [m s⁻¹]

e_s - გაჯერებული ორთქლის წნევა [kPa]

e_a - ფაქტიური ორთქლის წნევა [kPa]


$(e_s - e_a)$ - გაჯერებული ორთქლის წნევის დეფიციტი [kPa]

Δ - ორთქლის წნევის მრუდის დახრილობა [kPa °C⁻¹]


γ - ფსიქომეტრული მუდმივა [kPa °C⁻¹].

მაგალითად ET_o თვეების მიხედვით იანგარიშება შემდეგნაირად: ვენახი ყვავილობას იწყებს აპრილის თვეში, სავეგეტაციო პერიოდი აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით, პირველი ფაზა 30 დღე, მეორე ფაზა 60 დღე, მესამე ფაზა 40 დღე, მეოთხე


ფაზა 50 დღე. სულ 180 დღე. 1 საწყისი ფაზა, 2 ზრდა განვითარება, 3 სიმწიფის ფაზა, 4 მოსავლის აღება




ვენახის ზრდა განვითარების პერიოდში



წესვის ზრდა განვითარების პერიოდში



კიტრის ზრდა განვითარების პერიოდში



პომიდორის ზრდა განვითარების პერიოდში

ET₀ განსაზღვრულია ტენიანობის გრაფიკიდან დამოკიდებულებით


$$p(0,46t+8) \quad (2.1.11.)$$

ET₀-ის მნიშვნელობები სავეგეტაციო ფაზების მიხედვით

ცხრილი 2.1.3.

2 ჩრდილოეთი	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
3 სამხრეთი	10	11	12	13	14	15	4	5	6	7	8	9
	VII	VIII	IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI
60	15	20	26	32	38	41	40	34	28	22	17	13
58	16	21	26	32	37	40	39	34	28	23	18	15
56	17	21	26	32	36	39	38	33	28	23	18	16
54	18	22	26	31	36	38	37	33	28	23	19	17
52	19	22	27	31	35	37	36	33	28	24	20	17
50	19	23	27	31	34	36	35	32	28	24	20	18
48	20	23	27	31	34	36	35	32	28	24	21	19
46	20	23	27	30	34	35	34	32	28	24	21	20
44	21	24	27	30	33	35	34	31	28	25	22	20

2 ჩრდილოეთი	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
42	21	24	27	30	33	34	33	31	28	25	22	21
40	22	24	27	30	32	34	33	31	28	25	22	21
35	23	25	27	29	31	32	32	30	28	25	23	22
30	24	25	27	29	31	32	31	30	28	26	24	23
25	24	26	27	29	30	31	31	29	28	26	25	24
20	25	26	27	28	29	30	30	29	28	26	25	25
15	26	26	27	28	29	29	29	28	28	27	26	25
10	26	27	27	28	28	29	29	28	28	27	26	26
5	27	27	27	28	28	28	28	28	28	27	27	27
0	27	27	27	27	27	27	27	27	27	27	27	27



დიაგრამა 2.1.3. ET₀ მნიშვნელობები

ფიზიკური აორთქლება და ტრანსპირაცია ხდება ერთ-დროულად და ორივე პროცესი დამოკიდებულია მზის გამოსხივებაზე (რადიაციაზე), ჰაერის ტემპერატურაზე, ფარდობით ტენიანობაზე (ანუ წყლის ორთქლის დეფიციტზე) და ქარის სიჩქარეზე. ტრანსპირაციის სიჩქარეზე ასევე გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახეობა (მისი ფიზიოლოგია), ეკოლოგიური ასპექტები და კულტივირების მეთოდები.

შესაბამისად, სხვადასხვა მცენარეულ საფარს შეიძლება ჰქონდეს ტრანსპირაციის სხვადასხვა მნიშვნელობა. არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კულტურის ტიპი, არამედ მისი ზრდა-განვითარების სტადიები, გარემო და მართვა უნდა მივიღოთ მხედველობაში ტრანსპირაციის შეფასების დროს. მცენარის განვითარების საწყის ფაზაში წყალი ძირითადად იკარგება ნიადაგის ზედაპირიდან აორთქლებით, ხოლო, როდესაც მცენარე კარგად არის განვითარებული (მცენარის კარგად განვითარებული ბიომასა) და თითქმის ფარავს ნიადაგის ზედაპირს, ტრანსპირაცია წარმოადგენს ძირითად პროცესს.

თავი 3. რწყვის რეჟიმი

3.1. სარწყავი ნორმა

სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმოთხოვნილება ბუნებრივ პირობებში შეიძლება დაკმაყოფილებული იქნას ნიადაგში არსებული ტენისა და ატმოსფერული ნალექების ხარჯზე, მაგრამ გვალვიან პერიოდებში ტენის ეს რაოდენობა ხშირად საკმარისი არ არის და ამიტომ საჭიროა რწყვის ჩატარება. წყლის რაოდენობა, რომელიც უნდა მიეწოდოს 1 ჰა ფართობს მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში სარწყავი ნორმა განისაზღვრება შემდეგი დამოკიდებულებით:

$$M = E - \mu P - W_{\text{წ}} - W_{\text{გრ}} \quad (3.1.1.)$$

სადაც: M - არის სარწყავი ნორმა, მ³/ჰა;

E - სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმოთხოვნილება სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, მ³/ჰა;

P - მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა სავეგეტაციო პერიოდში, მმ;

μ - ატმოსფერული ნალექების დაკავების კოეფიციენტი;


$W_{\text{წ}}$ - ნიადაგში არსებული წყლის მარაგიდან გამოყენებული წყალი, მ³/ჰა;

$W_{\text{გრ}}$ - სავეგეტაციო პერიოდში მცენარის მიერ გამოყენებული გრუნტის წყალი, მიიღება, გრუნტის წყლის დგომის დონის მიხედვით (ცხრილი 3.1.) მ³/ჰა.

მცენარის მიერ გრუნტის წყლის გამოყენება

ცხრილი 3.1.1.

გრუნტის წყლის დონე ნიადაგის ზედაპირიდან, მ	გამოყენებული წყალი, მ ³ /ჰა	
	მტკნარი	სუსტად დამლაშებული
1,0	2 500	900
1,5	1 500	800
2,0	800	600
2,5	400	300
3,0	100	0



გრაფიკი 3.1.1. მცენარის მიერ გრუნტის წყლის გამოყენება

სარწყავი ნორმა სხვადასხვა კულტურისათვის ცვალებადია; მაგალითად მარცვლოვანებისათვის შეადგენს 2700–3500 მ³/ჰა-ს; სიმინდისთვის – 2100–4000 მ³/ჰა-ს; ვენახებისთვის და ბაღებისთვის - 2200–4800 მ³/ჰა-ს; ბოსტნისთვის – 1000–5000 მ³/ჰა-ს.

ბუნებრივია, მთელი სარწყავი ნორმის ერთ ჯერზე ფართობზე მიშვება არ შეიძლება. ეს გამოიწვევს გრუნტის წყლის დონის აწევას და ამასთან სარწყავი წყლის დიდი ნაწილი

უქმად დაიკარგება. სარწყავი ნორმა დაახლოებით თანაბრად უნდა განაწილდეს მთელ სავეგეტაციო პერიოდზე, მორწყვის ნორმების სახით. მორწყვის ნორმაა წყლის ის რაოდენობა რომელიც საჭიროა ერთი ჰექტარი ფართობის მოსარწყავად ერთი მორწყვის დროს [12, 41].

3.2. მორწყვის ნორმა

ოპტიმალური ტენიანობის პირობებში მცენარის მიერ წყლის მთლიანი ხარჯვა ძირითადად ჰაერში წყლის დეფიციტზეა დამოკიდებული და მით მეტია, რაც უფრო მნიშვნელოვანია დეფიციტის სიდიდე. ცნობილია, რომ ატმოსფერული ნალექები სავეგეტაციო პერიოდში ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნულ ბალანსს ჰაერში წყლის დეფიციტსა და მთლიან ხარჯვას შორის და ზოგჯერ ადგილი აქვს მათ შორის საგრძნობ სხვაობას.

მორწყვის ამოცანას წარმოადგენს ამ სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა, რაც საჭიროებს მისაწოდებელი წყლის რაოდენობისა და მორწყვის დროის სათანადო შერჩევას.

ვინაიდან მორწყვა მცენარის სავეგეტაციო პერიოდის განსაზღვრულ ინტერვალებში ტარდება, ცხადია, ამ პერიოდის განმავლობაში ნიადაგის ტენიანობის სიდიდე ცვლილებას განიცდის. მორწყვის დანიშნულებაა:

- რაც შეიძლება ხანგრძლივი იყოს ოპტიმალური ტენიანობა და დიდი ხნით შერჩეს ის ნიადაგს;
- არასოდეს დაეცეს ნიადაგის ტენიანობა ფიზიოლოგიურ ზღვრამდე;
- მორწყვის ხანგრძლივობა და კალენდარული ვადა შეხამებული იყოს შემდგომ აგროტექნიკურ ღონისძიებებთან.

მორწყვის საშუალებით უნდა დამყარდეს მცენარისათვის სასურველი წყლისა და ჰაერის რეჟიმი ნიადაგის აქტიურ ფენაში (H), ე.ი. იმ ფენაში, სადაც გავრცელებულია მცენარის ფესვთა სისტემის მთავარი მასა.

აქტიური ფენა დამოკიდებულია, როგორც თვით კულტურაზე, ისე ნიადაგის გატენიანების ინტენსივობასა და სიღრმეზე. მცირე სიღრმეზე გატენიანების გამო აქტიური ფენა შეიძლება მცირე იყოს. სასურველი არ არის ფესვთა სისტემის სიღრმის ხელოვნურად შემცირება, ვინაიდან ამით შემცირდება მცენარისათვის გამოსაყენებელი ნიადაგის მოცულობაც და, მასთან ერთად, საკვები ნივთიერების მიწოდება.

მორწყვის ნორმა წყლის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ერთი ჰექტარი ფართობის მოსარწყავად ერთი მორიგი მორწყვის დროს და განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$M=100H\alpha (r_{\text{ზღ}} - r_{\text{ზღ } 80\%})\theta^3/3\alpha \quad (3.2.1.)$$

სადაც: H - არის ნიადაგის აქტიური ფენა, სადაც გავრცელებულია მცენარის ფესვთა სისტემის ძირითადი ნაწილი. აქტიური ფენის ჩვეულებრივ სიღრმედ მიჩნეულია: ბოსტნეული მცენარეებისათვის - 0,3–0,5 მ; მინდვრის მცენარეებისათვის - 0,6–0,8 მ; მრავალწლიანი ნათესებისათვის - 0,7–0,8 მ;

α - ნიადაგის მოცულობითი მასაა, გრ/სმ³;

$r_{\text{ზღ}}$ - ზღვრული ტენტევადობა, %;

$r_{\text{ზღ } 80\%}$ - რწყვის წინ ნიადაგში დასაშვები ტენის რაოდენობა, %;

მორწყვის ნორმის განსაზღვრა რამდენიმე წესით შეიძლება, მაგ., თუ გარკვეულია ნიადაგში არსებული წყლის მარაგი და ცნობილია ამ ნიადაგის დამახასიათებელი მაქსიმალური ტენიანობა, მათი სხვაობა მორწყვის ნორმას მოგვცემს.

ტენიანობის მაქსიმუმის მაჩვენებელია ზღვრული წყალ-ტევადობა, რომელიც ზოგჯერ სრული წყალტევადობის 90%-ს აღწევს. მორწყვის ნორმა ასევე შეიძლება განვსაზღვროთ:

$$m = W_{\text{მ.ა.}} - W_0 \quad (3.2.2.)$$

სადაც: m - არის მორწყვის ნორმა, $\text{მ}^3/\text{ჰა}$;

$W_{\text{მ.ა.}}$ - ტენიანობის მაქსიმალური რაოდენობა, მ^3 ;

W_0 - ნიადაგში არსებული წყლის მარაგი, მ^3 .

ნიადაგში ტენიანობის მინიმალური ზღვრის მაჩვენებელია ჭკნობის კოეფიციენტი, ანუ ტენიანობის ის რაოდენობა, რომლის ქვევით არსებული წყლის მარაგი მცენარისათვის მიუწვდომელია, ფიზიოლოგიურად უსარგებლოა. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ნიადაგში არსებული წყლის მარაგის შემცირება ჭკნობის კოეფიციენტამდე დაუშვებელია, იგი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მიხედვით ყოველთვის უნდა აღემატებოდეს ზღვრული წყალტევადობის 70%. ზოგადად:

$$m = r_{\text{ზღ.}} - r_{\text{ს.ა.}} \quad (3.2.3.)$$

სადაც: $r_{\text{ზღ.}}$ - არის ზღვრული წყალტევადობა;

$r_{\text{ს.ა.}}$ - სასურველი მინიმუმი

როგორც ვიცით, მცენარის მიხედვით ტენის სასურველი მინიმუმი ზღვრული წყალტევადობის 70-80-90%-მდე მერყეობს.

მორწყვის ნორმაზე გავლენას ახდენს გრუნტის წყლის მდებარეობაც. თუ ეს უკანასკნელი ნიადაგის ზედაპირთან ახლოს მდებარეობს და რწყვის საშუალებით მოსალოდნელია მიწოდებული და ნიადაგქვეშა წყლების გაერთიანება, რამაც შეიძლება დაჭაობება გამოიწვიოს (განსაკუთრებით ალაზნის ველის აღმოსავლეთ ნაწილში), ამ შემთხვევაში მორწყვის ნორმა ხელოვნურად უნდა შემცირდეს. მორწყვის ნორმა ხელოვნურად უნდა შემცირდეს აგრეთვე იმ შემთხვევაშიც,

როდესაც ნიადაგის აქტიური ფენის ქვედა ნაწილი ან უშუალოდ მის ქვემოთ მდებარე შრე არის ძლიერ მსუბუქი მექანიკური შედგენილობის, ვინაიდან ასეთი შრე საანგარიშო რაოდენობის წყალს ვერ შეიკავებს და იგი უსარგებლოდ ჩავა სიღრმეში. მორწყვის ნორმა უნდა შემცირდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ქვედა ფენა ძლიერ მლაშეა. მორწყვის ნორმა უნდა შემცირდეს იმ მოსაზრებით, რომ წყალმა არ მიაღწიოს ამ მლაშე ფენას და შემდგომ, აორთქლების გამო გახსნილი მარილები ზედა ფენაში არ დაგროვდეს [13, 25, 40].

მორწყვის ნორმა უნდა გაიზარდოს იმ შემთხვევაში, როდესაც აქტიური ფენა დამლაშებულია – გაზრდილი მორწყვის ნორმით მორწყვით დროებით შესაძლებელია ქვედა ფენებში მარილების ჩარეცხვა. განსაკუთრებით ეს საჭიროა აღმოცენების პერიოდში, თუ ზედა ფენაში დაგროვებულია მარილები.

მოყვანილი წესით დადგენილ მორწყვის ნორმას, თუ მასზე გავლენას არ ახდენს გრუნტის წყლის ან მარილების ზედაპირთან ახლო მდებარეობა, საქართველოს პირობებში საერთოდ არ ესაჭიროება გაზრდა, რაც შემდეგი გარემოებით არის განპირობებული: ჩვენში უმეტეს შემთხვევაში გავრცელებული მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგი ხასიათდება შედარებით ნელი წყალჟონვადობით და მიცემული მორწყვის ნორმა დროულად ვერ ჩადის გათვალისწინებულ სიღრმემდე, უმეტესი ნაწილი ჩერდება ზედა, შედარებით დიდი წყალტევადობის მქონე ფენაში. შედეგად, ქვედა ფენა რჩება ნაკლებ გატენიებული და ზოგჯერ წყალი სრულებით ვერ აღწევს მას. ამიტომ, ვითვალისწინებთ რა ამ გარემოებას, თავიდანვე ვაძლევთ მოთხოვნილი მორწყვის ნორმის 10–15%-ით მეტ წყალს.

განგარიშებული მორწყვის ნორმის დამოკიდებულებაში შეგვყავს შემასწორებელი კოეფიციენტი და თვით დამოკიდებულება იღებს შემდეგ სახეს:

$$m = 100H\alpha K(r_{\text{ზღ}} - r_{\text{ზღ}80\%}) \text{ მ}^3/\text{ჰა}. \quad (3.2.4.)$$

მორწყვის ნორმა აუცილებლად უნდა გაიზარდოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც თეორიულად განგარიშებული ნორმა მეტად მცირეა (400–500 მ³) ზღვრული წყალტევადობის სიმცირის გამო. ასეთი მორწყვის ნორმით მორწყვა მეტად ძნელია მრწყვეველისათვის, მეტ შრომას მოითხოვს და, როგორც შემდეგში დავინახავთ, მორწყვის ტექნიკის ელემენტები არახელსაყრელი ცვლილებების შეტანას მოითხოვს.

ფაქტობრივი მორწყვის ნორმა დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე, არსებულ წყლის მარაგსა და განსაკუთრებით - რწყვის მიღებულ ტექნიკაზე.

წყალუხვ რაიონში, მით უმეტეს, თუ რწყვის ტექნიკაც განვითარების დაბალ საფეხურზე დგას, მორწყვის ნორმა მაქსიმუმს აღწევს. მსხვილი სარწყავი სისტემის ტერიტორიაზე მორწყვის ფაქტობრივი ნორმა განსხვავდება სავარგულების მდებარეობის მიხედვით [15, 27, 42].

ფაქტობრივი მორწყვის ნორმების არსებობა ზოგჯერ განგარიშების შედეგებში აუცილებელი კორექტივის შეტანის საშუალებას იძლევა. ფაქტობრივი მორწყვის ნორმების შესწორება და ოპტიმალურ ნორმებამდე დაყვანა დამოკიდებულია რწყვის ტექნიკასა და საერთოდ აგროტექნიკურ ღონისძიებათა გაუმჯობესებაზე. შეუძლებელია თვით გაუმჯობესებული რწყვის ტექნიკის დანერგვა, თუ იგი შეხამებული არ არის აგროტექნიკის სხვა ღონისძიებებთან. აგროტექნიკურ ღონისძიებათა გაუმჯობესებასთან ერთად რწყვის ტექნიკაც უმჯობეს-

დება და მასთან ერთად ფაქტობრივი მორწყვის ნორმა ოპტი-
მალურს უახლოვდება.

3.3. რწყვის ვადების დადგენა

სავეგეტაციო პერიოდში რწყვის ვადების დადგენა წარ-
მოებს ნიადაგის აქტიურ ფენაში წყლის ბალანსის დინამიკის
გათვალისწინებით. რწყვის ვადები ისე უნდა შეირჩეს, რომ
ნიადაგში არსებული ტენი მცენარისათვის ოპტიმალურ ზღვარ-
ზე ქვევით არ დაეცეს და თან შეხამებული იყოს შემდგომ აგრო-
ტექნიკურ ღონისძიებასა და მცენარის განვითარების ფაზებთან.

რწყვის ვადები განისაზღვრება ნიადაგის აქტიურ ფენაში
წყლის ბალანსის დინამიკის მიხედვით. ამისათვის საჭიროა
ვიცოდეთ:

- ნიადაგის აქტიურ ფენაში არსებული წყლის მარაგი
პირველი რწყვის წინ – W_0 ;
- ნიადაგის წყლის სასურველი მაქსიმალური ზღვარი –
 $W_{\text{მაქ}}$;
- შემდეგი რწყვის დაწყებამდე, ე.ი. რწყვათაშორის პერი-
ოდში ევაპოტრანსპირაცია ანუ წყლის საშუალო ხარჯვა (დღი-
ური), რომელიც შედგება საკუთრივ ტრანსპირაციის ხარჯვისა
და ნიადაგის ზედაპირიდან აორთქლებისაგან;
- რწყვათაშორის პერიოდში მოსალოდნელი ატმოსფერუ-
ლი ნალექების რაოდენობა.

ნიადაგში წყლის სასურველი მაქსიმალური ზღვარისა და
აქტიურ ფენაში არსებული წყლის მარაგის სხვაობა როგორც
ცნობილია, მოგვცემს მორწყვის ნორმას, რომელიც გაიხარჯება
შემდეგი რწყვის დაწყებამდე.

მორწყვის ნორმის გარდა, მხედველობაში მისაღებია რწყვა-თაშორის პერიოდში მოსული ნალექები, რომელთა ნაწილი (μ) ნიადაგის მიერ იქნება შეთვისებული და გაზრდის წყლის მარაგს ნიადაგში [24, 30].

მორიგი რწყვა უნდა ჩატარდეს მაშინ, როცა ნიადაგში წინა რწყვით მიცემული წყლით (m) და ამავე პერიოდში მოსული ნალექებით (μP) შექმნილი წყლის მარაგი დაიხარჯება. რომ გავიგოთ, თუ რამდენ დღეში დაიხარჯება ნიადაგში შექმნილი წყლის მარაგი, უნდა ვიცოდეთ ნიადაგის ზედაპირიდან წყლის საშუალო დღელამური ხარჯვა:

$$e = \alpha \times t^0 \left(1 - \frac{r}{100}\right) \text{ მმ}, \quad (3.3.1.)$$

სადაც: α კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ნიადაგის ზედაპირის მდგომარეობას, მცენარის თავისებურებასა და ქარის სიჩქარეს და იცვლება 0,6–1,1-ის ფარგლებში;

t^0 - საშუალო დღიური ტემპერატურა რწყვათაშორის პერიოდში, $^{\circ}C$;

α -0,6-1,1 კოეფიციენტი დამოკიდებულია ნიადაგის დამუშავების ხარისხსა და ქარის სიჩქარეზე

r - ჰაერის ფარდობითი ტენიანობა იმავე პერიოდში, %.
არის საშუალო დღიური ტემპერატურა რწყვათაშორის პერიოდის განმავლობაში

რწყვათა შორის პერიოდი T გამოითვლება დამოკიდებულიებით:

$$T = \frac{m+10\mu P}{e} \text{ დღე-ღამე} \quad (3.3.2.)$$

სადაც: m - არის მორწყვის ნორმა, $მ^3/ჰა$;

μ - ნალექების დაკავების კოეფიციენტი;

P - რწყვათაშორის პერიოდში მოსალოდნელი ნალექების რაოდენობა, $მმ$;

10 - ნალექების რაოდენობის გადამყვანი კოეფიციენტი, მმ-დან მ³/ჰა-ში;

e - ნიადაგის ზედაპირიდან წყლის საშუალო დღელამური ხარჯვა, მ³/ჰა.

შემდეგი რწყვა უნდა ჩატარდეს წინა რწყვის დაწყებიდან T დღის შემდეგ. რწყვათაშორის პერიოდის განსაზღვრის დროს მხედველობაში არ მიიღება დეკადაში ნალექების 5 მმ-ზე ნაკლები რაოდენობა.

რწყვის ვადების დადგენა შეგვეძლება, თუ ყოველ ცალკეული პერიოდისთვის გვეცოდინება საშუალო დღე-ღამური ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა და ნალექების რაოდენობა.

მორწყვათა რაოდენობა და ვადა საორიენტაციოა და შემდეგ ერთგვარ კორექტივებს საჭიროებს ადგილობრივი პირობების, გამოცდილების მიხედვით.

რწყვის ფაქტობრივი ვადების დადგენის საუკეთესო და მეტად ზუსტ საშუალებად უნდა ჩაითვალოს ვეგეტაციის პერიოდის განმავლობაში ნიადაგში აქტიური ფენის ფარგლებში ტენიანობის დინამიკაზე დაკვირვება.

ნიადაგის ტენიანობის განსაზღვრა აქტიურ ფენაში უნდა ხდებოდეს ყოველ 5–6 დღეში ერთხელ და ტენიანობის ზღვრული წყალტევადობის 80 %-თან მიახლოება მორიგი რწყვის საჭიროების მაჩვენებელი უნდა იყოს. ამ დროს წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული სათანადო მელიორაციული მაჩვენებლები (ზღვრული წყალტევადობა და მოცულობითი მასა). ნებისმიერ შემთხვევაში რწყვის ვადა უნდა დაუკავშირდეს მცენარის განვითარების ძირითად ფაზებს. ამისათვის, რასაკვირველია, აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მათი განვითარების ფაზებისა და განსაკუთრებით მორწყვასთან დაკავშირებული თავისებურებები.

3.4. ჰაერში ტენის დეფიციტის გათვალისწინებით მორწყვის ვადების კორექტირება

მცენარის მორწყვის რეჟიმით გათვალისწინებულ ვადებში მორწყვის განხორციელება წარმოადგენს სარწყავი წყლის მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების ძირითად ღონისძიებას, რაც გულისხმობს მორწყვის კალენდარული ვადების გამოყენებას.

მორწყვის კალენდარულ ვადები უნდა ვეძიოთ და მორწყვა მაქსიმალურად უნდა დავუახლოვოთ მცენარის ნამდვილი მოთხოვნილების ვადას.

თითოეული კონკრეტული წელი გამოირჩევა მისთვის დამახასიათებელი ატმოსფერული ნალექის რაოდენობით და, განსაკუთრებით განაწილებით, ნიადაგის მიერ მთლიანი აორთქლების დინამიკაზე მოქმედ ფაქტორთა თავისებურებით [34, 40].

ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მცენარის ვეგეტაციის პერიოდში ყოველი მორიგი მორწყვის ვადის სპეციალურად დადგენა, რასაც მორწყვის ვადების კორექტირება "შესწორება" ეწოდება.

ჰაერში წყლის დეფიციტზეა დამოკიდებული ოპტიმალური ტენიანობის პირობებში მცენარის მიერ წყლის მთლიანი ხარჯვა (ტრანსპირაცია და ნიადაგის ზედაპირიდან აორთქლება). აღნიშნული დეფიციტის ზრდასთან ერთად იზრდება მცენარის მიერ წყლის მთლიანი ხარჯვა.

ატმოსფერული ნალექები სავეგეტაციო პერიოდში ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფენ შეფარდებას ჰაერში წყლის დეფიციტსა და მთლიან ხარჯვას შორის და სინამდვილეში ადგილი აქვს მათ შორის ზოგჯერ საგრძნობ სხვაობას.

ამიტომ მორწყვის ამოცანას შეადგენს ამ სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა, რაც საჭიროებს მორწყვის ნორმებისა და ვადების შერჩევას, ვადების კორექტირებას. რადგან რწყვა დროის გარკვეულ ინტერვალში ტარდება, ცხადია ამ ინტერვალში ნიადაგის ტენიანობა ცვლილებას განიცდის. რწყვის საშუალებით უნდა დამყარდეს მცენარისათვის სასურველი წყლისა და ჰაერის რეჟიმი ნიადაგის აქტიურ ფენაში (იმ ფენაში სადაც გავრცელებულია მცენარეთა სისტემის ძირითადი ნაწილი).

აქტიური ფენა დამოკიდებულია როგორც თვით კულტურაზე, ისე ნიადაგის გატენიანების ინტენსივობასა და სიღრმეზე.

3.5. სამეურნეო დანიშნულების მიხედვით მორწყვის სახეები

მელიორაციულ პრაქტიკაში მოქმედების ხასიათის მიხედვით არჩევენ:

1. **რეგულარულ-სავეგეტაციო რწყვა** - წარმოადგენს ძირითად რწყვას სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის. იგი ტარდება ვეგეტაციის პერიოდში მცენარის წყალმოთხოვნილების შესაბამისად დადგენილი მორწყვის ნორმებისა და რწყვის ვადების მიხედვით. მორწყვის ეს სახე გავრცელებულია დაახლოებით მთელი სარწყავი ფართობების 85%-ზე.

2. **ერთჯერადი-ტენდამაგროვებელი რწყვა** - იგი ტარდება გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში ნიადაგში გარკვეული ტენის მარაგის შესაქმნელად, რაც ხელს უწყობს გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწესებულ ვადებში ჩატარებას. ტენდამაგროვებელი რწყვა გამოიყენება სარწყავი წყლით ღარიბ რეგიონებში, ხოლო ისეთი რეგიონებისათვის, სადაც გაზაფხულის პერიოდი ნალექების სიუხვით ხასიათდება, იგი

საზიანოა, ვინაიდან ზამთრის რწყვა ნიადაგს ზედმეტად ატენიანებს, ნიადაგი დროულად არ შრება და თესვა ჭიანურდება. ტენდამაგროვებელი რწყვა კარგ შედეგს იძლევა ხეხილისა და ვაზის ნარგავებისათვის.

3. **ხენისწინა რწყვა** – ტარდება ხენის წინ ნიადაგის დასამუშავებლად ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.

4. **თესვისწინა რწყვა** – თესლის დროული და ნორმალური აღმოცენებისათვის საჭიროა ჩატარდეს სპეციალური რწყვა თესვის დამთავრებისთანავე, რომელსაც თესვის ან რგვის რწყვას უწოდებენ.

ზოგჯერ მორწყვას თესვამდე ატარებენ, როცა ნიადაგი ძლიერ ღარიბია ტენით, აგრეთვე როცა სარწყავი წყლის ნაკლებობაა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თესვის წინ რწყვის გაჭიანურება. გარდა ამისა, თესვის წინ მორწყვის ჩატარება შეიძლება გამოწვეული იყოს მლაშე ნიადაგების არსებობით. ასეთ შემთხვევაში თესვის წინ რწყვას ძლიერი მორწყვის ნორმით ატარებენ (1000-2000 მ³/ჰა) და ადვილად ხსნად მარილებს ქვედა ფენაში ჩარეცხავენ.

ჩვენში, უმეტეს შემთხვევაში რწყვას თესვის დამთავრების შემდეგ აწარმოებენ, ვინაიდან სარწყავი წყლის ნაკლებობა რწყვის პერიოდში იშვიათია.

5. **გამანოყიერებელი რწყვა** - გამანოყიერებელი რწყვა გამოიყენება ნიადაგში სასუქის შეტანისა და მისი თანაბრად განაწილების მიზნით. ვეგეტაციის პერიოდში, ნათეს-ნარგავების დამატებითი გამოკვების დროს შესატანად განკუთვნილი სასუქები, უმეტესად მინერალური, ჯერ მოიზნევა ნათესებში ნიადაგის ზედაპირზე მწკრივთაშორისების კულტივაციის წინ და შემდეგ ამას მოჰყვება რწყვა. შეიძლება კიდევ სასუქების

შესატანი ნორმა ჯერ გაიხსნას წყალში სათანადო კონცენტრაციით და შემდეგ სპეციალური გამომკვები მანქანით რწყვის სახით შეტანილი იქნას ნიადაგში.

მდინარის წყალში მოლივლივე ნივთიერებების სასუქად გამოყენება უძველესი დროიდან არის ცნობილი. მდინარის ნალექი მდიდარია მცენარისათვის საჭირო ნივთიერებებით და ამ ნალექის ფართობზე ხელოვნურად დაგროვება ნიადაგის განოყიერების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ხშირად მოსახლეობა სასუქად არხებში დაგროვილ ნალექს იყენებს, რომელიც გააქვთ ფართობზე ჩვეულებრივი წესით ჩასახნავად.

რწყვას ნიადაგის გასანოყიერებლად, ჩვეულებრივ, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მიმართავენ, განსაკუთრებით კი, ზამთრის ბოლოს და გაზაფხულის დასაწყისში, როდესაც ფართობები ჯერ კიდევ არ არის დათესილი და სარწყავ ფართობზე ნალექების დიდი რაოდენობაა.

რწყვას, ფართობზე დატბორების წესით აწარმოებენ. ფართობი წინასწარ იყოფა ცალკეულ სარწყავ ფართობებად იმ ვარაუდით, რომ შესაძლებელი იქნეს მთელ ფართობზე წყლის დატბორება. ყოველი ასეთი სარწყავი ფართობი ყოველმხრივ შემოსაზღვრულია ბექობით და გადამუშავებული წყალი, შედარებით განთავისუფლებული ნალექებისაგან, გადაიშვება ფართობიდან მის უდაბლეს მხარეზე არსებული ბექობის ერთ ან ორ ადგილას გახსნის საშუალებით. რაც უფრო თანაბარ-ზომიერად მიმდინარეობს წყლის მიწოდება და ფართობიდან მისი გადაშვება, მით უფრო მეტ ნალექს დატოვებს წყალი.

ხშირად მიმართავენ ნალექების წინასწარ დაგროვებას სპეციალურად დამზადებულ ორმოებში. ორმო დროგამომშვებით იცლება და ნალექი ხვნის წინ გააქვთ მიწდორში. ორმო, ჩვეულებრივ, არხის მახლობლად მზადდება, რაც აადვილებს

არხიდან წყლის მიღებას და გადამუშავებული წყლის არხშივე გადაშვებას.

რწყვის საშუალებით ნალექების დაგროვება განსაკუთრებით აუცილებლობას წარმოადგენს ქვიანი ნიადაგისათვის (ქუთაისის რ-ნი), სადაც ნიადაგის განოყიერებასთან ერთად ნალექების დაგროვებით წვრილმიწის რაოდენობას ვადიდებთ. ამ შემთხვევაში ნალექის დიდი რაოდენობაა საჭირო.

6. რწყვა ნიადაგის გათბობის მიზნით - გათბობის მიზნით რწყვას ვაწარმოებთ ადრე გაზაფხულზე, რისთვისაც იყენებენ თერმულ წყლებს, ქარხნებიდან გადამუშავებულ წყალს და სხვ. რომელთა ტემპერატურაც მეტია ნიადაგის ტემპერატურაზე. რწყვის ამ სახეს ძირითადად იყენებენ სათბურებში, ორანჟერეებში და სხვ.

7. რწყვა ნიადაგის ჩარეცხვის მიზნით – ტარდება ნიადაგში ადვილადხსნადი მარილების (N NaCl , Na_2CO_3 , K_2SO_4) მოსაცილებლად. რწყვის ეს სახე გამოიყენება დამლაშებული ნიადაგების გამომლაშებისათვის და ტარდება თესვის წინ, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.

8. პროვოკაციული რწყვა - რწყვის ამ სახეს იყენებენ სარეველების აღმოსაცენებლად, რომელიც შემდგომში მოსპობილი იქნება ქიმიკატებით ან კიდევ ნიადაგის სათანადო დამუშავებით. რწყვას აწარმოებენ, ჩვეულებრივ, შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ.

9. გამაგრილებელი რწყვა – ტარდება ყველაზე ცხელ პერიოდში მცენარის გასაგრილებლად. რწყვა ტარდება დაწვიმებით. ეს რწყვა ადიდებს ჰაერის აბსოლუტურ ტენიანობას და ამცირებს ჰაერის ტემპერატურას. გარდა ამისა, დაწვიმება უახლოვდება ბუნებრივი ნალექების მოქმედების პირობებს ნიადაგის დატენიანების მხრივ.

თავი 4. ნიადაგის ჰიდროფიზიკური თვისებები

რწყვის რეჟიმის სწორად რეგულირებისათვის აუცილებელია შესწავლილი და დადგენილი იქნეს ნიადაგის მექანიკური შედგენილობა და ჰიდრო-ფიზიკური თვისებები. ლაბორატორიული კვლევები განხორციელდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის მელიორაციის ლაბორატორიაში და ამავე უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას საელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში.

4.1. ნიადაგის მექანიკური (გრანულომეტრიული) შედგენილობა

გრანულომეტრიული ანალიზის საშუალებით ხდება თანაბარი სიდიდის ნაწილაკების გამოყოფა რომელნიც გრანულომეტრიული ფრაქციებია, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არამარტო სიდიდით არამედ ფიზიკო-ქიმიური თვისებებით.

გრანულომეტრია ქანის ან ნიადაგის კომპონენტების ზომის განსაზღვრა და მათი რაოდენობის გამოსახვა პროცენტებით.

გრანულომეტრიული შედგენილობა ბუნებრივი და ხელოვნური მასალების ფიზიკური თვისებებისა და სტრუქტურის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.


4.2. ნიადაგის მექანიკური (გრანულომეტრიული) შემცველობის განსაზღვრა

ნიადაგი შედგება სხვადასხვა ზომის ნაწილაკებისაგან, რომლებიც ნიადაგის მექანიკური ელემენტებია. არჩევენ თიხა,

ქვიშა და ლამიან ნიადაგებს. თიხა წყალს ცუდად ატარებს, ქვიშას კი წყლის დაკავების სუსტი უნარი აქვს.

კახეთის რეგიონის ნიადაგების მექანიკური შემადგენლობა %
ცხრილი 4.2.1.


ნიმუშის ადების ადგილი	ქვიშა	ლამი	თიხა	ნიადაგის ტიპი
ახმეტა, სოფ. ოჯიო	29.6	44.5	25.9	თიხნარი
საგარეჯო, სოფ. ხაშმი	24.0	51.8	24.2	ლამიანი თიხნარი
გურჯაანი, სოფ. ქოდალო	24.7	47.8	27.5	თიხა თიხნარი
დედოფლისწყარო, სოფ. ტარიბანა	33.4	38.4	28.2	თიხა თიხნარი
თელავი, სოფ. ვანთა	37.5	37.5	25.0	თიხნარი
ლაგოდეხი, სოფ. თამარიანი	34.8	41.4	23.8	თიხნარი
სიღნაღი, სოფ. ანაგა	34.7	39.8	25.5	თიხნარი
ყვარელი, სოფ. ენისელი	41.7	33.3	25.0	თიხნარი



დიაგრამა 4.2.1. კახეთის რეგიონის ნიადაგების მექანიკური შემადგენლობა %

ქვემო ქართლის რეგიონის ნიადაგების მექანიკური შემადგენლობა %
ცხრილი 4.2.2.

ნიმუშია ადების ადგილი	ქვიშა	ლამი	თიხა	ნიადაგის ტიპი
ბოლნისი ხატისსოფელი.	32.0	40.4	27.6	თიხა თიხნარი
გარდაბანი ლელუმშვენიერა	47.2	30.2	22.6	თიხნარი
დმანისი მაშავერა	30.5	39.5	30.0	თიხა თიხნარი
მარნეული ლეჟბადინი	36.5	39.0	24.5	თიხნარი
თეთრიწყარო	38.1	38.1	23.8	თიხნარი
წალკა	32.1	42.1	25.8	თიხნარი
რუსთავი	35.5	39.5	25.0	თიხნარი



დიაგრამა 4.2.2. ქვემო ქართლის რეგიონის ნიადაგების მექანიკური შემადგენლობა %

კახეთისა და ქვემო ქართლის ზონების ნიადაგის მექანიკური ანალიზის საფუძველზე გამოვყავით ნიადაგის ტიპები. ცნობილია თითოეული ნიადაგისათვის რამდენია ზღვრული ტენტევადობა, ჭკნობის წერტილი. რის საფუძველზეც შესაძლებელია სარწყავი წყლის ნორმის ტ/ჰა -ზე გაანგარიშება. ნიადაგის მექანიკურ შედგენილობაზეა დამოკიდებული ნიადაგის ტენტევადობა.

ტენტევადობაა ნიადაგის მიერ წყლის ამა თუ იმ რაოდენობით დაკავების უნარი. დაკავებული წყლის მდგომარეობის მიხედვით განასხვავებენ სრულ, ზღვრულ, კაპილარულ ტენტევადობას [7, 35, 42].

ტენის უზრუნველყოფის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს საველე ზღვრულ ტენტევადობას. ზღვრული საველე ტენტევადობაა წყლის იმ მაქსიმალურ რაოდენობა, რომელიც აღმოჩნდება ნიადაგში სრული ტენტევადობიდან 3-4 დღის შემდეგ. ესეიგი, საველე ზღვრულ ტენტევადობაზე მეტი წყალი ნიადაგიდან დაწრეტას განიცდის. საველე ზღვრული ტენიანობის შესაძლებელია სარწყავი წყლის ნორმის დადგენა.

საველე ზღვრული ტენტევადობისას დაახლოებით ნიადაგის ფორების ნახევარი წყლითაა შევსებული, ნახევარი კი ჰაერით. თუ საველე ზღვრული ტენტევადობის მაჩვენებელს გამოვაკლებთ ჭკნობის წერტილს (ანუ წყლის მინიმალურ დონეს) მივიღებთ წყლის იმ რაოდენობას რომლის მიღება ნიადაგს შეუძლია რწყვის დროს.

ე. ი. მორწყვის ნორმა მ³/ჰა იანგარიშება:

$$m = r_{ზღ} - r_{ჭკ} \alpha \quad (4.2.1.)$$

სადაც: m -მორწყვის ნორმა მ³/ჰა;

$r_{ზღ}$ - ზღვრულ ტენტევადობა;

$r_{ჭკ}$ - ჭკნობის წერტილი);

ა ფესვთა სისტემის გავრცელების ზონაში ნიადაგის მოცულობითი მასაა.


მაგ. თელავის რ-ნი სოფელ ვანთას მსხმოიარე ვენახში (თიხნარი ნიადაგისათვის) რომლის ზღვრული ტენტევადობაა—31%; ჭკნობის წერტილი—14%; მათ შორის სხვაობა კი არის $31\% - 14\% = 17\%$.

ფესვთა სისტემა გავრცელებულია (ძირითადი მასა) 0-40 სმ სიღრმეში ე.ი. სახნავი ფენის მასა უდრის 4000 მ³. ნიადაგის ტიპი ყავისფერია, რომლის მოცულობითი მასა უდრის 1,17გ/სმ³. სახნავი ფენის მასა ტოლია: $4000 \times 1,17 = 4680$ მ³ (ყავისფერი ნიადაგისათვის); ნიადაგის მექანიკური შემადგენლობაა - თიხნარი (31%-14%=17%); წყლის ნორმა ტოლია: $4680 \times 17 / 100 = 795.6$ ტ/3 ანუ 795600 ლიტრს/3ა; გასასარწყავიანებელი ფართისათვის 1მ²-ზე საჭირო წყლის რაოდენობა 79.5 ლიტრი. ესე იგი ეს ის წყლის რაოდენობაა, რომელიც უნდა მივაწოდოთ ნიადაგს, როდესაც ნიადაგში ტენი ჭკნობის წერტილზეა დასული და იგი უნდა ავიყვანოთ ზღვრულ ტენტევადობამდე. რა თქმა უნდა ყოველთვის ამდენი წყლის მიწოდება არ დაჭირდება მცენარეს. აღნიშნული მონაცემის საფუძველზე ჩვენ საკვლევ ნიადაგზე დავაკალიბრებთ ტენზომომს. რომელიც გვიჩვენებს, როდის უნდა დავიწყოთ მცენარის მორწყვა და როდის დავამთავროთ.

განსაზღვრული იქნა კახეთის, ქვემო ქართლის რეგიონების ზოგიერთი სოფლის ნიადაგების მექანიკური შედგენილობა % და დადგენილი იქნა ნიადაგის ტიპი რომელიც წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ნიადაგის ჰიდროფობიკური, განსულლომეტრიული შედგენილობა (კახეთის რეგიონი)
ცხრილი 4.2.3.

დიდი	0.16	1.27	2.66	52.26	33.95	32.64	5.38	4.54	23.98	33.60	11.20	17.20	0.48	37.88	0,003223
საშუალო	16.32	1.34	2.66	49.63	33.21	30.32	5.62	4.68	47.76	34.80	10.88	20.40	11.48	42.76	0,021918
პატარა	32.48	1.06	2.70	60.75	28.31	26.52	6.45	5.13	14.19	25.20	16.40	25.60	13.48	55.48	0,028048
მცირე	48.64	1.44	2.73	47.26	30.75	28.67	5.65	0.03	48.89	23.60	2.00	13.20	12.28	27.48	0,016598
მთლიანი	64.80	1.05	2.75	61.82	63.18	63.62	6.03	0.98	26.52	18.00	31.60	30.87	11.01	73.48	0,023317




დიაგრამა 4.2.3. ნიადაგის ჰიდროფიზიკური, გრანულუმეტრიული შედგენილობა (კახეთის რეგიონი)

ნიადაგის ჰიდროფიზიკური, გრანულომეტრიული შედგენილობა

(ქვემო ქართლის რეგიონი)


ცხრილი 4.2.4.

ფორმული აღნიშვნა	0,01	<0,001	0,005-0,001	0,01-0,005	0,05-0,01	0,25-0,05	1-0,25	ზეგერსკაია ტენი	ზორსონი	კარაული ტენი	ფორაინა	სიმკვრივე გრ/მ ³	მკვრივობა გრ/მ ³	ნიჟის სიღრმე	მარჯვენა
ფორმული აღნიშვნა	50.815	14.975	16.153	19.687	11.862	36.251	1.072	21.51	41.78	48.16	57.32	2.53	1.08	0.16	0,002399
	65.946	9.691	34.537	21.718	12.378	14.628	7.048	21.10	46.52	51.89	47.58	2.06	1.08	16.32	0,000345
	77.574	8.815	53.333	15.426	16.925	4.378	1.123	23.85	47.57	53.13	55.15	2.72	1.22	32.48	0,000005
	75.788	47.807	18596	9.385	19.561	1.917	2.732	20.81	46.53	48.39	53.71	2.70	1.25	48.64	0,000007



დიაგრამა 4.2.4. ნიადაგის ჰიდროფიზიკური, გრანულომეტრიული შედგენილობა (ქვემო ქართლის რეგიონი)

ნიადაგის გრანულაციური მემბრანის



სურათი 4.3. მოცულობითი მასის განსაზღვრა

4.3. მოცულობითი მასის განსაზღვრა

ნიადაგის მოცულობითი მასა არის დაუშლელი სტრუქტურის (ბუნებრივ მდგომარეობაში) აბსოლუტურად მშრალი ნიადაგის მასის შეფარდება მისსავე მოცულობასთან და გამოითვლება დამოკიდებულებით:

$$\alpha = m/V \text{ კგ/მ}^3 \quad (4.3.1.)$$

სადაც: m არის აბსოლუტურად მშრალი ნიადაგის მასა, კგ;

V - აბსოლუტურად მშრალი ნიადაგის მოცულობა, მ³.

ნიადაგის სიმკვრივეზე და ფორიანობაზეა დამოკიდებული ნიადაგის მოცულობითი მასის სიდიდე. რაც მეტია სიმკვრივე და ნაკლებია ფორიანობა, მით მეტია ნიადაგის მოცულობითი მასა.

ნიადაგის ცალკეულ ფენებში მოცულობითი მასა იცვლება - ნაკლებია ზედა ფენებში, სადაც მეტია ფორიანობა, ორგანული ნივთიერებების შემცველობა და იზრდება სიღრმის ზრდასთან ერთად.



სურ 4.3.1. მოცულობითი მასის განსაზღვრავად გამოყენებული მასალები და ხელსაწყოები: ბარი, სასწორი, ექსიკატორი, თერმოსტატი, დანა, ბიუქსი, თუნუქის ცილინდრი და სახაზავი.

ნიადაგის ფორიანობის, საკვები ნივთიერების, წყლის მარაგისა და მლაშე ნიადაგების შემთხვევაში, მარილების საერთო

რაოდენობის განსაზღვრა შეიძლება ნიადაგის მოცულობითი მასის საშუალებით

ნიადაგის მოცულობითი წონის განსაზღვრა

ცხრილი 4.3.1.

№	მახასიათებლების დასახელება	განზომილება	რაოდენობა
1	ნიმუშის ალების სიღრმე	სმ	0-16
2	ცილინდრის №		
3	ცარიელი ცილინდრის წონა m_1	გრ	339.8
4	ცილინდრისა და ნიადაგის წონა m_2	გრ	2776,9
5	ცილინდრში არსებული ნიადაგის წონა $m_3 = m_2 - m_1$	გრ	2437.10
6	ნიადაგის ტენი r	%	27,36
7	ცილინდრში არსებული ნიადაგის წონა აბსოლუტურად მშრალ მდგომარეობაში $m_4 = \frac{m_3 \cdot 100}{100+r}$	გრ	1913.56
8	ცილინდრის რადიუსი R	სმ	6.0
9	ნიადაგის სისქე ცილინდრში H	სმ	15.7
10	ნიადაგის მოცულობა, $W = \pi R^2 H$	სმ ³	1774,43
11	მოცულობითი წონა $\alpha = m_4 : W$	გრ/სმ ³	1.08

ნიადაგის მოცულობითი წონის განსაზღვრის დროს მიღებული მონაცემები მუშავდება შემდეგი დამოკიდებულებების მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ცხრილის 4.3.1. სახით. მაგალითად მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადისში 0-16 სმ სიღრმეზე ნიმუშის ალების დროს მოცულობითი მასაა 1.08 გრ/სმ³.

ნიადაგი, ისევე როგორც ნებისმიერი სხეული ხასიათდება კუთრი წონით. კუთრი წონა არის ნიადაგის მყარი ნაწილი (ე.წ.

„ჩონჩხი“), აბსოლუტურად მშრალი ერთეული მოცულობის მასა სივრცეების გარეშე.



სურ. 4.3.2. ნიადაგის კუთრი წონის განსაზღვრა

კუთრი წონის გასაგებად საჭიროა გამომშრალი ნიადაგის მასა (m) გავყოთ მის მოცულობაზე (V_0), რომელიც გამოითვლება დამოკიდებულებით:

$$\rho = m/V_0 \text{ (კგ/მ}^3 \text{ ტ/მ}^3, \text{ ან გ/სმ}^3\text{)}$$

სადაც: m - არის გამომშრალი ნიადაგის მასა;

V_0 - გამომშრალი ნიადაგის მოცულობა.

ნიადაგის სიმკვრივე გრ/სმ³


ცხრილი 4.3.2.

#	მახასიათებლების დასახელება	განზომილების ერთეული	ცდით მიღებული შედეგები
1	ნიმუშის აღების სიღრმე	სმ	0-16
2	პიკნომეტრი №		1
3	პიკნომეტრი წონა წყლით A	გრ	67.93
4	აბსოლუტურად მშრალი ნიადაგის წონა B	გრ	10
5	პიკნომეტრის წონა წყლითა და ნიადაგით C	გრ	73.44
6	კუთრი წონა $D = \frac{B}{A+B-C}$	გრ/სმ ³	2.23

მაგალითად სოფელ მარადისში 0-16 სმ სიღრმეზე ნიმუშის აღების დროს სიმკვრივემ შეადგინა 2,23 გრ/სმ³.

ნიადაგის სიმკვრივე საშუალოდ 2,4-2,8 ტ/მ³-ის ტოლია, მისი სიდიდე დამოკიდებულია ნიადაგის მინერალოგიურ, მექანიკურ და ქიმიურ შედგენილობაზე.

რაც მეტია ნიადაგში ორგანული ნივთიერება, მით უფრო ნაკლებია მისი სიმკვრივე. ნიადაგის ზედა ჰუმუსიანი ფენის სიმკვრივე უფრო მცირეა, ვიდრე ქვედა ფენების; ქვიშა-ნიადაგების სიმკვრივე მეტია, თიხებისა კი ნაკლები.



სურ. 4.3.3. სიმკვრივის განსასაზღვრავად გამოყენებული მასალები და ხელსაწყოები: პიკნომეტრი, ფაიფურის როდინი, ანალიზური სასწორი, სპირიტქურა, შტატივი, გამოხდილი წყალი.

სიმკვრივე იზომება პიკნომეტრით და რიცხობრივად ტოლია ნიადაგის ჩონჩხის მასის შეფარდებისა მისივე მოცულობის წყლის მასასთან. სიმკვრივის განსაზღვრისას ნიადაგის ნიმუში უნდა დაქუცმაცდეს რაც შეიძლება წვრილად და მიღებული-საგან განისაზღვროს მასა და მოცულობა.

4.4. ნიადაგის ფორიანობის განსაზღვრა

ფორიანობა არის ნიადაგის მოცულობით ერთეულში არსებულ სიცარიელეთა მოცულობების ჯამი. ფორიანობა დამოკიდებულია ნიადაგის მექანიკურ შედგენილობაზე, სტრუქტურაზე, ნიადაგის გაბეკვნის ხარისხზე და სხვ. თიხა-ნიადაგის საერთო ფორიანობა უფრო მეტია, ვიდრე თიხნარის და მით უფრო ქვიშნარი ნიადაგისა [9, 24].

ფორიანობა ძლიერ გავლენას ახდენს ნიადაგის წყალჰაეროვან, ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე, ბიოქიმიურ პროცესებზე და შესაბამისად მცენარის ზრდა-განვითარებაზე.

ფორიანობა განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$P = 100 \left(1 - \frac{a}{D} \right) \quad (4.4.1.)$$

სადაც: P არის საძიებელი ფორიანობა %-ობით;

a - ნიადაგის მოცულობითი წონა;

D - ნიადაგის კუთრი წონა.

ნიადაგის ფორიანობის განსაზღვრა

ცხრილი 4.4.1.

#	მახასიათებლების დასახელება	განზომილების ერთეული	ცდით მიღებული შედეგები
1	ნიადაგის მოცულობითი მასა α	გრ/სმ ³	1.08
2	ნიადაგის ხვედრითი წონა D	გრ/სმ ³	2.23
3	ნიადაგის ფორიანობა P	% 0,4843	51.57

სოფელ მარადისში 0-16 სმ სიღრმეზე ნიმუშის აღების დროს ფორიანობა %-ი.

განსხვავება ნიადაგის კუთრ და მოცულობით მასას შორის გამოწვეულია მისი ფორიანობით. ფორიანობაა მასალის მოცულობის ფორებით შევსების ხარისხი. განისაზღვრება პროცენტობით.


ფორიანობა დამოკიდებულია ნიადაგის მექანიკურ შედეგენილობაზე, სტრუქტურაზე, ნიადაგის გამკვრივების ხარისხზე და სხვ. თიხა-ნიადაგის საერთო ფორიანობა უფრო მეტია, ვიდრე თიხნარის და მით უფრო ქვიშნარი ნიადაგისა.

ნიადაგში წყლის მოძრაობა-გადაადგილების ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია ნიადაგში არსებული ფორების სიდიდე, რომელთა ზომა დამოკიდებულია ნიადაგის სტრუქტურული აგრეგატების ზომასა და მათი გადაადგილების ხასიათზე, მიკროაგრეგატულ და მექანიკურ შედეგენილობაზე.

სტრუქტურული (მაკროაგრეგატული) და მიკროაგრეგატული ცვალებადობის მიხედვით იცვლება ფორების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რის შედეგადაც ცვალებადობს ნიადაგის წყლისა და ჰაერის რეჟიმიც.

ა. ვოზნესენსკის მიხედვით ნიადაგში არსებული ფორების საერთო რაოდენობა, დიამეტრის სიდიდის მიხედვით, იყოფა ოთხ ჯგუფად.

- მაკროფორი $d > 0,25$ მმ, დაჭიმულობა $T > 0,9$ სმ ვერცხლისწყლის სვეტის;
- მეზოფორი $d = 0,25 \div 0,01$ მმ, $T = 0,9 \div 22$ სმ;
- მიკროფორი $d = 0,01 \div 0,005$ მმ, $T = 22 \div 45$ სმ;
- ულტრამიკროფორი $d < 0,005$ მმ, $T > 45$ სმ.



სურ. 4.4.1. ტენის მარაგის შეფასება დიფერენციალური ფორიანობის მიხედვით.

მოცემული ოთხი ჯგუფის ფორების პროცენტული რაოდენობის გასაანგარიშებლად საკმარისია ვიცოდეთ ნიადაგის საერთო ფორიანობა, ნიადაგის ტენის რაოდენობა მოცულობით პროცენტებში, განსაზღვრული ტენზომით, ვერცხლისწყლის სვეტის 0,9; 22,0 და 45 სმ-ის შესაბამისი კაპილარული დაჭიმულობის დროს.

ნიადაგში წყლის მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია მასში არსებული ფორების სიდიდე, რომელთა ზომაც დამოკიდებულია ნიადაგის სტრუქტურული აგრეგატების ზომაზე, მათ მიკროაგრეგატულ და მექანიკურ შედგენილობაზე. სტრუქტურული (მაკროაგრეგატული) და მიკროაგრეგატული ცვალებადობის მიხედვით იცვლება ფორების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაც უშუალო გავლენას ახდენს ნიადაგის წყალ-ჰაეროვან რეჟიმზეც.

ნიადაგში არსებული ფორები, მათი ზომების მიხედვით, იყოფა ოთხ ჯგუფად. დაყოფის კრიტერიუმად მიჩნეულია

ფორებში კაპილარული დაჭიმულობის სიდიდე, გამოსახული ვერცხლისწყლის სვეტის სიმაღლეში (ცხრილი 4.4.2.).

ნიადაგში არსებული ფორების მაჩვენებლები

ცხრილი 4.4.2.

№	ფორების დასახელება	ფორების ზომა (დიამეტრი) d მმ	კაპილარული დაჭიმულობის სიდიდე ვერცხლისწყლის სვეტი T სმ
1	მაკროფორები	> 0,25	< 0,9
2	მეზოფორები	0,25 - 0,01	0,9 - 22
3	მიკროფორები	0,01 – 0,005	22 - 45
4	ულტრამიკროფორები	< 0,005	> 45

დიფერენციალური ფორიანობის, ანუ ზომების მიხედვით ფორების პროცენტული განაწილების გასაანგარიშებლად საკმარისია ვიცოდეთ ნიადაგის საერთო ფორიანობა, ნიადაგის ტენის რაოდენობა მოცულობით პროცენტებში, განსაზღვრული ტენ-მზომით, ვერცხლისწყლის სვეტის 0,9, 22,0 და 45 სმ-ის შესაბამისი კაპილარული დაჭიმულობის დროს.

დიფერენციალური ფორიანობის მონაცემების გამოყენების საფუძველზე ნიადაგის წყალი შემდეგ სახეებად შეიძლება დაიყოს:

- გრავიტაციული წყალი - მაკროფორებში მეტად მოძრავი, ადვილად შესათვისებელი, ნიადაგის მიერ შეუკავებელი;
- კაპილარული წყალი - მეზოფორებში ადვილად მოძრავი, სუსტად შეკავებული, მთლიანად გამოსაყენებელი;
- კაპილარული წყალი - მიკროფორებში მცირედ მოძრავი, მტკიცედ შეკავებული, მცენარისათვის გამოსაყენებელი;

- აპკისებური წყალი - სუსტად ადსორბირებული, პრაქტიკულად უძრავი, ძნელად გამოსაყენებელი;
- აპკისებური წყალი - მტკიცედ ადსორბირებული, უძრავი გამოუყენებელი.

4.5. ნიადაგის მაქსიმალურ მოლეკულური ტენის განსაზღვრა

ნიადაგში ტენის მარაგის განსაზღვრის მრავალი მეთოდი არსებობს. რაც აუცილებელია, რომ დადგინდეს ნიადაგში, როგორც ფაქტიური ტენის რაოდენობა, ასევე მაქსიმალურ მოლეკულური და მაქსიმალურ ჰიგროსკოპიული წყლის რაოდენობა.




სურ. 4.5.1. ნიადაგის ტენის განსაზღვრა

მელიორაციული პრაქტიკა ხშირად აყენებს ნიადაგის ამა თუ იმ ფენის ფარგლებში წყლის მარაგის გამოკვლევის და მის შეფასების საჭიროებას. ნიადაგში ტენის მარაგის განსაზღვრის მრავალი მეთოდი არსებობს, რომელთა უმრავლესობა, სიზუსტის მიუხედავად საკმაოდ შრომატევადია. საკმარისად ზუსტი და ამავე დროს მარტივი არის საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ამჟამად

ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი) შექმნილი ტენზომომი (სურ. 4.5.2.).

ნიადაგის ტენის განსაზღვრისათვის საჭირო სიღრმეზე ათავსებენ წვრილფორიან კერამიკულ ჭურჭელს, რომელიც გამოხდილი წყლითაა სავსე და ჰერმეტიულად შეერთებულია მკვებავ რეზერვუართან და ვერცხლისწყლიან მანომეტრთან.



სურ. 4.5.2. ტენის საზომი მანომეტრი

როდესაც ნიადაგი მთლიანად გაჟღენთილია წყლით, კერამიკული კედლის ორივე მხარეს მყარდება წონასწორობა და მანომეტრის ჩვენება ნულად მიიღება. ნიადაგის მიერ წყლის ხარჯვის დაწყებისთანავე (აორთქლება ზედაპირიდან და მცენარის კვება) იწყება კერამიკული ჭურჭლიდან წყლის გამოწოვა და ჭურჭელში შექმნილი ვაკუუმი გვიჩვენებს ნიადაგის შემწოვ ძალას (გამოსახული ვერცხლის წყლის სვეტის სიმაღლით მ-

ში). ნიადაგის გადატენიანების შემთხვევაში იწყება წყლის მოძრაობა ნიადაგიდან ჭურჭელში, რაც მანომეტრში იწვევს ვერცხლისწყლის სვეტის დაცემას.


წინასწარ საჭიროა ტარირებით დადგინდეს ნიადაგის ტენიანობასა და შემწოვ ძალას შორის დამოკიდებულება, რის შემდეგ შესაძლოა ნიადაგის ტენიანობის განსაზღვრა შემწოვი ძალის მაჩვენებლების მიხედვით.

კიდევ უფრო მოხერხებულია, განსაკუთრებით მცირე ნაკვეთების მფლობელებისთვის თანამედროვე პორტატული ხელსაწყოები, რომლებიც ერთდროულად ზომავენ ნიადაგის 4 პარამეტრს - ტენიანობას, განათებულობას, მჟავიანობასა და ტემპერატურას, ამასთან მაჩვენებლები დისპლეიზე შეიძლება გამოტანილი იყოს როგორც რიცხობრივად, ასევე სიმბოლოებით. ერთერთი ასეთი ხელსაწყო, „ITUIM-300“ მოყვანილია ნახ. 4.5.3.



სურ. 4.5.3. ნიადაგის პარამეტრების მზომი პორტატული ხელსაწყო „ITUIM-300“

ნიადაგის ტენის საზომი ხელსაწყოები ყველაზე ფართოდ არის გამოყენებადი, უნდა აღენიშნოს რომ დიდი პოპულარობით სარგებლოს ტენზიომეტრი მაჩვენებელთა დაფით. ჰექტოპასკალი(hPa) და მილიბარი(mbar) ტემსიომეტრის ყველაზე გავრცელებული საზომი ერთეულებია.



სურ. 4.5.4. ტენზიომეტრი მაჩვენებელთა დაფით.

ტენსიომეტრში ნიადაგის გამოშრობისას წვეროდან სანამ ნიადაგი წყლით არ გაჯერდება, ტენსიომეტრის მილში იზრდება ვაკუუმის მოცულობა სწორედ ამ დროს შესაძლებელი ხდება ცისფერბლატზე შედეგის ხილვა. აპარატი უზრუნველყოფს მაღალ სანდობას გაზომვის დიაპაზონი შეადგენს 0-600.

ნიადაგის მაქსიმალური მოლეკულური ტენი შეეფარდება აპკისებური წყლის რაოდენობას და წარმოადგენს იმ წყლის რაოდენობას, რომელიც ნიადაგის მყარ ნაწილაკებთან მაქსიმალური მოლეკულური მიზიდულობის ძალებით არის დაკავშირებული. მაქსიმალური მოლეკულური ტენი, დაახლოებით ჭკნობის კოეფიციენტის ტოლია და მცენარეს მისი გამოყენება არ შეუძლია.

ნიადაგის მაქსიმალური მოლეკულური ტენის განსაზღვრა
ცხრილი 4.5.1.

№	მახასიათებლების დასახელება	განზომილების ერთეული	მიღებული შედეგი
1	ნიმუშის ალების სიღრმე	სმ	0-16
2	ბიუქსის №		24
3	ცარიელი ბიუქსის წონა m_1	გრ	12.132
4	ბიუქსისა და დაწნეხილი ნიადაგის წონა გამოშრობამდე m_2	გრ	23.512
5	ბიუქსისა და გამომშრალი ნიადაგის წონა m_3	გრ	22.112
6	გამომშრალი ნიადაგის წონა $m_4 = m_3 - m_1$	გრ	9.89
7	მაქსიმალური მოლეკულური ტენი $m_5 = m_2 - m_3$	გრ	1.4
8	მაქსიმალური მოლეკულური ტენი %-ობით აბსოლუტურად მშრალი ნიადაგის წონის მიმართ $X = \frac{m_5 \cdot 100}{m_4}$	%	14.02

ნიმუშის დამუშავების დროს ძირითადად გამოიყენება სურ. 4.5.5-ზე მოცემული მასალები და მოწყობილობები.

ნიადაგში არსებული წყლის რაოდენობას, რომლის გამოყენება მცენარეს არ შეუძლია და რომლის არსებობის დროსაც მცენარე იწყებს ჭკნობას, ჭკნობის კოეფიციენტი, ანუ ჭკნობის წერტილი ეწოდება. ექსპერიმენტული მონაცემებით იგი 1,5 - 2,0-ჯერ აღემატება მაქსიმალური ჰიგროსკოპიულობის შესაბამისი ტენის რაოდენობის. ჭკნობის კოეფიციენტი ადვილად შესამჩნევია თუ მცენარეს არ მივაწოდებთ წყალს.



სურ. 4.5.5. მასალები და მოწყობილობები: სასწორი; ვაკუუმსაცხი; ექსიკატორი; ალუმინის ჭიქა სახურავით, საშრობი კარადა, თერმოსტატი, საცერი 1 მმ, ტილოს ნაჭერი, ლითონის ნასვრეტებიანი ფირფიტა, ფილტრის ქაღალდი.



სურ. 4.5.6. ნიადაგის მაქსიმალური მოლეკულური ტენის განსაზღვრა

მაქსიმალური მოლეკულური ტენის განსაზღვრის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ძლიერ დასველებულ ნიადაგს, ფილტრის ქაღალდს, ნიადაგს შორის არსებული კაპილარული და მოლეკულური ძალების მოქმედებით სცილდება ზედმეტი წყალი, ხოლო ნიადაგში დარჩენილი წყალი, რომელიც დამაგრებულია მოლეკულური ძალებით და შეესაბამება მაქსიმალური მოლეკულური ტენს, განისაზღვრება ჩვეულებრივი გამოშრობით $100 \pm 105 \text{ }^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე.

4.6. ნიადაგის მაქსიმალურ ჰიგროსკოპიული ტენის განსაზღვრა

ნიადაგის უნარს, უმცირესი ნაწილაკების ზედაპირული დაჭიმულობის ძალით, შთანთქმას ჰაერიდან წყლის ორთქლი, ნიადაგის ჰიგროსკოპიულობა ეწოდება. როდესაც ჰაერი წყლის ორთქლით გაუჯერებელია, ე.ი. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ნაკლებია 100%-ზე, მაშინ ნიადაგის ნაწილაკების ზედაპირი მთლიანად არ იფარება წყლის მოლეკულებით. ამ დროს ნიადაგში ჰიგროსკოპული წყლის რაოდენობა ცვალებადია და დამოკიდებულია ჰაერის წყლის ორთქლით გაჯერების ხარისხზე - მით ნაკლებია, რაც ნაკლებია ფარდობითი ტენიანობა.



სურ.4.6.1. ნიადაგის მაქსიმალურ ჰიგროსკოპიული ტენის განსაზღვრის საჭირო მასალები და მოწყობილობები: სასწორი, ვაკუუმ საცხი, ექსიკატორი, ალუმინის ჭიქა, თერმოსტატი, გოგირდმჟავა, საცერი 1 მმ, როდინი.

თუ ჰაერი გაჯერებულია წყლის ორთქლით, ე.ი. ფარდობითი ტენიანობა 100%-ია, ნიადაგი შთანთქავს წყლის იმ მაქსიმალურ რაოდენობას, რომლის შთანთქმაც მას შეუძლია. ამ დროს ნიადაგის ნაწილაკები მთლიანად იფარება წყლის მოლეკულათა შრით. ამ მდგომარეობას ეწოდება მაქსიმალური ჰიგროსკოპულობა.

ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადისის მაქსიმალური ჰიგროსკოპულობა განისაზღვრა 12,09 %.

მაქსიმალური ჰიგროსკოპულობა კანონზომიერად იცვლება ნიადაგის მექანიკური შედგენილობის ცვალებადობასთან ერთად. რაც უფრო წვრილმარცვლოვანია ნიადაგი და რაც უფრო მეტია მასში კოლოიდური ნაწილი, ჰუმუსი და თიხა, მით მეტია საერთო (ჯამური) ზედაპირი, შესაბამისად, ზედაპირული დაჭიმულობის ჯამური ძალაც და მეტია მისი მაქსიმალური ჰიგროსკოპულობა.

ნიადაგის მაქსიმალური ჰიგროსკოპულობის განსაზღვრა

ცხრილი 4.6.1.

№	მახასიათებლების დასახელება	განზომილების ერთეული	ცდის შედეგები
1	ნიმუშის ალების სიღრმე	სმ	0-16
2	ბიუქსის №		1
3	ცარიელი ბიუქსის წონა m_1	გრ	24.01
4	ბიუქსისა და ჰაერმშრალი ნიადაგის წონა m		34.01
4	ბიუქსისა და გაჟღენთილი ნიადაგის წონა m_2	გრ	35.09
5	ბიუქსისა და გამომშრალი ნიადაგის წონა m_3	გრ	33.11
6	გამომშრალი ნიადაგის წონა $m_4 = m_3 - m_1$	გრ	9.1

7	მაქსიმალური წყალი $m_5 = m_2 - m_3$	ჰიგროსკოპული	გრ	1.10
8	მაქსიმალური წყალი %-ობით მშრალი ნიადაგის $X = \frac{m_5 \cdot 100}{m_4}$	ჰიგროსკოპული აბსოლუტურად წონის მიმართ	%	12.09

ქვიშა-ნიადაგებში ის ტოლია მასის (წონის) 1–2 %, თიხნარებში 3–7 %, თიხებში 7–10 %. მაქსიმალური ჰიგროსკოპულობის სიდიდეზე მკვეთრ გავლენას ახდენს ნიადაგში მარილების არსებობა. მაგალითად, თუ დამლაშებული თიხა ნიადაგის ჰიგროსკოპულობა ჩარეცხვამდე იყო 27,0%, ჩარეცხვის შემდეგ შეიძლება შემცირდეს 14,4 %-მდე.

4.7. ნიადაგის ტენტევალობის განსაზღვრა

ნიადაგის წყალტევალობა (ტენტევალობა) ნიადაგის უნარი შეაკავოს თავის მასაში განსაზღვრული რაოდენობის წყალი. ასხვავებენ ტენტევალობის შემდეგ სახეებს: უმცირესი (მოლექულური), სრული (კაპილარული), ზღვრული ტენტევალობა. უმცირესი ტენტევაობის დროს წყლით შევსებულია ფორების 50-70 %. ზღვრული ტენტევაობის შემთხვევაში ნიადაგის ყველა ფორი შევსებულია წყლით. მინიმალური ტენტევაობა დაკავშირებულია ჭკნობის კოეფიციენტთან. ზღვრული ტენტევაობის შემთხვევაში ზედმეტი წყალი გრავიტაციული ძალების გავლენით გადაადგილდება ნიადაგის ქვედა შრეებში.

ზღვრული ტენტევაობის განსაზღვრას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ირიგაციულ პრაქტიკაში, ვინაიდან მისი გამოყენებით ხდება მორწყვის ნორმების გაანგარიშება. ზღვრული ტენტევაობა დამოკიდებულია ნიადაგის სახეობაზე, მის

მექანიკურ შედგენილობაზე, ფორიანობაზე, მასში ჰუმუსოვანი ნივთიერებების შემცველობაზე, სტრუქტურასა და დამუშავების ხარისხზე. სხვა ერთნაირ პირობებში, რაც უფრო მძიმე მექანიკური შედგენილობისაა ნიადაგი, მით მეტია მისი ზღვრული ტენტევალობა.

სავარგულების მორწყვის პროექტის დამუშავების დროს აუცილებლად უნდა იქნას განსაზღვრული ნიადაგის ზღვრული ტენტევალობა. განსაზღვრა ხდება როგორც საველე, ასევე ლაბორატორიული მეთოდით.

ზღვრული წყალტევადობაა წყლის რაოდენობა, რომლის დაკავებაც ნიადაგს შეუძლია და რომელიც სიმძიმის ძალის გავლენით არ გადაადგილდება ზედა ფენებიდან ქვედა ფენებისაკენ. ასეთ მდგომარეობას ადგილი აქვს ყველა სახის ნიადაგში მორწყვის, წვიმებისა და თოვლის დნობის შემდეგ. ერთი გარკვეული მომენტისათვის ნიადაგის ზღვრული წყალტევადობა მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს და მის სიდიდეზე მიწოდებული წყლის რაოდენობა გავლენას არ ახდენს, ეს უკანასკნელი გავლენას მოახდენს მხოლოდ გატენიანების სიღრმეზე, ე.ი. რაც უფრო მეტი რაოდენობით იქნება მიწოდებული წყალი, მით უფრო მეტ სიღრმეზე დამყარდება ზღვრული წყალტევადობა.

ზღვრული წყალტევადობის ცოდნას დიდი გამოყენება აქვს სასოფლო-სამეურნეო ირიგაციის საკითხების გადაწყვეტისას. კერძოდ, ის გამოიყენება მორწყვის ნორმის გაანგარიშების, რწყვის ვადების დადგენის, მლაშე ნიადაგებისათვის ჩარეცხვის ნორმის გაანგარიშებისა და დაჭაობებული ნიადაგების ათვისების საქმეში.

ზღვრული წყალტევადობის განსაზღვრა შესაძლებელია როგორც ლაბორატორიულ პირობებში ისე საველე პირობებში მონოლითებით.

ზღვრული წყალტევადობის შესწავლისათვის რეკომენდებულია 1,5-2 მ სიმაღლის მონოლითის აღება, მაგრამ ეს პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ნიმუშები აღება თუთიის სხვადასხვა ზომის ცილინდრებით, სიმაღლის მიხედვით.

მონოლითის ასაღებად უნდა გაიჭრას ორმო საიდანაც აღება მონოლითი თითოეულ გენეზისური ჰორიზონტიდან მცენარის ფესვთა სისტემის გავრცელების სიღრმეზე. მონოლითის ასაღებად აუცილებელია ცილინდრი და დანა. აბსოლუტურად მშრალი ნიადაგის წონის მიმართ ზღვრულ წყალტევადობას გამოსახვენ %-ობით. მშრალი ნიადაგის წონა გამოისახება დამოკიდებულებით:

$$A = \frac{100B}{100+r} \quad (4.7.1.)$$

სადაც A - არის ცილინდრში არსებული ნიადაგის წონა აბსოლუტურად მშრალ მდგომარეობაში;

B – მონოლითის აღების მომენტში ცილინდრში არსებული ნიადაგის წონა;

r – მონოლითის აღების მომენტში ცილინდრში არსებული ნიადაგის ტენი წონითი %-ობით, რომლის გაანგარიშების მიზნით მონოლითის აღების პარალელურად, ალუმინის ჭიქაში ვიღებთ ნიადაგის ნიმუშს და ვსაზღვრავთ ნიადაგის ტენს.

მინდორში აღება არანაკლებ 2x2 მ² ფართობი, დაიბარება, ზედაპირი მოსწორდება, ევლება 15-20 სმ სიმაღლის ბაზოები ორ რიგად, ერთიმეორისაგან ერთი მეტრის დაცილებით, რომლის დანიშნულებაცაა დაიცვას სააღრიცხვო ფართობზე მოწოდებული წყალი მეზობელ ფართობზე გაჟონვისაგან. ბაზოები იბეკნება. ბაზოებს შორის მანძილი არის 0,5-1,0 მ და ეს დამოკიდებულია ნიადაგის მექანიკურ შედგენილობაზე: თიხა ნიადაგებისათვის უნდა ავიღოთ მეტი, ქვიშნარისათვის ნაკლები. დამცავი ფართობი ისევე უნდა დამუშავდეს, როგორც სააღრიცხვო.

ორივე ფართობზე ერთდროულად მიეწოდება წყლის ისეთი რაოდენობა, რომ ნიადაგი გაიჟღინთოს მაქსიმალურად (გრუნტის წყალი თუ ახლოსაა, იმდენი წყალი უნდა მიეწოდოს, რომ მიწოდებული წყალი მას არ შეუერთდეს). მორწყვის შემდეგ ფართობი იფარება 0,6–1 მმ სისქის ორგანულ მულჩით რომ არ მოხდეს აორთქლება.

მეორე დღიდან ნიადაგის ტენის შემცველობა სისტემატურ ისწავლება ჰორიზონტების მიხედვით. ნიმუშები აიღება ბურ-ლით ჰორიზონტიდან 2–3-ჯერ განმეორებით, წყლის გავრცელების სიღრმემდე. ბურლით დატოვებული ხვრელი ივსება ნიადაგით.

ყოველდღიურად აღებული ნიმუშები თერმოსტატში 100–105 °C ტემპერატურის პირობებში შრება, 5–6 საათის განმავლობაში და ისაზღვრება ტენი პროცენტობით.

დაკვირვება მიმდინარეობს თითოეულ გენეტიკურ ჰორიზონტში, ზევიდან ქვევით და გრძელდება წყლის გადაადგილების დამთავრებამდე, ე.ი. სანამ ნიადაგში არ დამყარდება მუდმივი მყარი ტენიანობა. სწორედ ამ მომენტისათვის ნიადაგში არსებული წყლის რაოდენობა არის ნიადაგის ზღვრული წყალტევადობა.

პრაქტიკულად, ზღვრული წყალტევადობის დამყარება მთავრდება ქვიშნარი ნიადაგების პირობებში ერთ დღეში, თიხნარებში - 3-4 დღეში, ხოლო თიხა ნიადაგში 5-7 დღეში.

ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის განსაზღვრა ხდება შემდეგი თანმიმდევრობით რომელიც წარმოდგენილია ცხრილი 4.7.1.-ის სახით

ნიადაგის ზღვრული წყალტევადობა

ცხრილი 4.7.1.

#	მახასიათებლების დასახელება	განზომილება	რაოდენობა
1	ნიმუშის ალების სიღრმე	სმ	0-16
2	ცილინდრის #		8
3	ცილინდრის წონა ბადით, სველი ფილტრის ქაღალდით m_1	გრ	334.8
4	ცილინდრის წონა ფილტრითა და ნიადაგით m_2	გრ	2689.9
5	ნიადაგის წონა ცილინდრში $m_3 = m_2 - m_1$	გრ	2689.9
6	ნიადაგის ტენი პროცენტობით r	%	27,36
7	აბსოლუტურად მშრალი ნიადაგის წონა ცილინდრში $m_4 = \frac{m_3 \cdot 100}{100+r}$	გრ	1849.17
8	გაჟღენთილი ნიადაგის წონა ცილინდრით ბადით m_5	გრ	2909.6
9	გაჟღენთილი ნიადაგის წონა $m_6 = m_5 - m_1$	გრ	2504.80
10	წყლის წონა გაჟღენთილ ნიადაგში $m_7 = m_6 - m_4$	გრ	655.63
11	ნიადაგის ზღვრული წყალტევადობა აბსოლუტურად მშრალი ნიადაგის წონის მიმართ წონითი პროცენტობით $m_8 = \frac{m_7 \cdot 100}{m_4}$	%	35.54

მონაცემი მიღებულია მარადისის ფართობისათვის 0-16 სმ სიღრმის ფენაში



სურ. 4.7.1. ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის განსაზღვრისათვის საჭირო მასალები და მოწყობილობები: სასწორი, ცილინდრი ბადით, ექსიკატორი, წყლის აბაზანა, დანა, ლუმინის ჭიქა, ფილტრის ქაღალდი, სასწორი, თერმოსტატი, ბურღი, ბარი



სურ. 4.7.2. ნიადაგის ზღვრული წყალტევადობის განსაზღვრა

4.8. ნიადაგის წყალგამტარობა

ნიადაგის წყალგამტარობა არის ნიადაგის თვისება, გაატაროს თავის მასაში წყალი, რომელიც სიმძიმის ძალით ჟონავს ზემოდან ქვემოთ, ან დაწნევის გავლენით ჰორიზონტალურად გადაადგილდება. წყალგამტარობა დამოკიდებულია ნიადაგის მექანიკურ შედგენილობაზე - მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგი წყალს კარგად ატარებს, მძიმე ნიადაგი კი ცუდი წყალგამტარობით ხასიათდება. წყალგამტარობის დასახასიათებლად შეიძლება ფილტრაციის კოეფიციენტის გამოყენება, რომელიც წარმოადგენს ნიადაგში წყლის მოძრაობის სიჩქარეს და იზომება მ/სთ-ით, ან მ/დღე-ღამეში.

ნიადაგში წყლის გრავიტაციული მოძრაობის დროს (როდესაც წყალი ზემოდან ქვემოთ მოძრაობს) განასხვავებენ ორ ფაზას, წყლის ჩაჟონვის და ფილტრაციის ფაზას. წყლის შესრუტვაში იგულისხმება ნიადაგის ფორების თანდათანობითი შევსება ჩაჟონილი წყლით. ამ დროს, წყლის გადაადგილება ზემოდან ქვემოთ გამოწვეულია წნევის გრადიენტით და კაპილარული მენისკის ძალით, რომელიც წარმოიქმნება დასველების საზღვარზე და მოქმედებს იმავე მიმართულებით, ე.ი. ქვემოთ. ფილტრაციაში იგულისხმება წყლით გავსებულ ფორებში წყლის მოძრაობა ზემოდან ქვემოთ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წნევის გრადიენტითაა გამოწვეული. ნიადაგის მოცემული ფენისათვის ფილტრაციის ფაზის დაწყება განისაზღვრება იმ მომენტიდან, როდესაც წყალი იწყებს გამოსვლას ამ ფენიდან.



4.8.1. ნიადაგის წყალ გამტარობის განსაზღვრისათვის საჭირო მასალები და მოწყობილობები: შტატივი, მილიმეტრიანი ქაღალდი, საცერი 1 მმ, ჭიქა, ფილტრი, კოლბა, ძაბრი.

4.9. ფილტრაციის კოეფიციენტის განსაზღვრა

საქართველოს სარწყავი რეგიონების ფილტრაციის კოეფიციენტი განისაზღვრა დამოკიდებულებით :

$$K_{გოლ.} = \frac{W}{S JVT} \text{ სმ/წმ} \quad (4.9.1.)$$

სადაც: $K_{გოლ.}$ – ფილტრაციის კოეფიციენტია 10°C – ტემპერატურის პირობებისათვის;

W – ფილტრატის რაოდენობა 1 – დან მე – 2 გაზომვამდე;

S – ნიმუშის განივი კვეთის ფართობი;

J – წნევის გრადიენტი.

წნევის გრადიენტი განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$J = \frac{H+h}{H}, \quad (4.9.2.)$$

სადაც: H – ნიმუშის სიმაღლეა (სმ),

h - წყლის დაწნევა ნიმუშზე (სმ);

T – ფილტრატის შეგროვების დრო (ფილტრატთა გაზომვის შუა პერიოდი) (წმ);

V – ტემპერატურული კოეფიციენტი.

ტემპერატურული კოეფიციენტი განისაზღვრება დამოკიდებულებით

$$V = 0,7 + 0,03 t \quad (4.9.3)$$

სადაც: t - ფილტრაციის ტემპერატურაა ($^{\circ}C$).

ნიადაგებზე წყალგამტარუნარიანობა მერყეობს სოფელ დიოკნისეში ფილტრაციის კოეფიციენტი, ზედა 0,16 მ ფენაში 0,000059 სმ/წმ-ია, დაახლოებით 0,000006. ნიადაგების მცირე ფილტრაციულობა გამოწვეულია სუსტი ბიცობიანობით, ზედა ჰორიზონტებში.

ფილტრაციის კოეფიციენტის განსაზღვრა

ცხრილი 4.9.1.

№	მახასიათებლების დასახელება	განზომილების ერთეული	ცდით მიღებული შედეგები
1	ჭრილის №		1
2	ცილინდრის №		1
3	ნიმუშის აღების სიღრმე	სმ	18
4	ცილინდრის დიამეტრი	სმ	13
5	ცილინდრის განივკვეთის ფართობი S	სმ ²	221
6	ნიმუშის სიმაღლე ცილინდრში H	სმ	17
7	წყლის დაწნევა ნიმუშზე h	სმ	1.5
8	წნევის გრადიენტი J		1.09
9	ფილტრატის რაოდენობა W	სმ	8
10	დაკვირვების დრო T	წმ	420
11	ფილტრატის ტემპერატურა t	$^{\circ}C$	22
12	ტემპერატურული კოეფიციენტი V		1.36
13	ფილტრაციის კოეფიციენტი K_{10}	სმ/წმ	0.00006

კარბონატების არარსებობით, რის შედეგადაც მათი სტრუქტურული აგრეგატები წყალთან შეხებით ადვილად იშლებიან და

წყალგაუმტარი ხდებიან. ნიადაგების მორწყვისას, მტკიცე სტრუქტურის შექმნას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.



სურ. 4.9.1. ფილტრაციის კოეფიციენტის განსაზღვრა

თავი 5. საქართველოს სარწყავი რეგიონების ირიგაციული მაჩვენებლების და რწყვის საჭიროების დადგენა მუნიციპალიტეტების მიხედვით

5.1. კახეთის რეგიონი

საქართველოში კახეთი უმშვენიერესი მხარე და ერთ-ერთი დიდი რეგიონია აღმოსავლეთ საქართველოში. მისი განსაცვიფრებელი პეიზაჟები მოიცავს კავკასიონის მთავარი ქედის თოვლიან მწვერვალებს, რომელთა სიმაღლე 3300-4500 მ-მდეა.

კახეთი აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონია. ჩრდილოეთიდან კავკასიონის ქედითაა გარშემორტყმული, (ესაზღვრება რუსეთი), ჩრდილო-დასავლეთით მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, სამხრეთ-დასავლეთით ქვემო ქართლის რეგიონი, აღმოსავლეთით და სამხრეთით ესაზღვრება აზერბაიჯანი.



სურ. 5.1.1. კახეთის რეგიონი

კახეთის მხარის ფართობი 12000 კვადრატული კილომეტრია, რაც საქართველოს ტერიტორიის 18 %-ს შეადგენს. კახეთის მხარეში არის 285 დასახლებული პუნქტი, ცხრა ქალაქი (ახმეტა, გურჯაანი, ყვარელი, წნორი, დედოფლის წყარო, სიღნაღი, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო. და 276 სოფელი. ადმინისტრაციული ქალაქი თელავია. უნდა აღინიშნოს რომ კახეთის მხარის მოსახლეობა მრავალეროვნებით არ გამოირჩევა აქ ძირითადად ცხოვრობენ ქართველები (85%), აზერბაიჯანელები, ოსები, სომხები, ქისტები. კახეთის მხარის ტერიტორიაზე გადის სარკინიგზო, საავტომობილო მაგისტრალეები.

კახეთის მხარე წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო რეგიონს, მევენახეობა წარმოადგენს მხარის ძირითად საქმიანობას. კახეთი მეღვინეობის, მევენახეობის უძველესი კერაა, აქ ვაზის 80 მდე ჯიში გვხვდება. ჩვ. წ. აღ-მდე III–II საუკუნეში იწყება კახეთის მეღვინეობის ისტორია. ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის ინვესტიციებია კახეთის რეგიონის ღვინის წარმოებაში ჩადებული. კახეთის მხარეს ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის დიდი პოტენციალი აქვს.

ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგია საგარეჯოს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. მნიშვნელოვანი ხადოს ჰესი ჩინური კაპიტალის მონაწილეობით აშენდა 2004 წელს და შევიდა ექსპლოატაციაში.

კახეთის მხარეში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება უმაღლეს საფეხურზეა ასული, რაც მხარისთვის ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

კახეთის მხარე გამოირჩევა კულტურულ ძეგლთა სიმრავლით. ტურისტების ყურადღებას იპყრობს ეკლესია-მონასტრები და ციხე-სიმაგრეები.

კულტურული ძეგლებია: გრემი, ნეკრესი, გურჯაანის ყველაწმინდა, ალავერდი, ახალი, ძველი შუამთა, ნინოწმინდა, ბოდბე, ხორნაბუჯი, უჯარმა, სიღნაღი, იყალთო, დავით გარეჯის მონასტერი, წინანდალი, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. ყოველივე ბუნების, არქიტექტურის, კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია, რომელებიც კახეთის მხარეშია თავმოყრილი.

კახეთის მხარე წარმოდგენილია ჰავისა და ლანდშაფტის მრავალფეროვნებით, მხარეში არის როგორც სუბტროპიკული, ისე სტეპური ბუნება. $+1.4^{\circ}\text{C}$ საშუალო ტემპერატურა ზამთარში. $+23-25^{\circ}\text{C}$ -ია ზაფხულში, ბუნება მრავალფეროვანია, აქ გვხვდება ნახევრადუდაბნოები, მარადმწვანე ტყეები, სუბალპური მცენარეული საფარი. მხარეში ელდარის ვაკე (90-150 მეტრი ზღვის დონიდან) ყველაზე დაბალი ადგილია, თებულოს მთა (4493მ) ყველაზე მაღალია. კახეთის მხარეში ყოველწლიური ნალექების რაოდენობა მერყეობს 600 მმ-დან 1000 მმ-მდე.

ნოყიერი ნიადაგებით, ნიადაგისეული საფარით - ტყის მასივებით, სამოვრებით, წყლის რესურსებით კახეთი მდიდარია, რაც ზომიერ ჰავასთან ერთად, ადამიანის საცხოვრებლად და მისი სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

კახეთის მხარე ოდითგანვე გამოირჩეოდა ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობებით. მხარე დღესდღეობით მოიცავს მდინარე ივრის შიდა და ქვემო დინებას, მდინარე ალაზნის აუზს. აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი სუბტროპიკული სტეპური ჰავაა, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით; სწორედ ეს ქმნის პრობლემას სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, როდესაც ზაფხულის მზიან ცხელ დროს

მოსავალს ესაჭიროება მეტი წყალი, არასაკმარის წყლის გამო ხშირად მიწა იგვალვება [44].

სოფლის მეურნეობის წარმოების თვალსაზრისით კახეთი მნიშვნელოვანი რეგიონია. ნიადაგურ-კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა მივიღოთ დიდი რაოდენობით ეკოლოგიურად სუფთა, ხარისხოვანი მოსავალი, ისეთი კულტურების როგორცაა: საშემოდგომო, საგაზაფხულო ხორბალი, ქერი, სიმინდი. ეთერზეთოვანი, ზეთოვანი ტექნიკური კულტურები. კახეთში ნამდვილად ხელსაყრელი პირობებია მეხილეობის, მებოსტნეობის, ბაღჩეულის, მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მებარეშუმეობის დარგების განვითარებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ტენის დეფიციტს განიცდის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი რის გამოც აუცილებელი ხდება კახეთის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების ნიადაგის მექანიკური შემადგენლობის და ჰიდროფიზიკური მაჩვენებლების დადგენა და მორწყვის ნორმის ზუსტი გაანგარიშება.

კახეთის რეგიონის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები

კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის, სამხრეთის მიმართულებით გაშლილი მტკვარ-არაქსის დაბლობის ერთობლივი გავლენით კახეთი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით გამოირჩევა.


ჰიდროგრაფიული ქსელი. კახეთის რეგიონის ჰიდროგრაფიული ქსელი მდინარე მტკვრის აუზს წარმოდგენს, რომელიც წარმოდგენილია ალაზნის, იორის შენაკადებით. ალაზანი და იორი კახეთის კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე იღებს სათავეს, ჩაედინება მინგეჩაურის წყალსაცავში. ტბებიდან მნიშვნელოვანია: ზელახელი, უჯირი, კრასნოგორსკი, ჭალა. მინერალური წყაროებიდან: თორღვას თერმული აბანო, ფსევდოვულკანური ტალახები, ახტალა და სხვ.

კახეთის მხარეში გავრცელებული ნიადაგები

მდ. ალაზნის სანაპიროებზე - ალუვიური (ლაგოდები), კარბონატული ნიადაგებია, ტყის მასივებში, ტყის ყავისფერი (თელავი), მუქი ყომრალი, ელდარის ვაკეზე- წაბლა, შავმიწა რუხი მურა, სტეპური ნიადაგები, ივრის ზეგანზე წაბლა, შავმიწა სტეპური, ტყე-სტეპური ყავისფერი, მლაშობი ნიადაგები (იხ. ცხრილი 5.1.1. და დიაგრამა 5.1.1.)

ცხრილი 5.1.1.

ადგილმდებარეობა	სასოფლო სამეურნეო მიწა სულ	სახნავი	მრ. ნარგავები	ბუნებრივი სათიბები, საძოვრები
კახეთი	315,446	133,099	33,117	149,230
თელავი	312	114	64	133
ახმეტა	23,314	10,642	1,266	11,406
გურჯაანი	23,780	11,740	9,734	2,306
დედოფლისწყარო	87,993	31,533	2,039	54,421
თელავი	17,940	9,799	5,681	2,460
ლაგოდები	22,100	16,584	2,554	2,962
საგარეჯო	63,445	19,450	3,229	40,76
სიღნაღი	57,621	23,047	2,326	32,248
ყვარელი	18,942	10,189	6,223	2,529



დიაგრამა 5.1.1. კახეთის მხარეში გავრცელებული ნიადაგები

კახეთის რეგიონის ნიადაგების მექანიკური შედგენილობა


ნიადაგი შედგება სხვადასხვა ზომის ნაწილაკებისაგან, ნიადაგის მექანიკური ელემენტებისაგან. არჩევენ თიხა, ქვიშა და ლამიან ნიადაგებს: ქვიშა- 0,01 % დან 1,00 %; ლამი - 0,01 % დან 0,001 %; თიხა - 0,001%. თიხა წყალს ცუდად ატარებს ქვიშას კი წყლის დაკავების სუსტი უნარი აქვს.

კახეთის რეგიონის ნიადაგების მექანიკური შედგენილობა კვლევის მიხედვით მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლები-სათვის წარმოდგენილია ცხრილის სახით (ცხრილი 5.1.2.).

კახეთის ზონის ნიადაგების მექანიკური შემადგენლობა %

ცხრილი 5.1.2.

ნიმუშის ადრის ადგილი	ქვიშა	ლამი	თიხა	ნიადაგის ტიპი
ახმეტა სოფ. ოჟიო	30	44.5	25.9	თიხნარი
საგარეჯო სოფ. ხაშმი	24	51.8	24.2	ლამიანი თიხნარი
გურჯაანი სოფ. ქოდალო	25	47.8	27.5	თიხა თიხნარი
დედოფლისწყარო ტარიბანა	33	38.4	28.2	თიხა თიხნარი
თელავი სოფ. ვანთა	37	37.5	25.0	თიხნარი
ლაგოდეხი სოფ. თამარიანი	35	41.4	23.8	თიხნარი
სიღნაღი სოფ. ანაგა	34.7	39.8	25.5	თიხნარი
ყვარელი სოფ. ენისელი	41.7	33.3	25.0	თიხნარი




დიაგრამა 5.1.2. კახეთის ზონის ნიადაგების მექანიკური შემადგენლობა %

საქართველოს ნიადაგების სახნავი ფენის მასა, სახნავი ჰორიზონტის სხვადასხვა სიღრმეზე წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 5.1.3.).

საქართველოს ნიადაგების სახნავი ფენის მასა ტ/ჰა ცხრილი 5.1.3.


№	ნიადაგის დასახელება	მოცულობითი მასა გ/სმ ³	საშუალო	სახნავი ფენის მასა 0-20 სმ სიღრმეზე		
				0-20 სმ		0-30 სმ
				0.8x2000 გ ³	საშუალო	0.8x3000 გ ³
1	მთა-მდელოს	0.8-0.9-1.07	0.92	1600-1800-2140	1840	2760
2	ყომრალი	1.0-1.12-1.28	1.13	2000-2240-2560	2260	3390
3	შავმიწა	1.1-1.2-1.2	1.17	2200-2400-2400	2340	3510
4	ყავისფერი	1.15-1.16-1.18	1.17	2300-2320-2360	2340	3510
5	მდელოს-ყავისფერი	1.30-1.42-1.50	1.41	2600-2840-3000	2820	4230

6	რუხი ყავისფერი	1.26-1.34- 1.40	1.33	2520-2680- 2800	2660	3990
7	ყვითელმიწა	1.14-1.18- 1.19	1.17	2280-2360- 2380	2340	3510
8	წითელმიწა	0.98-1.20- 1.40	1.19	1960-2400- 2800	2380	3570
9	ჭაობიანი	0.8-0.84- 0.90	0.85	1600-1680- 1800	1700	2550
10	ალუვიური	1.03-1.07- 1.34	1.15	2060-2140- 2680	2300	3450
11	ნემომპალა- კარბონა- ტული	1.10-1.20- 1.30	1.2	2200-2400- 2600	2400	3600
12	ბიცი და ბიცნარი	1.40-1.50- 1.60	1.5	2800-3000- 3200	3000	4500
13	ბიცობი	1.18-1.21- 1.31	1.23	2360-2420- 2620	2460	3690
14	წითელმიწა და გაეწრებული	0.98-1.10- 1.2	1.09	1960-2200- 2400	2180	3270
15	ყვითელმიწა ეწერი	1.10-1.30- 1.40	1.27	2200-2600- 2800	2540	3810



დიაგრამა 5.1.3. საქართველოს ნიადაგების სახნავი ფენის მასა ტ/ჰა


დადგენილი კვლევის შედეგად ნიადაგის პროცენტული შემცველობის დაზუსტების შემდეგ გამოყენებულია, ნიადაგის ტექსტურული სამკუთხედი, რათა დადგინდეს ნიადაგის ტიპის განსაზღვრა.



სურ. 5.1.2. ნიადაგის ტექსტურული სამკუთხედი

კახეთის რეგიონის ნიადაგის მექანიკური ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია ნიადაგის ტიპები. თითოეული ნიადაგისათვის განსაზღვრულია ზღვრული ტენტევადობა, ჭკნობის წერტილი. რის საფუძველზეც წვეთოვანი მორწყვის დროს გაანგარიშებულია მორწყვის ნორმა. გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მაგალითად სოფ. ქოდალოში კვლევით დადგენილი ნიადაგის ტიპი არის - თიხა თიხნარი.

ნიადაგის მექანიკურ შედეგნილობაზეა დამოკიდებული ნიადაგის ტენტევადობა.



სურ. 5.1.3. ნიადაგის მექანიკური შედგენილობა

მექანიკური ფრაქციების მიხედვით ნიადაგები იყოფა წყალშემკავებლობით და წყალგამტარობით. ქვიშა წყალს მარტივად ატარებს და წყალშეკვების უნარი არ აქვს, ლამი წყალს ინარჩუნებს, კაპილარების საშუალებით იჟონება გვერდით. თიხა წყალს ინარჩუნებს, ძნელად ატარებს.

ტენტევადობა არის ნიადაგის მიერ ამა თუ იმ რაოდენობის წყლის დაკავების უნარი. დაკავებული წყლის მდგომარეობის მიხედვით განასხვავებენ სრულ, საველე (ზღვრულ), კაპილარულ უმცირეს ტენტევადობას.

აღნიშნულიდან ტენის უზრუნველყოფის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს საველე ზღვრულ ტენტევადობას. ზღვრული საველე ტენტევადობაა წყლის ის მაქსიმალურ რაოდენობა, რომელიც აღმოჩნდება ნიადაგში სრული ტენტევადობიდან 3-4 დღის შემდეგ. ესე იგი, საველე ზღვრულ ტენტევადობაზე მეტი წყალი ნიადაგიდან დაწრეტას განიცდის. საველე ზღვრული ტენიანობა გამოიყენება სარწყავი წყლის ნორმის დასადგენად. რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

საველე ზღვრული ტენტევადობისას დაახლოებით ნიადაგის ფორების ნახევარი წყლითაა შევსებული ნახევარი კი ჰაერით. თუ საველე ზღვრული ტენტევადობის მაჩვენებელს გამოვაკლებთ ჰკნობის წერტილს (ანუ წყლის მინიმალურ დონეს) მივიღებთ წყლის იმ რაოდენობას რომლის მიღება ნიადაგს შეუძლია. ე. ი. მორწყვის ნორმა იანგარიშება:

$$m = r_{ზღ} - r_{ჰკნ}\alpha \quad (5.1.1.)$$


სადაც: m - არის მორწყვის ნორმა;

$r_{ზღ}$ - ზღვრულ ტენტევადობა;

$r_{ჰკნ}$ - ჰკნობის წერტილია

α - ფესვთა სისტემის გავრცელების ზონაში ნიადაგის მასა

ტ/ჰა.



დიაგრამა 5.1.4. მოცულობითი წყლის შემცველობასა და ნიადაგის ტიპებს შორის ურთიერთდამოკიდებულება

მაგ. თელავის მუნიციპალიტეტი სოფელ ვანთას მსხმოიარე ვენახში (თიხნარი ნიადაგისათვის) რომლის ზღვრული ტენ-ტევადობაა – 31 %, ჭკნობის წერტილი – 14 %, მათ შორის სხვაობა კი არის 31 % - 14 %=17 %. ფესვთა სისტემა გავრცელებულია (ძირითადი მასა) 0-40 სმ სიღრმეში ე.ი. სახნავი ფენის მასა უდრის 4000 მ³. ნიადაგის ტიპი ყავისფერია რომლის მოცულობითი მასა უდრის 1,17გ/სმ³. სახნავი ფენის მასა ტოლია: 4000·1,17=4680 მ³ (ყავისფერი ნიადაგისათვის). ნიადაგის მექანიკური შემადგენლობაა - თიხნარი (31%-14%=17%). მორწყვის ნორმა ტოლია: 4680·17/100=795,6 ტ/ჰ ანუ 795600 ლიტრს/ჰა. გასასარწყავებელი ფართისათვის 1 მ²-ზე საჭირო წყლის რაოდენობა 79.5 ლიტრი. ეს ის წყლის რაოდენობაა, რომელიც უნდა მიეწოდოს ნიადაგს, როდესაც ნიადაგში ტენი ჭკნობის წერტილზეა დასული და უნდა ავიდეს ზღვრულ ტენტევადობამდე. რა თქმა უნდა ყოველთვის ამდენი წყლის მიწოდება არ დაჭირდება მცენარეს. აღნიშნული მონაცემის საფუძველზე ჩვენ საკვლევ ნიადაგზე დავაკალი რებთ ტონმზომს. რომელიც გვიჩვენებს, როდის უნდა დაიწყოს და როდის უნდა დამთავრდეს მცენარის მორწყვა.


კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების კლიმატური მაჩვენებლები

საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის მრავალსახეობას ქმნის კავკასიონის მაღალთის, შავი და კასპიის ზღვების მზის რადიაციის საერთო გავლენა, ჰაერის მასების ტრანსფორმირება, რთული მთაგორიანი რელიეფის პირობები და სხვა კლიმატ წარმომქმნელი ფაქტორები.

საქართველოში ვხვდებით დედამიწაზე არსებული კლიმატის თითქმის ყველა ტიპს - მაღალმთიანი ზონის მუდმივი

თოვლისა და მყინვარების კლიმატს. არ გვხვდება მხოლოდ ტროპიკული რეჟიმის კლიმატი.

ადამიანის ცხოვრება და მისი პრაქტიკული მოღვაწეობის თითქმის ყველა სამეურნეო საქმიანობა უშუალოდაა დაკავშირებული კლიმატთან. აქედან გამომდინარე მცირემიწიანი საქართველოს კლიმატურ და აგრო კლიმატურ რესურსებს ქვეყნისთვის საარსებო მნიშვნელობა ენიჭება.



სურ. 5.1.4. საქართველოს კლიმატური რუკა

სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის უმნიშვნელოვანესია ნიადაგ ურ-კლიმატური პირობების მეცნიერულ საფუძველზე უნარიანი გამოყენება.

აგრო კლიმატური რესურსების გათვალისწინება ხელს უწყობს ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ხარისხიანი და გარანტირებული მოსავლის მიღებაში.

კლიმატური ფაქტორები ძირითადად განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობას. აქედან გამომდინარე აუცილებლად გასათვალისწინებელია კახეთის

რეგიონის ადგილობრივი აგრო კლიმატური რესურსები, რომლებიც მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლისა და ფერმერული წარმოების რენტაბელობის ათვისებასთვის; წაყინვები; მზის რადიაცია; ატმოსფერული ნალექები; ჰაერისა და ნიადაგის ტემპერატურები და სხვა.

მთლიანად კახეთის რეგიონი იმყოფება მთიან რელიეფურ პირობებში ზღვის დონიდან 300-1900 მ და მეტ სიმაღლეზე.

კახეთის რეგიონი გამოირჩევა ხელსაყრელი ნიადაგურ კლიმატური პირობებით რის საფუძველზეც წარმატებით მოყავთ სამეურნეო მნიშვნელობის ვაზის სხვადასხვა ჯიშები, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. მარცვლეული კულტურები, ეთერზეთოვანი, ზეთოვანი ტექნიკური კულტურები (გერანი, ჟასმინი, კაზანლიყის ვარდი, მზესუმზირა, თამბაქო და სხვა). უხვი მოსავლიანობით გამოირჩევა. საუკეთესო პირობებია კახეთის რეგიონში მეხილეობის, მებოსტნეობის, ბაღჩეულის, მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მებარემუმეობის დარგების განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება ძირითადად დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე. ამიტომ აუცილებელია კახეთის რეგიონის ტერიტორიის აგროკლიმატური რესურსების საფუძვლიანი შეფასება რიგი პრობლემური საკითხების გადაწყვეტისთვის, კულტურების რაციონალური განლაგებისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის კახეთის ყველა მუნიციპალიტეტისათვის.

ატმოსფეროში, ჰიდროსფეროში, ლითოსფეროს ზედაპირულ ფენაში კლიმატის მაფორმირებელ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს მზის სხივური ენერჯია.

ივრის ზეგანზე (გარე კახეთი), შირაქში მზის ნათების მაქსიმალური ხანგრძლივობა ივლისში - 290 სთ, მინიმალური-

115 სთ. მზის ნათების ხანგრძლივობა შიგა კახეთის ბარზე მაქსიმუმს აღწევს ივლისში. რეგიონის ტერიტორიაზე აღნიშნული მზის ნათების ხანგრძლივობა სავეგეტაციო პერიოდში, სრულიად საკმარისია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფიზიოლოგიური პროცესების გააქტიურებისათვის და ხარისხიანი, მაღალი მოსავლის მიღებისათვის.


კახეთის ტერიტორიაზე (მთიანი ნაწილის გამოკლებით) მოწმენდილ დღეთა რაოდენობა საერთო ღრუბლიანობის პირობებში იცვლება 43 (თელავი) – 58 (წნორი) - ის ფარგლებში, ქვედა იარუსის ღრუბლიანობის პირობებში კი 103 (ლაგოდეხი) – 136 (თელავი) ფარგლებში. მოღრუბლულ დღეთა რაოდენობა საერთო ღრუბლიანობის პირობებში იცვლება 108 (ახმეტა) – 133 (ლაგოდეხი), ქვედა იარუსის ღრუბლიანობის პირობებში კი - 82 (ლაგოდეხი) დღის ფარგლებში.

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების საერთო და ქვედა იარუსის ღრუბლიანობისათვის მოწმენდილი (0-2 ბალი), ნახევრადმოწმენდილი (3-7 ბალი), მოღრუბლული (8-10 ბალი) ცის მდგომარეობის განმეორადობის პროცენტული მაჩვენებლების წელიწადში საგრძნობი განსხვავებაა შესამჩნევი მუნიციპალიტეტებს შორის.

საერთო და ქვედა იარუსის ღრუბლიანობისათვის მოწმენდილი, ნახევრადმოწმენდილი, მოღრუბლული, ცის მდგომარეობის განმეორადობა (%) წელიწადი.

ცხრილი 5.1.4.

სადგური	საერთო			ქვედა		
	0-2 მოწმენდილი	3-7 ნახევრად-მოწმენდილი	8-10 მოღრუბლული	0-2	3-7	8-10
ახმეტა	31	23	46	46	26	28
ყვარელი	27	18	55	54	11	35
თელავი	27	23	50	54	19	27
ლაგოდეხი	29	17	54	45	17	38
გურჯაანი	30	21	49	54	14	32
საგარეჯო	38	16	46	59	9	32
სიღნაღი	36	18	46	63	9	28
წითელწყარო	22	20	52	49	18	33



დიაგრამა 5.1.5. საერთო და ქვედა იარუსის ღრუბლიანობისათვის ცის მდგომარეობის განმეორადობა


კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში ცვალებადობა მოწმენდილი N და მოღრუბლულ n დღეთა რაოდენობა საერთო

(ა), ქვედა (ბ) იარუსის ღრუბლიანობის შემთხვევაში საგრძნობლად შესამჩნევია.

კახეთის მუნიციპალიტეტების მოწმენდილ N და მოღრუბლულ n დღეთა რაოდენობა საერთო (ა) და (ბ), ქვედა იარუსის ღრუბლიანობის შემთხვევაში

ცხრილი 5.1.5.

სადგური	საერთო მოწმენდილი	ქვედა მოწმენდილი	საერთო მოღრუბლული	ქვედა მოღრუბლული
ახმეტა	51	106	108	65
დედოფლისწყარო	46	116	117	62
თელავი	43	136	116	48
ლაგოდეხი	45	103	133	82
ყვარელი	44	134	132	67
სიღნაღი	58	116	110	70




დიაგრამა 5.1.6. კახეთის მუნიციპალიტეტების მოწმენდილ N და მოღრუბლულ n დღეთა რაოდენობა საერთო (ა) და (ბ), ქვედა იარუსის ღრუბლიანობის ურთიერთდამოკიდებულება.

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ჰაერის ტემპერატურის მაჩვენებლები

კახეთის რეგიონი ტემპერატურის განაწილების მიხედვით კონსტრასტული ხასიათისაა, რაც უშუალოდ უნდა აიხსნას კახეთის რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული მრავალფეროვნებით.

კლიმატის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ჰაერის ტემპერატურა. ჰაერის ტემპერატურის განაწილება ტერიტორიის ზედაპირზე, ძირითადად დაკავშირებულია რელიეფის ფორმაზე. ცივი ჰაერის მასები მეტად გროვდება ქვაბულებსა და ჩაკეტილ ადგილებში, ვიდრე გაშლილ ღია ადგილებში. კახეთის რეგიონში ნიადაგის ზედაპირის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურები საკმაოდ დაბალია.



სურ. 5.1.5.


კახეთის რეგიონში ზამთრის თვეებში ტემპერატურები დადებითია, გამონაკლისია დედოფლისწყარო (იანვარში -

0,2°C). ზამთრის თვეებში შიგნით კახეთის ბარზე ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურები ყველგან დადებითია. ჰაერის მაღალი ტემპერატურის საშუალო მაჩვენებლები აღინიშნება ივლის-აგვისტოში (აქტიური ვეგეტაციის პერიოდში). ლაგოდებში 24,1°C; გურჯაანში 23,6°C. ტემპერატურა დაბალია ახმეტაში, საგარეჯოში, დედოფლის წყაროში, შემოდგომაზე ტემპერატურა საგრძნობლად იკლებს.

ჰაერის ტემპერატურა °C

ცხრილი 5.1.6.

სადგური სიმალლე მ	თვე												წლი- ური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თელავი	0,5	1,9	5,7	11,1	16,0	19,6	22,9	23,0	18,5	13,1	7,0	2,5	11,8
ახმეტა	0,5	1,8	5,7	11,0	15,8	19,3	22,4	22,4	18,3	13,0	7,1	2,5	11,6
გურჯაანი	0,9	2,5	6,5	11,8	16,8	20,5	23,6	23,6	19,0	13,5	7,6	2,7	12,4
ყვარელი	1,0	2,7	6,6	11,9	17,0	20,5	23,6	23,6	19,0	13,8	7,6	2,9	12,5
საგარეჯო	-0,1	1,1	4,6	10,1	15,4	19,0	22,0	21,8	17,3	12,1	6,3	2,0	11,0
სიღნაღი	0,2	1,3	4,2	9,9	15,1	19,0	22,3	22,5	17,9	12,4	6,1	2,5	11,1
ლაგო- დები	0,9	2,6	6,5	11,8	17,1	20,7	24,1	24,1	19,5	13,8	7,5	2,7	12,6
დედოფ- ლისწყარო	-0,2	0,1	3,2	9,1	14,5	18,3	21,7	21,7	17,0	11,3	5,0	0,5	10,1



დიაგრამა 5.1.7. ჰაერის ტემპერატურა °C

ოში (აქტიური ვეგეტაციის პერიოდში). ლაგოდეხში 24,1°; გურჯაანში 23,6°. ტემპერატურა დაბალია ახმეტაში, საგარეჯოში, დედოფლის წყაროში, შემოდგომაზე ტემპერატურა საგრძნობლად იკლებს.

მარცვლეულის, ვაზის, ხეხილოვანი და სხვა კულტურების მოსავლის სიმწიფის ფაზის დასრულების, დროულად აღებისათვის შემოდგომის ჰაერის საშუალო ტემპერატურები, არ არის შემაფერხებელი.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა კახეთის ტერიტორიაზე ძირითადად დადებითია, 0°-დან 16°-მდე იცვლება. უდიდესი ტემპერატურები აღინიშნება ალაზნის ველზე, უმცირესი - კავკასიონის მაღალმთიან ზონაში. იორის ზეგანზე ტემპერატურა 10-14°-ია.

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში ნიადაგის დაბალი აბსოლუტური ტემპერატურები აღინიშნება უთოვლობის გამო.

წყინვები

კახეთის რეგიონს უკავია საქართველოს ტერიტორიის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი. ხასიათდება რთული ოროგრაფიით, განსხვავებული მცენარეული საფარითა და ვერტიკალური გრადიენტით შირაქის ველიდან კავკასიონის ქედის მარადთოვლიან მწვერვალებამდე. ჩრდილოეთით მთავარი კავკასიონის ქედის არსებობა საიმედოდ იცავს აღნიშნულ რეგიონს უშუალოდ ჩრდილოეთიდან ჰაერის ცივი მასების შემოჭრისაგან.

წყინვები კახეთის რეგიონისათვის განიხილება, როგორც არახელსაყრელი მეტეოროლოგიური მოვლენა, რომელიც ზოგჯერ დიდ ეკონომიურ ზარალს აყენებს სოფლის მეურნეობას.




სურ. 5.1.6. საგაზაფხულო წყინვები

წყინვების გათვალისწინება აუცილებელია ფერმერებისათვის და სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნას წყინვების წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა. მაგალითად რწყვა ნიადაგის გათბობის მიზნით, ნამის წერტილამდე აწევა მორწყვით, კვამლის გამოყენება.

ატმოსფერული ნალექები კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში

კახეთის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისა და მაღალი პროდუქტიულობისათვის, სხვა აგროკლიმატურ რესურსებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ატმოსფერული ნალექები, ნალექებით კახეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიები, განსაკუთრებით სავეგეტაციო პერიოდში არ არის საკმარისად უზრუნველყოფილი.

ატმოსფერული ნალექები როგორც კლიმატის მნიშვნელოვანი ელემენტი განსაზღვრავს ტემპერატურასთან ერთად როგორც ეკონომიკის დარგების ისე სოფლის მეურნეობის განვითარებას. ატმოსფერული ნალექები ხასიათდება - ნალექების ხანგრძლივობით, ნალექთა ჯამით, ინტენსივობით, ნალექიან დღეთა რიცხვით და ა.შ.



სურ. 5.1.7. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა

ატმოსფერულ ნალექებთან ერთად ფერმერული მეურნეობებისათვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სავეგეტაციო


პერიოდში ≥ 0.1 მმ და ≥ 5 მმ ნალექიან დღეთა რიცხვი. გაზაფხულზე ≥ 0.1 მმ ნალექიანი დღეთა რიცხვი მეტია სხვა სეზონებთან შედარებით მრავალწლიური მეტეოროლოგიური დაკვირვებათა მიხედვით.

კახეთის მუნიციპალიტეტებში აქტიური ვეგეტაციის პერიოდში ნალექების ნაკლებობა შეიმჩნევა, რაც უარყოფითად აისახება როგორც ერთწლიანი, ასევე მრავალწლიანი კულტურების ცალკეული ფაზების განვითარებაზე. ნიადაგში ტენის შესანარჩუნებლად აგროტექნიკური ღონისძიებებთან ერთად, სასურველია მორწყვის ჩატარება როგორც რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენებით ისე ტრადიციული მეთოდებით.

**ატმოსფერული ნალექების ყოველთვიური, წლიური ჯამების
მაჩვენებლები**

ცხრილი 5.1.7.

სადგური სიმაღლე მ	თვე												წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თელავი	33	40	60	83	145	126	80	64	72	68	51	38	860
ახმეტა	43	51	64	86	123	118	72	59	66	74	63	38	857
გურჯაანი	32	44	66	80	134	101	69	54	77	73	51	33	804
ყვარელი	40	46	70	105	181	159	103	81	90	86	63	46	1070
საგარეჯო	38	52	71	87	133	116	79	46	68	76	63	36	865
სიღნაღი	33	39	55	77	137	119	77	59	68	65	48	34	811
ლაგოდეხი	42	51	80	102	150	130	86	81	122	105	83	44	1076
დედოფლისწყარო	26	31	44	62	109	96	61	49	54	51	38	27	648



დიაგრამა 5.1.8. ატმოსფერული ნალექების ყოველთვიური, წლიური ჯამების მაჩვენებლები

ნიადაგში ტენის შესანარჩუნებლად სასურველია აგრო-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარება, ასევე სასურველია საირიგაციო სისტემების მოწყობა.

გაზაფხულზე, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა მეტია ვიდრე ზაფხულში მცენარეთა აქტიური ვეგეტაციის პერიოდში. სავეგეტაციო პერიოდის IV-VI თვეებში დამაკმაყოფილებელია კულტურებისათვის ხოლო (VII-VIII) საგრძნობლად მცირეა აქტიური ვეგეტაციის პერიოდში.

სავეგეტაციო პერიოდში ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის აუცილებელია განისაზღვროს ნალექიან დღეთა რიცხვის განმეორადობა, მაგალითად მცენარის ყვავილობის ფაზაში, რამდენად აკმაყოფილებს ნალექი მცენარის ნორმალურ განვითარებას.

ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა


სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით, ჰაერის შეფარდებით ტენიანობას აგროკლიმატურ მახასიათებლებიდან გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა ხელშემწყობი ფაქტორია მცენარეთა ფოტოსინთეზის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა ზამთარში მაღალია კახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში.

ჰაერის სინოტივის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შეფარდებითი სინოტივე. იგი დამოკიდებულია ღრუბლიანობაზე, ჰაერის ტემპერატურაზე, ქარის რეჟიმზე, ოროგრაფიაზე. შეფარდებით სინოტივეს ახასიათებს სეზონური სვლა, იგი დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე.

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ჰაერის ფარდობითი ტენიანობის ყოველთვიური, წლიური მაჩვენებლები

ცხრილი 5.1.8.

სადგური სიმაღლე მ	თვე												წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თელავი 568	71	69	69	66	70	67	62	60	68	73	76	72	69
ახმეტა 567	70	69	68	67	69	68	66	64	69	73	74	72	69
გურჯაანი 410	76	73	72	72	72	68	65	64	72	78	80	78	72
ყვარელი 449	78	73	72	70	70	66	65	64	72	77	80	80	69
საგარეჯო 802	71	69	69	68	69	66	64	63	70	75	76	72	69
სიღნაღი 796	74	75	74	74	74	68	65	63	72	79	80	74	73
ლაგოდეხი 362	80	75	73	70	71	66	62	60	69	78	82	82	72
დედოფლისწყარო 800	80	79	80	75	74	68	65	64	74	82	86	83	76



დიაგრამა 5.1.9. კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ჰაერის ფარდობითი ტენიანობის ყოველთვიური, წლიური მაჩვენებლები

კახეთის მთელ ტერიტორიაზე ჩანს, რომ ჰაერის შეფარდებითი სინოტივე იანვარში დიდ ფარგლებში არ იცვლება. 70 - 80%-ია ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე. ივრის ზეგანზე სინოტივე 80%-ია. საგარეჯოში, ახმეტის ტერიტორიაზე უმცირესია 70-75%-ია. ალაზნისა და იორის შუა წელში შეფარდებითი ტენიანობა 60-65%-ია, მთებში 70-75-ს შეადგენს.

მყარი მეტეოროლოგიური ფაქტორი

თოვლი ატმოსფერული ნალექების ტიპებიდან მნიშვნელოვანია, თოვლი იცავს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს ჰაერის დაბალი - უარყოფითი ტემპერატურებისაგან. კახეთის მუნიციპალიტეტის ფერმერებმა, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა თოვლის საფარის გაჩენის, დნობის საშუალო თარიღები უნდა იცოდნენ.

დედოფლისწყაროში, საგარეჯოში 45-41 დღეა. ყველაზე მცირე წნორში 10 დღე. თოვლის გაჩენა ადრე იწყება, დნობა

გვიან ხდება დედოფლისწყაროში, ახმეტაში, საგარეჯოში. ხოლო ყვარელში, ლაგოდეხში, წნორში გაჩენა გვიან იწყება, ადრე დნება. გომბორზე 74 დღეა, წყლის მარაგი თოვლის საფარში 41 მმ-დან (შირაქი) 64 მმ-მდეა (დედოფლის წყარო). აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებული თოვლის საფარის დღეების რაოდენობა.

სეტყვა და გვალვა

ამინდის არახელსაყრელი მოვლენებიდან სოფლის მეურნეობისათვის მეტად საშიშია სეტყვა. სეტყვა მნიშვნელოვნად აზიანებს, როგორც ერთწლიან, ასევე მრავალწლიან კულტურებს.

სეტყვა არ მოიცავს მამტაბურად დიდ ტერიტორიებს, გაივლის ვიწრო ზოლის სახით, მაგრამ მისგან მიყენებულმა დაზიანებებმა შეიძლება 1-2 წლიანი გამოუსწორებელი კვალი დატოვოს მრავალწლიან კულტურებზე.



სურ. 5.1.8. ძლიერი სეტყვა კახეთის მუნიციპალიტეტში

სეტყვის ხანგრძლივობაზე, დიამეტრზეა დამოკიდებული სეტყვის ინტენსიობა კახეთის რეგიონის თეთრიწყაროს, დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე 1974 წელს დაფიქსირებული სეტყვის ზომები შეადგენდა 300 გრამს და მეტს.

კახეთის რეგიონის ტერიტორიაზე სექცვიანობის მოვლენა იშვიათობა არაა. ამიტომ ფერმერებმა, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა უნდა იცოდნენ მიწათმოქმედთათვის, გასათვალისწინებელი სექცვიან დღეთა რიცხვი.

კახეთში სექცვის გამანადგურებელი შედეგების შესახებ ბევრი მასალა არსებობს. 1877 წელს გაზეთი “ივერია” წერდა, რომ 4 ივლისს კახეთში, გურჯაანის, ვეჯინის და ბაკურციხის ტერიტორიებზე მოვიდა მტრედის კვერცხის ზომის სექცვა, რამაც განადგურა ნათესები, ვენახები. 1953 წლის 19 ივნისს საგარეჯოში მოსულმა სექცვამ შექმნა 5-7 სმ სისქის საფარი. დაზიანდა ვენახები და ბაღები. სექცვის მარცვლის ზომები აღემატებოდა კაკლის ზომებს. სტიქიური მოვლენა განვითარდა 2012 წლის 19 ივლისს თელავში. გრიგალურ ქარს მოჰყვა ძლიერი სექცვა, განადგურდა ვენახები, ბაღები, ნათესები, შენობა-ნაგებობები. სექცვიან დღეთა რიცხვით განაწილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზღვის დონიდან ადგილის სიმაღლე.

თელავის, ახმეტის, გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოში 1-3 დღეა სექცვიან დღეთა რიცხვი, 7 და მეტი სექცვიან დღეთა რიცხვის განმეორადობა იშვიათი მოვლენაა და აღინიშნება მხოლოდ თელავის, დედოფლისწყაროს და ახმეტის რაიონებში.

სექცვიანობის დღეთა რაოდენობა მეტია მაის-ივნისში, კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში. ამ დროს მოსალოდნელია ვაზის დაზიანება. კვირტების გახსნისა და ყვავილობის ფაზის პერიოდში, დაახლოებით 60%-ით.

დღე-ღამეში ყველაზე მეტი სექცვის მოსვლის შემთხვევათა რიცხვი 12 სთ-დან - 21 სთ-მდე (80%-დან თითქმის 100%-მდე), მინიმუმ 21-დან 12 საათამდეა, რაც აიხსნება ატმოსფეროს ჰაერის მასების არასაკმარისი გათბობით. აღნიშნული მონა-

ცემები, სასურველია გაითვალისწინონ ფერმერებმა რათა დაიცვან განსაკუთრებით გაზაფხულზე ვაზი და სხვა კულტურები, შედარებით მცირე ფართობებზე სექცვის ზემოქმედებისაგან.

გვალვა

გვალვა კახეთისთვის საშიშ და სტიქიურ მოვლენას წარმოადგენს 5 მმ-მდე ნალექი ქმნის არასაკმარისი ტენიანობის პირობებს, როგორც ერთწლიანი კულტურების ზრდა განვითარებისათვის, ასევე მრავალწლიან კულტურებზე.



სურ. 5.1.9. გვალვა

კახეთის ტერიტორიაზე მკაცრი გვალვები ყველაზე ხშირია მდინარე იორის ქვემო წელში, ივრის ზეგანის უკიდურეს სამხრეთში, კახეთის რეგიონში მკაცრი გვალვები საშუალოდ 2 წელიწადში ერთხელაა. რაც ფერმერებმა, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მოსავლის შენარჩუნების, კულტურების ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის უნდა გაითვალისწინონ.

ივრის ზეგანის დანარჩენ ტერიტორიაზე, საგარეჯოს, გურჯაანის მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვან ტერიტორიებზე მკაცრი გვალვების განმეორადობა 20-30%-ს, დანარჩენ ტერიტორიაზე 10-20%-ს შეადგენს.


გვალვების განმეორებადობა თვეების მიხედვით კახეთის

მუნიციპალიტეტებში წარმოდგენილია ცხრილის სახით, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა ხასიათის სეზონური სვლა გააჩნია გვალვების განმეორადობას მუნიციპალიტეტებში

გვალვების განმეორებადობა თვეების მიხედვით %-ში

ცხრილი 5.1.9.

N	სადგური	თვე					
		IV	V	VI	VII	VIII	IX
1	თელავი	16	9	13	52	52	54
2	ახმეტა	17	7	17	57	50	53
3	ყვარელი	4	4	16	40	45	24
4	ლაგოდეხი	10	13	30	43	47	47
5	გურჯაანი	20	13	23	47	53	53
6	საგარეჯო	13	10	13	57	57	50
7	შირაქი	23	23	33	60	70	73



დიაგრამა 5.1.10. გვალვების განმეორებადობა თვეების მიხედვით %-ში

ქარი

ქარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია აგროკლიმატური რესურსებისა. გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ყვავილების დამტვერიანებაში დიდ როლს ასრულებენ ზომიერი ქარები (4-5 მ/წმ). რაც შეეხება ძლიერ ქარებს (≥ 15 მ/წმ) მცენარეთა ვეგეტაციის ნებისმიერ ფაზაში უარყოფითი შედეგები მოაქვთ.

კახეთის რეგიონის ტერიტორიაზე ძლიერ ქარიანი დღეთა რიცხვი წლის განმავლობაში სეზონების მიხედვით ცვალებადია. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მეტეოროლოგიური პუნქტის მონაცემების მიხედვით, თბილ პერიოდში ძლიერ ქარიან (≥ 15 მ/წმ) დღეთა რიცხვი ივრის ზეგანზე შეადგენს 6,4; თელავში 6,5; ყვარელში 18,5 ყველაზე მეტ, შირაქში ყველაზე ნაკლები 1,6.

მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მყოფმა ფერმერებმა, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე ძლიერი ქარების ზემოქმედების შესუსტების მიზნით აუცილებელია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულებები შეისწავლონ და გაითვალისწინონ ქარსაფარი ზოლების გაშენების დროს.

ქარი ხელს უწყობს ნიადაგიდან ტენის სწრაფ აორთქლებას და შესაბამისად იქმნება ნიადაგის პროდუქტიული ტენის მარაგის დეფიციტი, ასეთი შემთხვევებისას სასოფლო-სამეურნეო კულტურები განიცდიან წყლის დეფიციტს, რაც მათ ზრდა-განვითარებას აფერხებს და ამცირებს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურები, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, საჭიროებენ ნიადაგის ტენით უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ნიადაგის აგრომელიორაციული ღონისძიებების გატარებით, აუცილებელია სარწყავი, საირიგაციო

სისტემების გამოყენება, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანამედროვე სოფლის მეურნეობის წარმატებით წარმართვაში.

რეგიონის მუნიციპალიტეტების აგროკლიმატური მაჩვენებლები სავეგეტაციო პერიოდში წარმოდგენილია ცხრილის სახით.

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების აგროკლიმატური მაჩვენებლები

ცხრილი 5.1.10.

კახეთის რეგიონის ზოგიერთი აგროკლიმატური მახასიათებლები თბილ პერიოდში (IV-X)						
მეტეო-პუნქტი	ჰაერის ტემპერატურის ჯამი ($\geq 10^{\circ}$)	ატმოსფერული ნალექების ჯამი (მმ)	ჰაერის ფარდობითი ტენიანობის დევიციტი (მმ)	ჰაერის ტენიანობის დევიციტი (მმ)	უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა (დღე)	ჰიდროთერმული კოეფიციენტი
საგარეჯო	3420	550	68	7.5	222	1.6
დედოფლისწყარო	3230	490	72	6.8	209	1.5
შირაქი	3390	380	72	7.4	175	1.1
ელდარი	3750	360	66	9.1	208	1.0
ახმეტა	3660	560	68	7.8	238	1.5
თელავი	3730	590	66	8.3	233	1.6
გურჯაანი	3920	540	70	7.9	245	1.4
წნორი	4100	420	67	9.2	224	1.0
ყვარელი	3960	760	69	8.2	239	1.9
ლაგოდეხი	3980	740	68	8.6	242	1.8

5.2. ახმეტის მუნიციპალიტეტი კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტის ირიგაციული მაჩვენებლების და რწყვის საჭიროების დადგენა

კახეთის მხარის ახმეტის მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

კახეთის მხარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ერთეულია აღმოსავლეთ საქართველოში ახმეტის მუნიციპალიტეტი რომლის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ახმეტა



სურ. 5.2.1. ქალაქი ახმეტა

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა 1930 წლამდე თიანეთის მაზრაში, შემდეგ თელავის მაზრაში. 1951 წლიდან ცალკე რაიონად გამოიყო, 1963-64 წლებში თელავის რაიონში, 1964 წელს დამოუკიდებელ რაიონად ჩამოყალიბდა. 2006 წლიდან არის მუნიციპალიტეტი. [44]




სურ. 5.2.2. ახმეტის მუნიციპალიტეტის რუკა

ახმეტის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში 15 ადმინისტრაციული ერთეულია:

- ✓ ქალაქი ახმეტა - ახმეტა, ბულაანი;
- ✓ დუისი - დუისი, წინუბანი;
- ✓ ზემო ალვანი - ზემო ალვანი, ხორბალო;
- ✓ ზემო ხოდაშენი - ზემო ხოდაშენი, აწყური, ახალდაბა, ჩაბინაანი, ჩარექაული, ხველიადო, ხორხელი;
- ✓ თუშეთი ოძალო, ბოჭორნა, კვავლო, შენაქო, ჩილო, წარო;
- ✓ კასრისწყალი;
- ✓ მატანი;
- ✓ მალრანი - მალრანი, არგოხი, ფიჩხოვანი;
- ✓ ოჟიო - ოჟიო, ალავერდი, კოლოთო;
- ✓ საკობიანო - საკობიანო, ბაყილოვანი, დედისფერული, კუწახტა, ქორეთი, ყვარწყალი, ხევისქალა;

- ✓ ქვემოალვანი-ქვემოალვანი, ბაბანეური;
- ✓ ქისტაური - ქისტაური, არამუნდა, ახალმენი, ახმანი, ახშისველები, კოჯორი, საჩალემა;
- ✓ შავხვეტილა- შახხვეტილა, ვეძები, ნადუქნარი, საბუე, ჩაჩხრიალა, ჭართალა;
- ✓ ხალაწანი-დუმასტური, ომალო; ზემო ხალაწანი, ქვემო ხალაწანი, შუა ხალაწანი;
- ✓ ჯოყოლო-ჯოყოლო, ბირკიანი, ძიბახევი.



სურ. 5.2.3. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლები

მდებარეობა

ახმეტის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება დუშეთის, თიანეთის მუნიციპალიტეტები დასავლეთით, ჩეჩნეთი ჩრდილოეთით, თელავის მუნიციპალიტეტი, დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა აღმოსავლეთით, სამხრეთით საგარეჯოს მუნიციპალიტეტი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 2207,6 კმ² საიდანაც 8 80266 ჰა უკავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ხოლო 91200 ჰა ტყითაა დაფარული

რელიეფი

გეომორფოლოგიურად კონსტრასტებით ხასიათდება ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, საკმაოდ დიდი ნაწილი გარშემორტყმულია მთებით და მაღალი ქედებით. ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი გარშემორტყმულია მაღალი მთებით და ქედებით. დაბალი ადგილებია სამხრეთ ნაწილში ალაზნის ვაკის სახით წარმოდგენილი, რომლის სიგანე 5-11 კმ-ია (ალაზნის ვაკის უმცირესი სიგანე).[44]

ახმეტი მუნიციპალიტეტის კლიმატურ-ნიადაგური პირობები

ჰავა. ახმეტის მუნიციპალიტეტის დაბლობ ზონაში ზომიერად ნოტიო ჰავაა, ზაფხული ცხელი, ზამთარი საკმაოდ ცივი. ზომიერად ნოტიო ჰავაა ზღვის დონიდან 700-1200 მ სიმაღლეზე. ტენიანი ჰავაა, ზღვის დონიდან 1200-2000 მ-ზე. იანვარი წლის ყველაზე ცივი თვეა, საშუალო ტემპერატურა (-)3 °C-ია, ივლისში 22 °C-ია. ტემპერატურის აბსოლუტურ მაქსიმუმი 38 °C-ია. აბსოლუტურ მინიმუმი - 26 °C-ია. ქალაქ ახმეტაში ზომიერად ნოტიო ჰავაა. 11,6 °C -ია საშუალო წლიური ტემპერატურა.

ჰიდროგრაფიული ქსელი. ახმეტის მუნიციპალიტეტში ხშირია ჰიდროგრაფიული ქსელი. ბევრია მთის სწრაფი მდინარეები შიდა წყლებით. პირიქითი ალაზანი (სიგრძე 49 კმ) სათავეს იღებს პირიქითი ქედის სამხრეთ კალთის მყინვარზე ზღვის დონიდან 3195 მ-ზე. იკვებება მყინვარული, თოვლის, წვიმის და მიწისქვეშა წყლებით. უერთდება ერთადერთი მნიშვნელოვანი მდინარე ლაროვანისწყალი. თუშეთის ალაზანი (სიგრძე 59 კმ), მნიშვნელოვანი შენაკადია შენაკადი წოვათისწყალი. მდინარე თუშეთის ალაზნის საშუალო წლიური ჩამონადენია 0,7 კმ³. მნიშვნელოვანი მდინარეა ილტო (სიგრძე 43 კმ), რომელიც სათავეს იღებს ქართლისა და კახეთის ქედების შესაყართან.



სურ. 5.2.4. ახმეტის მუნიციპალიტეტის მდინარეები

ახმეტის მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთით გაედინება მდინარე ანდის ყოისუ რომელიც იქმნება მდინარეების პირიქითი ალაზნისა და თუშეთის ალაზნის შეერთების შედეგად 1535 მ აბსოლუტურ სიმაღლეზე. საქართველოს ფარგლებში მდინარის სიგრძეა 14,6 კმ. ანდის ყოისუ ტიპური მთის მდინარეა კარგად გამოხატული საფეხურებისებური დინებითა და ვიწრო და ღრმა ხეობით.

ნიადაგები

ახმეტის მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტი ფართობი უჭირავს მთა-მდელოს კორდიან ნიადაგს, რომელიც განვითარებულია მუნიციპალიტეტის სუბალპურ და ალპურ ზონაში. 1000-2000 მ-ზე გვხვდება ტყის ყომრალი ნიადაგები, მთის ფიჭვნარებში, მდინარე თუშეთის ალაზნის ორივე სანაპიროთა გასწვრივ, მდინარე პირიქითი ალაზნის ქვემო დინების სანაპიროებზე და მდინარე ალაზნის ზემო დინებაში. ჩამოყალიბებულია ნემომპალა კარბონატული ნიადაგი. მუნიციპალიტეტში მცირე ფართობზეა ტყის ყავისფერი ნიადაგები. ალაზნის ვაკესა და პანკისის ხეობაში გაბატონებულია ალუვიური ნიადაგი.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 830 კვ.კმ.


ახმეტის მუნიციპალიტეტის კლიმატური მახასიათებლები

კლიმატური ფაქტორები ძირითადად განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობას. ახმეტის მუნიციპალიტეტის კლიმატური მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილის სახით.

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საშუალო თვიური ჯამური
წყალმოთხოვნილების (ევაპოტრანსპირაციის) ანგარიში FAO-56
პროგრამით**

ცხრილი 5.2.1.

Country	Georgia			Station	axmeta			
Altitude	567	m.	Latitude	45.20	'N	Longitude	42.00	'E
Month	Min Temp	Max Temp	Humidity	Wind	Sun	Rad	ETo	
	°C	°C	%	km/day	hours	MJ/m ² /day	mm/day	
January	-23.0	20.0	70	0	4.0	5.7	0.22	
February	-18.0	21.0	69	0	4.5	8.1	0.54	
March	-14.0	26.0	68	0	5.0	11.6	1.26	
April	-6.0	30.0	67	95	6.1	15.9	3.37	
May	1.0	33.0	69	43	7.2	19.4	3.71	
June	7.0	35.0	68	35	8.9	22.5	4.44	
July	8.0	37.0	66	17	9.3	22.5	4.42	
August	8.0	38.0	64	52	9.2	20.5	4.47	
September	0.0	36.0	69	61	7.3	15.1	3.37	
October	-5.0	33.0	73	43	5.9	10.2	1.87	
November	-8.0	37.0	74	0	4.2	6.3	0.76	
December	-19.0	22.0	72	0	3.6	4.8	0.38	
Average	-5.8	30.7	69	29	6.3	13.6	2.40	



**დიაგრამა 5.2.1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საშუალო თვიური
კლიმატური მახასიათებლების და ჯამური წყალმოთხოვნილების
(ევაპოტრანსპირაციის) გრაფიკები**

ახმეტის ტერიტორიაზე აღნიშნული მოცემული მზის ნა-
თების ხანგრძლივობა სავეგეტაციო პერიოდში, სრულიად

საკმარისია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფიზიოლოგიური პროცესების გააქტიურებისათვის და ხარისხიანი, მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

ახმეტის მუნიციპალიტეტის წყლით უზრუნველყოფის შეფასება

ახმეტის მუნიციპალიტეტის კლიმატური მახასიათებლების საფუძველზე ახმეტის მუნიციპალიტეტის წყლით უზრუნველყოფის შესაფასებლად გამოყენებულია სელიანიძის მეთოდი. ახმეტის მუნიციპალიტეტის ნალექებისა და ჰაერის ტემპერატურის ცხრილის მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულია წყლის ბალანსის კოეფიციენტი

$$K = \frac{\sum P}{\sum t:10} = \frac{249}{5897,2:10} = 0,4 \quad (5.2.1)$$

ე.ი. წყლის ბალანსის კოეფიციენტების სიდიდის მიხედვით კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტი მიეკუთვნება მშრალ, განსაკუთრებით სარწყავი ზონას და საჭიროებს მორწყვას. წყლის ბალანსის კოეფიციენტია 0,4

რწყვის ვადები განისაზღვრა წყლის ბალანსის დინამიკის მიხედვით.

რწყვის ვადების დადგენა შეგვეძლება, თუ ყოველ ცალკეული პერიოდისთვის გვეცოდინება საშუალო დღე-ღამური ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა, ნალექების რაოდენობა. მაგალითად ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჭიოში ერთ ჰექტარ კარგად დამუშავებულ ნიადაგზე დათესილია სიმინდი, (ამიტომ α კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ნიადაგის ზედაპირის მდგომარეობას, მცენარის თავისებურებას, ქარის სიჩქარეს და იცვლება 0,6–1,1-ის ფარგლებში ავიღოთ 0,6) პირველი რწყვა ჩატარდა 10 მაისს. მორწყვის ნორმა, ნიადაგის მოცულობითი მასა, სიმკვრივე, მაქსიმალურ მოლექულური მასა და მაქსიმალურ ჰიგროსკოპიული ტენი განსაზღვრულია

ვეგეტაციის პერიოდის განმავლობაში. მორწყვის ნორმა პირველი რწყვისას შეადგენს 600 მ³/ჰა-ში; საშუალო დღიური ტემპერატურა რწყვათა შორის პერიოდში 16,2 C, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ამავე პერიოდშია 69 % ნალექები 123 მმ. μ - ნალექების დაკავების კოეფიციენტი 0,8.

საშუალო დღიური ხარჯი:

$$e = \alpha t^0 \left(1 - \frac{r}{100}\right) = 0.6 \cdot 16,2 \cdot \left(1 - \frac{69}{100}\right) = 3,01 = 30.1 \text{ მ}^3 / \text{ჰა} \quad (5.2.2.)$$

შემდეგი რწყვის პერიოდი განისაზღვრა დამოკიდებულებით:

$$T = \frac{m+10\mu P}{e} = \frac{600+10 \cdot 0,8 \cdot 123}{30,1} = 33 \text{ დღე-ღამე} \quad (5.2.3.)$$

ოჟიოში მეორე რწყვა უნდა ჩატარდეს 10 მაისს +33 დღე = 12 ივნისს

ანალოგიური მიმდინარეობით განსაზღვრულია ახმეტის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებისათვისაც.

ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფელი ოჟიოს მოკლე დახასიათება

ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფელი ოჟიო მდებარეობს ალაზნის ვაკეზე ზღვის დონიდან 520 მეტრ სიმაღლეზე. ცენტრიდან დაშორებულია 17 კილომეტრით [44].




სურ. 5.2.5. სოფელი ოჟიო

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჟიოში განსაზღვრულია ნიადაგის მექანიკური შედგენილობის პროცენტული შემცველობა- ქვიშა 29,6 % ლამი 44,5 თიხა 25,9% და ნიადაგის ტიპი თიხნარია, ნიადაგის ჰიდროფიზიკური მაჩვენებლები, მოცულობითი მასა, ზღვრული ტენტევადობა მაქსიმალურ მოლეკულური ტენი და დადგენილია მორწყვის ნორმა

ნიადაგის მექანიკური შემადგენლობა %

ცხრილი 5.2.2.

ნიმუშის ადების ადგილი	ქვიშა	ლამი	თიხა	ნიადაგის ტიპი
ახმეტა სოფ.ოჟიო	29,6	44,5	25,9	თიხნარი




დაგრაფა 5.2.2. სოფელ ოჯიოს ნიადაგის მექანიკური შემადგენლობა %

ოჯიოს ნიადაგის ჰიდროფიზიკური მაჩვენებლები

ცხრილი 5.2.3.

ადგილმდებარეობა	თარიღი	ნიმუშის აღების სიღრმე სმ-ით	მოცულობითი წონა გრ/სმ ³	სიმკვრივე გრ/სმ ³	ფორიანობა %-ობით	ზღვრული წყალტევადობა %-ობით	მაქსიმ. მოლეკულური ტენი წონით %-ობით	მაქსიმალური ჰიგროსკოპიულობა წონით %-ობით	ზღვრული წყალტევადობა 80% %-ობით
სოფელი ოჯიო	20,04,22	0.16	1.04	2.70	61.49	36.33	13.00	11.00	29.06
		16.32	1.31	2.72	51.84	35.40	14.66	13.45	28.32
		32.48	1.37	2.76	50.37	33.01	15.45	14.61	26.72
		48.64	1.40	2.76	49.28	32.07	15.10	14.08	25.65
ჯამური საშუალო		0.70	1,28	2,74	53.22	34.1	14.55	13,15	27.28



დიაგრამა 5.2.3. ოჯიოს ნიადაგის ჰიდროფიზიკური მაჩვენებლები

ოჯიოს ნიადაგის ჰიდროფიზიკური მაჩვენებლების მონაცემების მიღების შემდეგ განისაზღვრა მორწყვის ნორმა მრავალწლიანი ნარგავებისათვის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში

$$m_1=100 \cdot 0,8 \cdot 1,28 \cdot (34,1-27,28)=102,4 \cdot 6,82 = 698,368 \approx 700\text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100 \cdot 0,9 \cdot 1,28 \cdot (34,1-27,28)=115,2 \cdot 6,82 = 785,664 \approx 800\text{მ}^3/\text{ჰა}$$

ბოსტნის კულტურებისათვის

$$m_1=100 \cdot 0,3 \cdot 1,28 \cdot (34,1-27,28)= 38,4 \cdot 6,82 = 261,888 \approx 250\text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100 \cdot 0,5 \cdot 1,28 \cdot (34,1-27,28)=64 \cdot 6,82 = 436,48 \approx 450\text{მ}^3/\text{ჰა}$$

მინდვრის კულტურებისათვის

$$m_1=100 \cdot 0,6 \cdot 1,28 \cdot (34,1-27,28)= 76,8 \cdot 6,82 = 523,77 \approx 500\text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100 \cdot 0,7 \cdot 1,28 \cdot (34,1-27,28)=89,6 \cdot 6,82 = 611,072 \approx 600\text{მ}^3/\text{ჰა}$$

ოჯიოს მორწყვის ნორმის შედეგები

ცხრილი 5.2.4.

კულტურების დასახელება	მორწყვის ნორმას მ ³ /ჰა
მრავალწლიანი ნარგავები	700/800
ბოსტნის კულტურები	250/450
მინდვრის კულტურები	500/600

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანის მოკლე დახასიათება

ულამაზესი უძველესი სოფელი მატანი V-VI საუკუნეებში არის დასახლებული. სავარაუდოდ სახელწოდება სოფელ ერწო-თიანეთიდან კახეთში მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციის დროს უნდა შერქმეოდა.




სურ. 5.2.6. სოფ. მატანი და მატანისხევი

მატანი XII-XIII საუკუნეებშია მოხსენიებული. ქართულ საისტორიო წყაროებში სოფელი პირველად XVI საუკუნეში ლევან კახთა მეფის დროს (1518/1520-1574 წწ.) „მატანი“ საუკუნეებში იხსენიება. მატანი კახეთის თავადებს ჩოლოყაშვილებს ეკუთვნოდათ. შესწავლილი და დადგენილ იქნა ნიადაგის ჰიდროფიზიკური თვისებები, აგრეთვე დადგენილ იქნა მორწყვის ნორმა [44].

მატანის ნიადაგის ჰიდროფიზიკური მაჩვენებლები

ცხრილი 5.2.5.

ადგილმდებარეობა		თარიღი	ნიმუშის ალების სიღრმე სმ-ით	მოცულობითი წონა გრ/სმ ³	სიმკვრივე გრ/სმ ³	ფორიანობა %-ობით	ზღვრული წყალტევადობა %-ობით	მაქსიმ. მოლეკულური ტენი წონით %-ობით	მაქსიმალური ჰიგროსკოპიულობა წონით %-ობით	ზღვრული წყალტევადობა 80% %-ობით
მატანი	12.05.21	0,16	1.36	2.43	4.04	29.94	10.39	9.67	23.47	
		16,32	1.39	2.44	48.08	29.37	11.27	10.23	23.50	
		32,48	1.32	2.47	46.56	31.64	12.07	10.89	25.31	
		48,64	1.35	2.47	45.35	30.21	11.04	10.34	24.17	
ჯამური საშუალო		0,64	1.35	2.45	45.99	30.29	11.19	10.28	24.23	



დიაგრამა 5.2.4. მატანის ნიადაგის ჰიდროფიზიკური მაჩვენებლები

განისაზღვრა მორწყვის ნორმა მრავალწლიანი ნარგავებისათვის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.

$$m_1=100 \cdot 0,8 \cdot 1,35 \cdot (30,29-24,23)=108 \cdot 6,06=654,4 \approx 650 \text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100 \cdot 0,9 \cdot 1,35 \cdot (30,29-24,23)=121,5 \cdot 6,06 = 736,29 \approx 750 \text{მ}^3/\text{ჰა}$$

ბოსტნის კულტურებისათვის

$$m_1=100 \cdot 0,3 \cdot 1,35 \cdot (30,29-24,23)= 40,5 \cdot 6,06 = 245,43 \approx 250 \text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100 \cdot 0,5 \cdot 1,35 \cdot (30,29-24,23)=67,5 \cdot 6,06 = 409,05 \approx 400 \text{მ}^3/\text{ჰა}$$

მინდვრის კულტურებისათვის

$$m_1=100 \cdot 0,6 \cdot 1,35 \cdot (30,29-24,23)= 81 \cdot 6,06 = 490,86 \approx 500 \text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100 \cdot 0,7 \cdot 1,35 \cdot (30,29-24,23)=94,5 \cdot 6,06 = 572,67 \approx 600 \text{მ}^3/\text{ჰა}$$

მატანის მორწყვის ნორმის შედეგები

ცხრილი 5.2.6.

კულტურების დასახელება	მორწყვის ნორმას მ ³ /ჰა
მრავალწლიანი ნარგავები	650/750
ბოსტნის კულტურები	250/400
მინდვრის კულტურები	500/600

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის მოკლე დახასიათება


სოფელი ალავერდი შედის ახმეტის მუნიციპალიტეტის ოჟიოს თემში. მდებარეობს მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. 430 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. 25 კილომეტრითაა ცენტრიდან დაშორებული. სოფელში დგას ალავერდის მონასტერი [44]



სურ. 5.2.7. სოფელი ალავერდი

სოფელ ალავერდის ნიადაგის ჰიდროფიზიკური მაჩვენებლები
ცხრილი 5.2.7.

ადგილმდებარეობა		ნიმუშის აღების სიღრმე სმ-ით		სიმკვრივე გრ/სმ ³		ფორიანობა %-ობით		ზღვრული წყალტევადობა %-ობით		მაქსიმ. მოლექულოური ტენი წონით %-ობით		მაქსიმალური ჰიგროსკოპიულობა წონით %-ობით		ზღვრული წყალტევადობა 80% %-ობით	
ალავერდი	თარიღი														
ალავერდი	12.05.21	0.16	1.34	2.84	66.67	36.07	22.54	18.14	28.86						
		16.32	1.40	2.82	57.10	32.77	21.64	17.04	26.22						
		32.48	1.48	2.78	57.92	35.83	24.80	16.18	28.24						
		48.64	1.50	2.78	57.92	37.07	20.85	16.98	29.66						
ჯამური საშუალო		0.64	1.12	2.65	59.90	35.27	22.46	17.08	28.22						



დიაგრამა 5.2.5. სოფელ ალავერდის ნიადაგის ჰიდროფიზიკური მაჩვენებლები

განისაზღვრა მორწყვის ნორმა მრავალწლიანი ნარგავებისათვის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში .

$$m_1=100-0,8 \cdot 1,12 \cdot (35,27-28,22)=89,6 \cdot 7,05 = 631,68 \approx 500\text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100-0,9 \cdot 1,12 \cdot (35,27-28,22)=100,8 \cdot 7,05 = 710,64 \approx 700\text{მ}^3/\text{ჰა}$$

ბოსტნის კულტურებისათვის

$$m_1=100-0,3 \cdot 1,12 \cdot (35,27-28,22)=33,6 \cdot 7,05 = 236,8 \approx 250\text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100-0,5 \cdot 1,12 \cdot (35,27-28,22)=56 \cdot 7,05 = 473,76 \approx 400\text{მ}^3/\text{ჰა}$$

მინდვრის კულტურებისათვის

$$m_1=100-0,6 \cdot 1,12 \cdot (35,27-28,22)=67,2 \cdot 7,05 = 473,76 \approx 500\text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100-0,7 \cdot 1,12 \cdot (35,27-28,22)=78,4 \cdot 7,05 = 552,72 \approx 550\text{მ}^3/\text{ჰა}$$

ალავერდის მორწყვის ნორმის შედეგები

ცხრილი 5.2.8.

კულტურების დასახელება	მორწყვის ნორმას მ ³ /ჰა
მრავალწლიანი ნარგავები	500/700
ბოსტნის კულტურები	250/400
მინდვრის კულტურები	500/550

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლები ზემო და ქვემო ალვანის მოკლე დახასიათება

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ალვანის ველი კახეთში, მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტში. XVI საუკუნის შუა წლებში კახეთის მეფე ლევანმა ალვანის ველი თუმებს უწყალობა საზამთრო სამოვრებად. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მიერ თუმებისათვის (1757) ნაბოძები სიგელიდან ირკვევა, რომ იმხანად ველს მხოლოდ სამოვრებად იყენებდნენ. თუმების მუდმივ საცხოვრებელ ადგილად ალვანი XIX საუკუნის დასაწყისიდან გადაიქცა. იმ დროს გაჩნდა სოფ. ალვანიც [44].

ზემო ალვანი მდებარეობს მდინარე ალაზნის ვაკეზე, მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 420 მეტრ სიმაღლეზე, ახმეტიდან მდებარეობს 8 კილომეტრ მანძილზე.



სურ. 5.2.8. ქვემო ალვანი და ზემო ალვანი

ზემო ალვანი და იმის მიყოლებით ქვემო ალვანი ორივე სოფელი საოცრად ლამაზია. ასეთ სწორ ადგილებს ქუჩებს თითქმის ვერსად შეხვდებით.


ზემო და ქვემო ალვანს გარს არტყამს ისტორიული ძეგლები. ცხრაკარას სასახლის კომპლექსი, ლევან მეფის სასახლის კომპლექსის ნაშთები, სოფელ ზემო ალვანსა და ქვემო ალვანს შორის, ალაზნის ველის ზემოთ, კავკასიონის მთისწინეთზე მდებარეობს.



სურ. 5.2.9. ზემო ალვანი თავისი ღირშესანიშნაობებით

სოფელ ზემო ალვანის ნიადაგის ჰიდროფიზიკური მაჩვენებლები
ცხრილი 5.2.9.

ადგილმდებარეობა	თარიღი	ნიმუშის ალბის სიღრმე სმ-ით	მოცულობითი წონა გრ/სმ ³	სიმკვრივე გრ/სმ ³	ფორიანობა %-ობით	ზღვრული წყალტევადობა %-ობით	მაქსიმ. მოლკულური ტენი წონით %-ობით	მაქსიმალური ჰიგროსკოპიულობა წონით %-ობით	ზღვრული წყალტევადობა 80% ზღვრული %-ობით
ზემო ალვანი	21.04.21	0.16	1.14	2.48	54.04	39.38	14.11	11.23	31.50
		16.32	1.30	2.61	44.45	25.68	14.45	12.78	20.54
		32.48	1.45	2.70	45.55	28.96	14.18	12.34	23.17
		48.64	1.49	2.75	49.82	33.13	15.18	13.22	26.50
		64.80	1.52	2.76	44.93	24.89	19.13	13.29	19.91
ჯამური საშუალო		0.80	1.37	2.66	47.75	30.41	15.41	12.67	24.32



დიაგრამა 5.2.6. სოფელ ზემო ალვანის ნიადაგის ჰიდროფიზიკური მაჩვენებლები

განისაზღვრა მორწყვის ნორმა მრავალწლიანი ნარგავებ-ბისათვის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.

$$m_1=100*0,8*1,37*(30,41-24.32)=109.6 * 6.09 = 667.464 \approx 650\text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100*0,9*1,37*(30,41-24.32)=123.3 * 6.09 = 750.89 \approx 750\text{მ}^3/\text{ჰა}$$

ბოსტნის კულტურებისათვის

$$m_1=100*0,3*1,37*(30,41-24.32)= 41.1 * 6.09 = 250.299 \approx 250\text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100*0,5*1,37*(30,41-24.32)= 68.5 * 6.09 = 417.156 \approx 400\text{მ}^3/\text{ჰა}$$

მინდვრის კულტურებისათვის

$$m_1=100*0,6*1,37*(30,41-24.32)= 82.2 * 6.09 = 500.598 \approx 500\text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100*0,7*1,37*(30,41-24.32)= 95.9 * 6.09 = 584.031 \approx 600\text{მ}^3/\text{ჰა}$$

ზემო ალვანის მორწყვის ნორმის შედეგები

ცხრილი 5.2.10.

კულტურების დასახელება	მორწყვის ნორმას მ ³ /ჰა
მრავალწლიანი ნარგავები	650/750
ბოსტნის კულტურები	250/400
მინდვრის კულტურები	500/600


ქვემო ალვანი - ენა, კულტურა, ტრადიციები, ჩვენი თვით-
მყოფადობა შეგვინარჩუნა ქართველების სარწმუნოებრივმა სიმ-
ტკიცემ, რომლის ნათელი მაგალითია, ალავერდის ეპარქიის
უმშვენიერესი და ღვთივკურთხეული მხარე თუშეთი, სადაც
მიუვალ ხეობებში, მთის კალთებზე შეფენილია სიპით ნაგები
სამწირველოები და აკლდამები, ეკლესიები, სიპის ციხე-კოშ-
კები. მუსულმანური სამყაროს გარემოცვაში იმყოფება (ჩრდი-
ლოეთით ესაზღვრება ჩეჩნეთი), სწორედაც რომ, ალვანის ძი-
რითადი მოსახლეობა არის თუშები, ქვემო ალვანი მდებარეობს
სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ვაკეზე, მდინა-
რე ალაზნის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 460 მეტრ სიმაღ-
ლეზე. ახმეტიდან 15 კილომეტრით არის დაშორებული [44].



სურ.5.2.10. ქვემო ალვანი და ქვემო ალვანის სამაროვნის მთავარანგელოზთა ეკლესია

სოფელ ქვემო ალვანის ნიადაგის ჰიდროფიზიკური მაჩვენებლები
ცხრილი 5.2.11.

ადგილმდებარეობა	თარიღი	ნიმუშის ალების სიღრმე სმ-ით	მოცულობითი წონა გრ/სმ ³	სიმკვრივე გრ/სმ ³	ფორიანობა %-ობით	ზღვრული წყალტევადობა %-ობით	მაქსიმ. მოლუკულური ტენი წონით %-ობით	მაქსიმალური ჰიგროსკოპიულობა წონით %-ობით	ზღვრული წყალტევადობა 80% %-ობით
ქვემო ალვანი	14.05.21	0.16	1.05	2.67	60.68	40.15	17.83	15.94	32.12
		16.32	1.09	2.67	59.18	37.37	16.40	16.49	29.90
		32.48	1.41	2.69	47.59	36.19	15.95	16.22	28.95
		48.64	1.46	2.70	45.93	35.89	13.43	12.60	28.71
		64.80	1.53	2.79	45.17	29.88	11.36	10.40	23.90
ჯამური საშუალო		0.80	1.31	2.70	52.50	38.94	15.60	14.53	31.15



დიაგრამა 5.2.7. სოფელ ქვემო ალვანის ნიადაგის
ჰიდროფიზიკური მაჩვენებლები

განისაზღვრა მორწყვის ნორმა მრავალწლიანი ნარგავები-სათვის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში .

$$m_1=100*0,8*1,31*(38,94-31,15)= 104,8 * 7.79 = 816.392 \approx 800\text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100*0,9*1,31*(38,94-31,15)= 117.9 * 7.79 = 918.441 \approx 900\text{მ}^3/\text{ჰა}$$

ბოსტნის კულტურებისათვის

$$m_1=100*0,3*1,31*(38,94-31,15)= 39.3 * 7.79 = 306.147 \approx 300\text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100*0,5*1,31*(38,94-31,15)= 65.5 * 7.79 = 510.245 \approx 500\text{მ}^3/\text{ჰა}$$

მინდვრის კულტურებისათვის

$$m_1=100*0,6*1,31*(38,94-31,15)= 78.6 * 7.79 = 612.294 \approx 600\text{მ}^3/\text{ჰა}$$

$$m_2=100*0,7*1,31*(38,94-31,15)=91.7 * 7.79 = 714.343 \approx 700\text{მ}^3/\text{ჰა}$$

ქვემო ალვანის მორწყვის ნორმის შედეგები

ცხრილი 5.2.12.

კულტურების დასახელება	მორწყვის ნორმას მ ³ /ჰა
მრავალწლიანი ნარგავები	800/900
ბოსტნის კულტურები	300/500
მინდვრის კულტურები	600/700

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურის მოკლე დახასიათება

ახმეტის მუნიციპალიტეტის გომბორის ქედის ჩრდილო აღმოსავლეთ კალთის ძირში მდებარეობს სოფელი ქისტაური, ზღვის დონიდან 540 მეტრ სიმაღლეზე. ცენტრიდან დაშორებულია 7 კილომეტრით .




სურ. 5.2.11. სოფელ ქისტური, რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი. ერისთავების საგვარეულო ყველაწმინდის ეკლესია

სოფელ ალვანში ქრის ჩრდილო დასავლეთის ქარი. საშუალო ტემპერატურაა 15°C, ფარდობითი ტენიანობა 82%, სოფელ ქისტურისთვის ხშირია წყალმოვარდნები ქისტაურის ხევიდან.

სოფელ ქისტაურის ნიადაგის ჰიდროფიზიკური მაჩვენებლები ცხრილი 5.2.13.

